პრეზიდენტის ვიზიტი რუსეთში ექვებს აჩენს A2

"თქვენი აფხაზეთი" A8

ევროისტორია B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 11 აგვისტო, 2004 წელი. №189 (738)

ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

## დუმას დუმილით უპასუხეს



დეპუტატებმა ჩვენს ელჩებს მოთმინება დაუფასეს და 14 ქვეყანაში ჩვენი წარმომადგენლები "სტახანოვური" ტემპებით დაამტკიცეს.

A2

### ეკონომიკა

## რუსეთში ღარიბების მდგომარეობა სტაბილურია

მდიდრებსა და ღარიბებს შორის უფსკრული რუსეთში უფრო და უფრო ღრმავდება. უკანასკნელი სტატისტიკური მონაცემებით, რუსეთის საზოგადოების ფენებად დანაწილება სტაბილურად ძლიერდება, ხოლო საშუალო ფენა ძველებურად ჩამოუყალიბებელია.

A4

### უცხოეთი

## თურქეთში მოგზაურობა ექსტრემალურ ხასიათს იძენს



გახშირებული აფეთქებები თურქეთში ტურიზმის განვითარებას საფრთხეს უქმნის.

A5

### საზოგადოება

## მეტრო „დიდუბის" გვირაბი მოვაჭრეებს ველარ შეიფარებს



"დიდუბის" მიმდებარე ტერიტორიაზე თევზი და ძეხვეული ისევ სიცხეში გამოდგმულ დახლებზეა დახვავებული.

A6

# ყალბი ფული

## საფრთხე ქვეყნის ეკონომიკისთვის




ოთარ ქირია

*მეორე მსოფლიო ომის დროს, იმ ქვეყნებში, ვისაც გერმანია ეომებოდა, არაერთხელ დაუფიქსირებიათ ყალბი ფულის დიდი პარტიები. ლოგიკურად, ეს მხოლოდ მტრულად განწყობილ გერმანიას აძლევდა ხელს და ის ამ საქმეს მშვენივრად ართმევდა კიდეც თავს - იოლად ანგრევდა მოწინააღმდეგე ქვეყნის ეკონომიკას. უცებ ვინმეს რომ თავში აზრად მოუვიდეს და საქართველოში "შემოგვიგდოს" ერთი კეისი ყალბი ფული, ალბათ, ისეთი პატარა, მით უმეტეს, მშენებარე სტადიაში მყოფი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ერთი დღეც საკმარისი იქნება ეკონომიკის დასანგრევად. მართალია, ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა, მაგრამ, როგორი წარმოსადგენია ამ დუხჭირ ცხოვრებაში სიმწრით ნაშოვნ ფულს რომ დასახარჯად გაამზადებ და აღმოაჩენ, რომ ის ყალბია? ასეთი კი ჩვენში ბევრჯერ ყოფილა...*

გაგრძელება A3 გვერდზე

## საკაშვილი ვაშინგტონში

*გთავაზობთ დევიდ ჯ. სმითის სტატიას, რომელიც წინა კვირას გაზეთ Washington Times-ში დაიბეჭდა და სამხრეთ ოსეთის საკითხის მოგვარების შემაფერხებელ ასპექტებს ეხება. ავტორი გვთავაზობს თავის შეხედულებებს, თუ რა როლი უნდა ითამაშოს შეერთებულმა შტატებმა, რათა საქართველოს აღნიშნული პრობლემის დარეგულირებაში დაეხმაროს. დევიდ ჯ. სმითი საჯარო პოლიტიკის ნაციონალური ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი და საქართველოს ფორუმის თავმჯდომარეა.*

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ვაშინგტონში იმყოფება, რათა რუსეთის მიერ წაქეზებული სამხრეთ ოსეთის პრობლემის მოსაგვარებლად აშშ-ს მხარდაჭერა მოიპოვოს. იგი დიდ იმედებს ამყარებს ვაშინგტონზე, რომელიც საქართველოს სუვერენიტეტს ყოველთვის მხარს უჭერდა. ამერიკამ, სამხრეთ ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში მშვიდობიანად დასაბრუნებლად, ბატონ სააკაშვილს დახმარება უნდა აღმოუჩინოს.

ზომით როდ აილენდზე პატარა სამხრეთ ოსეთი, სადაც დაახლოებით 70 000 ადამიანი ცხოვრობს, კავკასიის მთიანეთის სამხრეთ ნაწილში, რუსეთის ფედერაციის მეზობლად მდებარეობს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართველებსა და ოსებს შორის ეთნიკური დაპირისპირება წარმოიშვა. სამხრეთ ოსეთი 1992 წელს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შემდეგ დე ფაქტო დამოუკიდებელ, თუმცა არაღიარებულ რესპუბლიკად მოიაზრება, რომელიც რუსეთის დახმარებით კონტრაბანდისტთა თავშესაფრად იქცა.

გაგრძელება A5 გვერდზე

## ზურაბ ჟვანია: "ჩვენ ოქროს თევზი არ დაგვიჭერია"

თამარ ხორბალაძე

*"ჩვენ ბიუჯეტის ხარჯებს 230 მილიონი ლარით ვზრდით, თორემ ოქროს თევზი კი არ დაგვიჭერია, რომ ყველა სურვილი და მოთხოვნა შეასრულოს," - ასე განუმარტა პარლამენტარებს მათ მიერ მოთხოვნილი ხარჯების დაფინანსების არარეალისტურობა მთავრობის ხელმძღვანელმა ზურაბ ჟვანიამ, რომელიც გუშინ საკანონმდებლო ორგანოში 2004 წლის ბიუჯეტში განსახორციელებელ ცვლილებებს წარადგენდა.*

პრემიერი გუშინ ამაყი გახლდათ და, მიუხედავად საპარლამენტო ოპოზიციის და თავად მისი გუნდის წევრების მიერ დასმული არაერთი შეკითხვისა, რამაც მთავრობის მეთაურის რამდენიმეჯერ გაცხარებაც გამოიწვია, ზურაბ ჟვანიას გამარჯვებულის პოზა ბოლომდე არ დაუკარგავს. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ პრემიერს, რომელსაც საქართველოს ბოლოდროინდელ ისტორიაში პირველად შემოჰქონდა პარლამენტში წლის შუაგულში ბიუჯეტის ხარჯების გაზრდის შესახებ წინადადება, საამისო საბაბი უდავოდ ჰქონდა და, ცხადია, ამ მომენტს იგი ხელიდან არ გაუშვებდა.

საბიუჯეტო პარამეტრების 30-პროცენტიან ზრდას პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ ფისკალური და სამართალდამცველი ორგანოების ერთობლივი წარმატება უწოდა.

როგორც გუშინ პრემიერ-მინისტრმა პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე განაცხადა, ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციამ, ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფამ და კუთვნილი შემოსავლების

გაგრძელება A4 გვერდზე

## ფრესკების ქვეშ და ფრესკების გარეთ

B1



*ზემო სვანეთი. იფარის თემი. ნაკიფარის წმინდა გიორგის ეკლესია. XII საუკუნე. მოხატულია მეფის მხატვარ თევდორეს მიერ. წმინდა გიორგის წამების სცენები. რესტავრაციის შემდეგ.*

### ამინდი

| | 11/8 | 12/8 |
|---|---|---|
| თბილისი | 37 | 32 |
| ქუთაისი | 38 | 28 |
| ბათუმი | 36 | 26 |
| სოხუმი | 31 | 23 |
| ფოთი | 35 | 25 |
| თელავი | 36 | 31 |
| ზუგდიდი | 36 | 26 |
| გორი | 34 | 26 |
| ახმეტა | 35 | 31 |
| ჭიათურა | 37 | 27 |
| გაგრა | 27 | 22 |
| სამტრედია | 37 | 27 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8500 |
| ევრო | 2.2700 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3979 |
| რუბლი | 0.0633 |

A2 ამბები  A3 მთავარი თემა  A4 ეკონომიკა  A5 უცხოეთი  A6 საზოგადოება  A7 სამართალი  A8 პროექტი

B2 რევიუ  B3 რევიუ  B4 სპორტი  B5 სპორტი  B6 ევროისტორია  B7 სხვადასხვა  B8 სხვადასხვა

# პრეზიდენტის ვიზიტი რუსეთში ეჭვებს აჩენს

საქართველოს პრეზიდენტს ბოლო ერთი კვირის განმავლობაში უკვე მეორე არაოფიციალური ვიზიტი ჰქონდა. ამერიკიდან 8 აგვისტოს დაბრუნებული სააკაშვილი ამჯერად უკრაინაში გაემგზავრა და იმავე დღეს დაბრუნდა თბილისში. საგულისხმოა, რომ საკურორტო ქალაქ იალტაში პრეზიდენტი უშიშროების საბჭოს მდივანთან გელა ბეჟუაშვილთან ერთად გაემგზავრა.

არაოფიციალური ერთდღიანი ვიზიტის ფარგლებში, მიხეილ სააკაშვილი იალტის სამთავრობო რეზიდენციაში პირისპირ, დახურულ კარს მიღმა შეხვდა უკრაინის პრეზიდენტს ლეონიდ კუჩმას, რომელიც ამავე დღეს დაბადებიდან 66 წლის იუბილეს აღნიშნავდა.

წინასწარ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციის შესაბამისად, ორი ქვეყნის პრეზიდენტის საუბრის ძირითადი თემა უკრაინასა და საქართველოს შორის ურთიერთობის გაღრმავება უნდა ყოფილიყო, თუმცა ამ ყველაფერმა მაინც გარკვეული ეჭვები გამოიწვია რუსეთში, რომელთანაც ცხინვალსა და აფხაზეთში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების გამო საქართველოს საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა აქვს.

რუსული პრესა გუშინ აშკარად ადანაშაულებდა მიხეილ სააკაშვილს უკრაინის გადაბირების მცდელობაში.

პრეზიდენტების შეხვედრამდე, უკრაინაში საქართველოს ელჩმა გრიგოლ ქათამაძემ განაცხადა, რომ საქართველოს სურს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების გამო რუსეთთან გართულებული ურთიერთობა უკრაინის დახმარებით დაარეგულიროს. ზოგიერთი რუსული საინფორმაციო წყარო ქათამაძის ამ განცხადებას ყურადღების მიღმა არ ტოვებს და მის საფუძველზე აცხადებს, რომ სააკაშვილი ყირიმში უკრაინის გადმოსაბირებლად ჩავიდა. თუმცა, მეორე მხრივ, რუსეთის პრესაში იმასაც ამბობდნენ, რომ სააკაშვილის ვიზიტის ძირითადი მიზანი უკრაინასთან ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება იყო.

ეჭვები გააღრმავა იმ ფაქტმაც, რომ პრეზიდენტების შეხვედრა დახურულ კარს მიღმა ორ საათზე მეტხანს მიმდინარეობდა, დასრულების შემდეგ კი არც ერთ პრეზიდენტს ჟურნალისტებთან კომენტარი არ გაუკეთებია, მიხეილ სააკაშვილი უმალ აეროპორტში გაემართა თბილისში დასაბრუნებლად.

მოგვიანებით, პრეზიდენტ კუჩმას პრესსამსახურმა შეხვედრის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა, სადაც აღნიშნულია, რომ უკრაინის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილთან ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, კერძოდ, საერთაშორისო, სატრანსპორტო და ენერგეტიკულ პროექტებში თანამშრომლობის შესაძლებლობა განიხილა, ასევე პრეზიდენტებმა ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური დიალოგის განვითარებაზე და საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებზე ისაუბრეს.

ამასთანავე, უკრაინის პრეზიდენტის პრესცენტრის ცნობით, ლეონიდ კუჩმამ შეხვედრაზე გამოთქვა კიევის დაინტერესება, მონაწილეობა მიიღოს ქართულ-ოსურ კონფლიქტსა და აფხაზეთში გამწვავებული ვითარების დარეგულირებაში.ქართული მხარე შეხვედრის დეტალებზე საერთოდ არ საუბრობს.

*ნინო გომართელი*

# ქართველმა ტანკისტებმა 12 წლის იუბილე აღნიშნეს



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

საქართველოში პირველი სატანკო ნაწილი 1992 წლის 10 აგვისტოს ჩამოყალიბდა. გუშინ ქართველმა ტანკისტებმა ვაზიანის სამხედრო ბაზაზე თავიანთი დაბადების დღე აღნიშნეს. საზეიმო ღონისძიებაში მე-11 მექანიზებულ-მოტომსროლელი ბრიგადის 114-ე სატანკო ბატალიონი მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ ხსენებულმა ბატალიონმა ქართულ-ამერიკული პროგრამის "წვრთნისა და აღჭურვის" ფარგლებში, ნატო-ს სტანდარტების შესაბამისი წვრთნები გაიარა. დღეს ბატალიონი საკონტრაქტო წესით მუშაობს. იუბილეს დღეს ბრიგადის ხელმძღვანელობამ რამდენიმე მოწინავე ტანკისტი დააჯილდოვა და მათ სამხედრო წოდებები მიანიჭა. ვაზიანში გამართულ ტანკისტის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიალს, სამხედრო უწყების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი გივი იუკურიძეც ესწრებოდა. **24 საათი**

# დღეს საქართველო "ბლექსიფორის" სარდალი ქვეყანა გახდება

*დღეს 11 საათზე ბათუმის სამოქალაქო ნავსადგურში შავი ზღვის საზღვაო თანამშრომლობის ჯგუფის – "ბლექსიფორის" სწავლების საპატიო სტუმართა დღე და სარდლობის მიღება-ჩაბარების ცერემონიალი გაიმართება. საქართველოს საზეიმო ვითარებაში გახდება წვრთნების სარდალი ქვეყანა. სტუმართა შორის იქნებიან "ბლექსიფორის" მოქმედი სარდალი, ბრიგადის ადმირალი გიორგი გიორგიევი (რომელიც წვრთნების სარდლობას საქართველოს გადააბარებს), ბულგარეთის, რუმინეთის, თურქეთის და რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლები. ქართულ მხარეს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსი გივი იუკურიძე და აჭარის ხელმძღვანელობა წარმოადგენს.*

"ბლექსიფორის" სწავლებები სტამბოლის 2001 წლის 2 აპრილის შეთანხმების საფუძველზე, ყოველწლიურად ტარდება შავი ზღვის აუზის სხვადასხვა ქვეყანაში. წვრთნების მიზანია შავი ზღვის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სამაშველო და სხვა სახის ოპერაციების განხორციელება.

საქართველოს საზღვაო ძალები წელს პირველად არის "ბლექსიფორის" სარდალი ქვეყანა. სწავლებას საქართველოს სამხედრო საზღვაო ძალების წარმომადგენელი, პირველი რანგის კაპიტანი გენადი ჰაიდაროვი წარუძღვება. ქალაქ ბათუმში განთავსდება ბლექსიფორის ოპერატიული შტაბი, რომელსაც პირველი რანგის კაპიტანი ლევან ბაქრაძე უხელმძღვანელებს.

საზღვაო სწავლებები საქართველოს პასუხისმგებელ ზონაში გაიხსნება. გემები ზღვაში ხუთ დღეს დაჰყოფენ. ამის შემდეგ წვრთნები რუსეთის ნავსადგურ "ნოვოროსიისკში" გადაინაცვლებს. აქვე მოეწყობა შეხვედრა ადგილობრივ ხელისუფლებასთან. ორი დღის შემდეგ გემები კვლავ ზღვას დაუბრუნდებიან და ხუთი დღის განმავლობაში სამხედრო წვრთნებს უკრაინის საზღვაო ნავსადგურ "სევასტოპოლში" ჩაატარებენ..

28 აგვისტოს სწავლების აქტიური ფაზა დასრულდება და ხომალდები დისლოკაციის ადგილებს დაუბრუნდებიან.

წელს "ბლექსიფორის" ისტორიაში აღნიშნული სწავლება პირველად დაიყო ორ ეტაპად. სწავლების მეორე ეტაპი რუმინეთში ჩატარდება.

მომავალ წელს თურქეთში დაგეგმილ საერთაშორისო სწავლებაში ჩვენი ქვეყანაც აქტიურად ჩაერთვება. სწავლებაში მონაწილეობას საქართველოს სამხედრო საზღვაო ძალების ხომალდები და საქართველოს ავიაცია მიიღებს.

*ვერიკო თევზაძე*

# განცხადება

## საქრთველოს საბიუჯეტო-კვლევით დაწესებულებათა სახელმწიფო საატესტაციო კომისიისაგან

კომისია აცხადებს საქართველოს საბიუჯეტო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, რომ "სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ატესტაციის დებულების" შესაბამისად, დაიწყო საატესტაციო დოკუმენტაციის მიღება დებულების მე-5 და მე-6 მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება საატესტაციო კომისიის სამდივნოში, რომელიც განთავსებულია საქრთველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შენობაში (რუსთაველის გამზირი, 52 მე-3 სართული, ოთახი 308; მიღება – ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 11-დან 14 საათამდე: ტელ: 99-86-28).

*საატესტაციო კომისია*

# დუმას დუმილით უპასუხეს



*დეპუტატებმა ჩვენს ელჩებს მოთმინება დაუფასეს და 14 ქვეყანაში ჩვენი წარმომადგენლები "სტახანოვური" ტემპებით დაამტკიცეს.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ლელა მჭედლიძე

ქართველი დეპუტატები რუსეთის სათათბიროს მიერ გასულ კვირას მიღებულ ანტიქართულ განცხადებას დუმილით პასუხობენ. მართალია, დუმაში აგორებული ისტერიის თაობაზე გუშინ ჩვენი პარლამენტის სხდომაზე საკმაოდ იმსჯელეს, მაგრამ დეპუტატების უმრავლესობა ბოლოს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის აზრს მიემხრო და დაასკვნა, რომ ამ ეტაპზე საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს დუმასთან "პინგ-პონგის თამაში არ ეკადრება" და, შესაბამისად, მისთვის წერილობითი პასუხის გაცემა არ ღირს. კომიტეტის თავმჯდომარის კოტე გაბაშვილის გამოსვლა გუშინ პარლამენტში ლამის მქუხარე ოვაციების ფონზე მიმდინარეობდა. ყოფილმა დიპლომატმა დიდი მეზობლის საქართველოსადმი პოლიტიკა მათრახისა და "პრიანიკის" პოლიტიკად შეაფასა. და კოლეგები დაარწმუნა, რომ "იმპერიის საწყალი ნამსხვრევების" წარმომადგენელთა ტაქტიკისათვის აყოლა ქართველ კოლეგებს არ ეგების. გაბაშვილი რუსი პოლიტიკოსების აგრესიულობას ძალზე მარტივად ხსნის, რუსეთის დუმაში ხვდებიან, რომ უდიდეს ფულს კარგავენ, რადგან ერგნეთიდან შემოსული ფულით სახელისუფლებო წრეები სარგებლობდნენ.

დუმის განცხადებებზე საპროტესტო ნოტების წერას ჩვენს დეპუტატებს კონკრეტული ღონისძიებების გატარება ურჩევნიათ. **"დუმის საპასუხო განცხადება არ უნდა მივიღოთ, მაგრამ ეს საკითხი რეაგირების გარეშეც არ უნდა დავტოვოთ,"** - განაცხადა ზვიად ძიძიგურმა. საპასუხო რეაგირება კი, მისი აზრით, პრეზიდენტის მიერ რუსების ბაზების გაყვანის საკითხის დასმა იქნება. სამტრედიის მაჟორიტარ დეპუტატს მიაჩნია, რომ საქართველოს შიდა კონფლიქტები მანამდე არ გადაწყდება, სანამ იქ რუსი ცისფერჩაფხუტიანები იდგებიან. საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის სალომე სამადაშვილის აზრით, საქართველოს პარლამენტმა საერთაშორისო თანამეგობრობის შემზადებაზე უნდა იზრუნოს, რათა რუსული სამშვიდობო ძალების ჩამნაცვლებლები გამოიძებნოს. რუსი სამშვიდობოების კონფლიქტის ზონიდან გაყვანის იდეას მხარი ლიახვის ხეობის მაჟორიტარმა დეპუტატმა გურამ ვახტანგაშვილმაც დაუჭირა, რომლის ინფორმაციით, 9 აგვისტოს, ღამით, რუსმა სამშვიდობოებმა და ოსმა სეპარატისტებმა სოფელ ერედვის ზეგანი დაიკავეს, საიდანაც ქართული სოფლები დაბომბეს. დეპუტატის განცხადებით, ტერმინი "სამხრეთ ოსეთი" ლიახვის ხეობის მაცხოვრებლებს ძალზე აღიზიანებს და, ამდენად, მისი "ცხინვალის რეგიონით" შეცვლა აჯობებს.

ბუნებრივია, რუსეთ-საქართველოს ტერიტორიაზე გამართულ დისკუსიას გუშინ დსთ-ში ყოფნა-არყოფნის საკითხის წამოჭრაც მოჰყვა. კონკრეტულად, "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელ ფიქრია ჩიხრაძის მხრიდან. ჩიხრაძის აზრით, შეუძლებელია, ორი ქვეყანა, რომელთაგან ერთი მეორის სუვერენიტეტს ხელჰყოფს, ერთ გაერთიანებაში რჩებოდეს. დიდი და პატარა ლიახვის მაჟორიტარი დეპუტატის გურამ ვახტანგაშვილის აზრით, დეტალური ინფორმაციის მისაღებად, პარლამენტში გოგა ხაინდრავას დაბარება კარგი იქნებოდა, თუ იგი მოსკოვიდან დროულად დაბრუნდებოდა.

ნიკა გვარამია პარლამენტისაგან კონფლიქტის ზონებში მიმდინარე პრივატიზაციასთან დაკავშირებით სპეციალური განცხადების მიღებას ითხოვდა, სადაც ხაზგასმული იქნებოდა, რომ საქართველოს ხელისუფლება ამ პრივატიზებას უკანონოდ მიიჩნევს. ახალი მოწვევის დეპუტატს თავად პარლამენტის თავმჯდომარემ განუმარტა, რომ მსგავსი დადგენილება ჯერ კიდევ წინა მოწვევის პარლამენტმა მიიღო და იგი კვლავაც ძალაშია. ბურჯანაძემ პარლამენტის აპარატს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ვებ-გვერდზე დადგენილების კიდევ ერთხელ გამოქვეყნება დაავალა.

"საზღვარგარეთ ახალი საქართველოს სახეებს" (ასე შეაფასა ჩვენი დიპლომატიური კორპუსი სალომე ზურაბიშვილმა) პარლამენტის მიერ დასამტკიცებლად კარგა ხნის ლოდინი მოუხდათ. სამაგიეროდ, დეპუტატებმა ჩვენს ელჩებს მოთმინება დაუფასეს და 14 ქვეყანაში ჩვენი წარმომადგენლები "სტახანოვური" ტემპებით დაამტკიცეს. საგარეო საქმეთა მინისტრის განმარტებით, თავისი მოვალეობის შესრულებას ისინი სექტემბრიდან შეუდგებიან. რწმუნებათა სიგელებს პრეზიდენტისაგან ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილები მიიღებენ. გუშინვე, დეპუტატებმა აფხაზეთის დეპუტაციას უფლებამოსილება შეუწყვიტეს. ნატოში ჩვენი საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელად გიორგი არველაძე დაამტკიცეს, განათლების კომიტეტის თავმჯდომარედ კი - ნოდარ გრიგალაშვილი.

# საქართველოში თვითაღიარებული რეჟიმების შეცვლის ჯერი დადგა

## კრემლის პოლიტტექნოლოგის თვალსაზრისი

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

რუსეთის ნაციონალური სტრატეგიის საბჭოს გენერალური დირექტორის, კრემლის პოლიტტექნოლოგის სტანისლავ ბელკოვსკის აზრით, პოსტსაბჭოთა არაღიარებული რესპუბლიკების პრობლემა ის არის, რომ ისინი საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრეებად ითვლებიან. ამ ფაქტმა, რუსი პოლიტტექნოლოგის აზრით, გააჩინა დიდ თვითგამორკვევის გზაზე დამდგარი ხალხების დიდ რუსეთთან მიერთების ილუზია. იქვე პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ "სამხრეთ ოსეთის რუსეთთან შეერთება არარეალურია".

"რუსეთის დუმის მოთხოვნა საკონსტიტუციო სასამართლოს სახელზე, სადაც დეპუტატები ამ არაღიარებული რესპუბლიკის რუსეთის მფარველობის ქვეშ შეყვანას ცდილობდნენ, სხვა არაფერი იყო, თუ არა დუმისა და სასამართლოს ერთობლივი სპექტაკლი, რათა დეპუტატებს გულზე მედალივით ჩამოეკიდათ საკონსტიტუციო სასამართლოს პასუხი ოსებთან თავის გასამართლებლად," - განაცხადა რუსეთის ნაციონალური სტრატეგიის საბჭოს დირექტორმა "რია ნოვოსტიში" გამართულ პრესკონფერენციაზე.

კრემლის პოლიტტექნოლოგმა დამოუკიდებელი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების ლიდერებზეც გაამახვილა ყურადღება. ბელკოვსკი სააკაშვილს ახალგაზრდა ნაზარბაევს არქმევს, რომელმაც მოხაზა ნაციონალური სახელმწიფოს პროექტი. კრემლის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი იქვე ამტკიცებს, რომ სამხრეთ ოსეთში მოვლენები ორი სცენარით შეიძლება განვითარდეს: თბილისმა შეიძლება ბათუმის სცენარი გამოიყენოს და მეორე, კონფლიქტის ზონაში ახალი სამშვიდობო ძალების მოზიდვა მოხდეს, ისიც იმ შემთხვევაში, თუკი რუსეთი უარს იტყვის სამხრეთ ოსეთის კოფნლიქტში პირდაპირ სამხედრო მონაწილეობაზე. "პოსტსაბჭოთა კონფლიქტების დარეგულირებაში რუსეთის როლზე საუბარი ძნელია, რადგანაც ამ პროცესში აქტიურად ერევა ამერიკა," - ამბობს პოლიტტექნოლოგი. რუსეთის ერთადერთი რესურსი თვითაღიარებული რესპუბლიკების დახმარებაა, კონფლიქტში მოდერატორობაა. კრემლის ანალიტიკოსი რუსეთს სხვა, უფრო სერიოზულ რანგში ვერ ხედავს და ამის დამალვასაც არ აპირებს. სწორედ ამ მიზეზით, რუსი პოლიტოლოგი უახლოეს მომავალში პოსტსაბჭოთა კონსტრუქციის დანგრევას წინასწარმეტყველებს, რასაც, მისი მტკიცებით, **"აუცილებლად მოჰყვება რუსეთის გეოპოლიტიკური მარცხი"**.

მოსკოვის ანალიტიკურ წრეებში, ფაქტობრივად, სტანისლავ ბელკოვსკი პირველია, რომელმაც სამხრეთ ოსეთში ომის დაწყების დღე და თარიღი დაასახელა. მისი გაანგარიშებით, სამხედრო მოქმედებები თვენახევარში, შემოდგომაზე დაიწყება. რის შემდეგაც ლოგიკურად დადგება აფხაზეთის ჯერი.

**"სააკაშვილი რევლუციონერის კლასიკური ტიპია, ძლიერი სუბიექტია, რომელიც საქართველოში ელიტების შეცვლის შემდეგ მოვიდა. ახლა საქართველოში არაღიარებული რეჟიმების შეცვლის ჯერი დადგა, რადგანაც თვითაღიარებულ რესპუბლიკებს საქართველოში რეინტეგრაცია არ სურთ."** ასეთ ვითარებაში, პოლიტოლგის აზრით, ხსნა იქნებოდა საქართველოს ფედერალიზაცია, რომლის გეგმაც მან უკვე შესთავაზა კრემლს რეგიონში რუსეთის სამხედრო დასწრების შენარჩუნებით. როგორც ჩანს, სააკაშვილის ფიგურამ კრემლის პოლიტტექნოლოგსა და რუსეთის პრეზიდენტის ერთ-ერთ აქტიურ მრჩეველს, საქართველოს ახალგაზრდა ლიდერზე ცოტათი აზრი შეაცვლევინა, როცა იგი ამბობს, რომ არ თვლის სააკაშვილს ამერიკის მიერ დასმულ (სტავლენნიკ) პიროვნებად და მას რეგიონში დამოუკიდებელ და ძლიერ პოლიტიკურ ლიდერად აცხადებს. თუმცა იგი იქვე დასძენს, რომ სააკაშვილი ომს ვერ მოიგებს, ამდენად, მისი ვარაუდით, თვითაღიარებულ რესპუბლიკებში სტატუს-კვო შენარჩუნებული იქნება.

**"რუსეთს ვარდების რევოლუციის დროს მხარი სააკაშვილისათვის რომ დაეჭირა, იგი დღეს ყველაზე პრორუსული ლიდერი იქნებოდა. ასე რომ არ მოხდა, დღეს სააკაშვილი პროამერკულ ლიდერად ჩამოყალიბდა... მას აქვს საქართველოს მოწყობის საკუთარი პროექტი და საკუთარი რესურსების ბაზა, რადგანაც სააკაშვილმა კარგად იცის, რომ ამერიკას, ისევე, როგორც რუსეთს, ხალხის გაყიდვა ჩვევია,"** - ამბობს რუსი პოლიტოლოგი.

ჩვენი გაზეთის თხოვნით, ბელკოვსკი კომენტარს უკეთებს პუტინი-სააკაშვილის დამოკიდებულებასაც და ამბობს, რომ ორ პრეზიდენტს შორის მეტად ეჭვიანი ერთიერთობაა. პოლიტოლოგი თვლის, რომ პუტინი თავის ქართველ კოლეგას ბევრ რამეში მხარს არ დაუჭერს, და რომ რუსეთის მთავარი პრობლემა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების დროში გაწელვაა. შეკითხვაზე, თუ რა არის მაინც ამის მიზეზი, ბელკოვსკი ასე გვპასუხობს:

**- ამის მიზეზია რუსეთის დღევანდელი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ელიტის სწრაფვა, როგორმე საკუთარი პასუხისმგებლობის ზონიდან გაიყვანოს ოსური და აფხაზური კონფლიქტები. თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა და დროში გაყინოს პროცესი. თუ სამხრეთ ოსეთში ომი არ იქნება, პუტინი აუცილებლად გაემგზავრება საქართველოში.**

## მოკლედ

### საქართველოს საკუთარი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნა აქვს განზრახული

საქართველოს განზრახული აქვს, შექმნას საკუთარი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა, – განაცხადა მოსკოვში საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ. მისი თქმით, საქართველო აპირებს ამ საკითხში აქტიურად ითანამშრომლოს რუსეთთან. ბარამიძეს რუსეთის თავდაცვის მინისტრთან სერგეი ივანოვთან შეხვედრის დროს რუსული სამხედრო თვითმფრინავების მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის საკითხზე ყურადღება არ გაუმახვილებია. ამასთან, მან აღნიშნა, რომ საქართველოს "არ შეიძლება არ აღელვებდეს საკითხი, ვინ დაფრინავს და როდის დაფრინავს". ბარამიძე თვლის, რომ "საკითხი კომპლექსურად უნდა გადაწყდეს", ხოლო მოსკოვი "ოფიციალური თბილისის განცხადებებზე უნდა ახდენდეს რეაგირებას და არა მასმედიის ცნობებზე". მან ასევე დაადასტურა, რომ საქართველოს განზრახული აქვს, შეუერთდეს დსთ-ს სახელმწიფოების მეთაურთა შეთანხმებას გადასატან საზენიტო სარაკეტო კომპლექსზე კონტროლის გამკაცრების შესახებ. "ჩვენ პრინციპში მხარს ვუჭერთ ამ შეთანხმებას და ვაპირებთ შესაბამისი ინფორმაცია შევაგროვოთ და შეთანხმების მონაწილე დსთ-ს სახელმწიფოებს გავუცვალოთ. ეს ჩვენს საერთო ინტერესებს პასუხობს," - განაცხადა გიორგი ბარამიძემ.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**მოსკოვი.** რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა "აბდაუბდა და ლურჯა ფაშატის ბოდვა" უწოდა თბილისის განცხადებას რუსული თვითმფრინავების მიერ საქართველოს საჰაერო საზღვრის დარღვევის შესახებ. ამის შესახებ მან თავის ქართველ კოლეგასთან გიორგი ბარამიძესთან მოლაპარაკების შემდეგ განაცხადა. რუსეთის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ კითხვაზე, რა ტიპის იყო ეს თვითმფრინავები, "დამაჯერებელი პასუხები არ არის და არც შეიძლება იყოს".

მისი თქმით, მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთმა საშუალებამ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს საჰაერო სივრცის დამრღვევ თვითმფრინავებს ხუთნიშნა ნომერი ჰქონდათ. "სამხედრო თვითმფრინავს განმსაზღვრელი ხუთნიშნა ნომერი არ შეიძლება ჰქონდეს," - თქვა სერგეი ივანოვმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ობიექტები თბილისსა და ახალქალაქში უახლოეს ვადებში საქართველოს გადაეცემა, - განუცხადა ჟურნალისტებს მოსკოვში სამშაბათს რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა თავის ქართველ კოლეგასთან, გიორგი ბარამიძესთან გამართული შეხვედრის შემდეგ. მისი თქმით, რუსული მხარე უკვე მზად არის, გადასცეს თბილისს ის ობიექტები, რომლებსაც ამიერკავკასიაში რუსული სამხედრო დაჯგუფება აღარ იყენებს, კერძოდ, თბილისისა და ახალქალაქის ბაზები. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი უარყოფს ინფორმაციას რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, "სპუტნიკის" ბაზაზე", სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ფორმირებების მომზადების შესახებ. როგორც ივანოვმა სამშაბათს საქართველოს თავდაცვის მინისტრთან, გიორგი ბარამიძესთან გამართული შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, ბაზა "სპუტნიკი" – ეს არის ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის მე-19 მოტომსროლელი დივიზიის პოლიგონი და ამ პოლიგონზე იმყოფებიან რუსეთის სამხედროები მხოლოდ ამ დივიზიის შემადგენლობიდან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ ეუთოში აშშ-ს ელჩი სტივენ მინიკესი მიიღო. საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრისას საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტებზე და, პირველ რიგში, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დაძაბულ სიტუაციაზე ისაუბრეს.

მინიკესმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს ხელისუფლება და საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევა აღნიშნული კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირებასთან დაკავშირებით შედეგს გამოიღებს და პრობლემა ყოველგვარი ძალმომრეობის გარეშე გადაწყდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**სოჭი.** რუსეთის სათათბიროს ვიცე-სპიკერი ვლადიმერ ჟირინოვსკი და სოჭში ჩასული ფრაქცია "ლიბერალ-დემოკრატების" 25-კაციანი დელეგაცია, მრავალრიცხოვან ჟურნალისტთა თანხლებით, სოჭის საზღვაო პორტიდან რუსეთის სანაპირო დაცვის სამხედრო კატარღის გაძლიერებული დაცვის თანხლებით დღეს აფხაზეთში გაემგზავრება. სოჭიდან მიღებული ინფორმაციით, ვლადიმერ ჟირინოვსკისა და მისი თანაპარტიელების აფხაზეთში გუშინდელ დღეს დაგეგმილი მგზავრობის გადადების მიზეზად, კერძო ფირმა "ჰოლიდეის" სასეირნო კატერების "აკაციისა" და "პლატანის" სიძველე სახელდება, რომლებსაც სოჭი-სოხუმის საზღვაო მარშრუტის დაფარვისათვის 6 საათი სჭირდებათ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტარი ნაზი არონია კოდორის ხეობის რწმუნებულს ემზარ კვიციანს შავ სამყაროსთან კავშირში ადანაშაულებს. ამგვარი განცხადება ნაზი არონიამ პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე გააკეთა. მისი თქმით, ემზარ კვიციანის დისშვილი ე.წ. კანონიერი ქურდია და ხეობის რწმუნებული საკუთარ უფლებამოსილებას სწორედ კანონიერი ქურდების წყალობით ახორციელებს. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ყალბი ფული

## საფრთხე ქვეყნის ეკონომიკისთვის

პირველი გვერდიდან

1998 წლის რუსული კრიზისის შემდეგ სხვა მეზობელ ქვეყნებთან ერთად საქართველოც დადგა სერიოზული საფრთხის წინაშე. საერთოდ, ეკონომიკის ისტორიას ახსოვს მაგალითები, როცა ერთი ქვეყნის კრახი მეზობელზე არანაკლებად აისახება. ასეთ დროს საზღვარიც ჩაუკეტავთ, მაგრამ ფინანსური კრიზისი კონტრაბანდა არ არის, რომ საზღვარი ჩაკეტო და აღარ შემოვიდეს. ამ შემთხვევაში მთავარია, ქვეყანა რამდენად ძლიერია და რამდენად გონიერია მისი მთავრობა. საქართველო რომ მეოცე საუკუნის ბოლოს უსუსტესი ქვეყანა იყო, ამას დავა არ სჭირდება. არც მთავრობა გამოირჩეოდა განსაკუთრებული პროფესიონალიზმით. ექსპერტები ხშირად აღნიშნავდნენ, რომ საქართველოში პრაქტიკულად ერთი უწყება მუშაობს და ეს ეროვნული ბანკიაო. თუმცა, ცალკე თემაა, რა უჯდებოდა ეროვნულ ბანკს, მაგალითად, ლარის კურსის შენარჩუნება. შეიძლება ითქვას, ლარი კბილებით ეჭირათ. ეს კი ფული ჯდება. ოღონდ, მარტო ეს არ კმარა.

ბაზრობებთან, მეტროსადგურებთან და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე ე.წ. ვალუტის გადამცვლელი ჯიხურები ყოველთვის არსებობდა. მათ წინააღმდეგ თუ ხელშესაწყობად ასობით გადაწყვეტილებაა მიღებული, თუმცა, საქმეს მაინც არ ეშველა. საქართველოში ჯერჯერობით არ დამკვიდრებულა კულტურა იმისა, რომ, მაგალითად, ვალუტის გადაცვლა მხოლოდ ბანკში ხდებოდეს. ასეთ წვრილ-წვრილ ობიექტებზე, რომლებიც სოკოებივით გამრავლდნენ, ბუნებრივია, კონტროლის დაწესება არც ისე იოლია. დღეს რომ მიაკითხო, ნახევარზე მეტს სრულად გამართული პირობები არც ექნება შექმნილი. ზოგს სპეციალური მინა არა აქვს იმიტომ, რომ ძვირია, ზოგს მიაჩნია, რომ ეროვნული ბანკის ლიცენზია საერთოდ არ არის საჭირო, ზოგი ლარის კუპიურების დამცავი ნიშნების კედელზე გაკვრას არ კადრულობს, აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მოლარეებს სპეციალური კურსები უნდა ჰქონდეთ დამთავრებული და ა.შ.

ანუ, ამ შემთხვევაშიც მომხმარებელმა თვითონ უნდა დაიცვას თავი. შეისწავლოს ლარის დამცავი ნიშნები, კარაგად გაეცნოს უცხოური ვალუტის კუპიურების მახასიათებლებს, მოითხოვოს ლიცენზია, არ შევიდეს ისეთ ჯიხურში, სადაც სტანდარტები არ არის დაცული და სხვა. მაგრამ ამას ყველა ვერ აკეთებს. სწორედ ამიტომაც ხშირად ისმის წივილ-კივილი ჯიხურებით გადატვირთულ ტერიტორიებზე.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ჯიხურებით გადატვირთულ ტერიტორიებზე ხშირად ისმის კლიენტების წივილ-კივილი.*

**- დოლარს რამდენად ახურდავებთ?**

- დაფაზე წერია.

**- ეროვნული ბანკის ლიცენზია გაქვთ?**

- რა თქმა უნდა.

**- და რატომ არ არის გაკრული?**

- ახლა გადმოვედით.

**- მაგას მნიშვნელობა არა აქვს.**

- თუ გინდათ, დაახურდავეთ ფული თუ არა და, ხელს ნუ გვიშლით...

ეს დიალოგი "დინამოს" სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ ერთ-ერთი ჯიხურში შარშან შედგა, ის, რა თქმა უნდა, ჩხუბით დასრულდა, მაგრამ "შარშანს" რა მნიშვნელობა აქვს, როცა ასეთი და ზოგ შემთხვევაში სისხლიანი წიოკი ბაზრობასთან ყოველდღე ხდება. არც სხვა დანახულ თუ გაგონილ, არც პირადად ჩემს შემთხვევაში პოლიციას თავი არ შეუწუხებია. რატომ? იმიტომ, რომ "წილში ყოფილან", ყოველ შემთხვევაში, ეს ბევრჯერ უთქვამთ.

**- თუ შეიძლება, ეს ათლარიანები შემიცვალეთ...**

- რას უწუნებ?

**- ეს დახეულია, ეს კი ძალიან ჰგავს ნახატს.**

- ტოჟე მნე ექსპერტი. საერთოდ აღარ გიხურდავებთ, დამიბრუნეთ ფული (ხელიდან მგლიჯავს).

**- ფული დამიბრუნეთ...**

- არა. არ გიხურდავებ. აიღე შენი დოლარი.

**- რატომ?**

- სხვამ მოგცეს უკეთესი ათლარიანი...

**- რა იყო, თუ არ მომატყუე. ისე არ გაწყობს?**

- კურსი შეიცვალა, თავი დამანებე...

არც ასეთი დიალოგი გაგიკვირდეთ. ეს მართლაც ასეა - "თუ არ მოგატყუეს, არ აწყობთ" - მოგებას ვერ ნახულობენ. ასე რომ, მოერიდეთ ასეთ ჯიხურებს. პოლიციის იმედი მაშინ არავის ჰქონდა. ახლა? - დრო გვიჩვენებს.

საერთოდ, პოლიციაზე ამბობენ, რომ ამ, ისევე როგორც სხვა ბევრ საქმეში, მას სერიოზული წილი ჰქონდაო. გაყალბებულ ფულებს კი იმიტომ ინახავდა სათუთად, რომ პერიოდულად საზოგადოება მოეტყუებინა - "დახე, რამდენი ყალბი ფული ამოვიღეო". აბა, იმ ქვეყენაში ვინ შეჰკადრებდა "რკინის კაცს" - ერთი მანახე, შარშან რომ "დაწვი", იმ დოლარებს ხომ არ აფრიალებო.

ისე კი, გაყალბებული ლარის შემჩნევა ზოგ შემთხვევებში ძალიან რთული არ არის. ყალბი ხუთლარიანი ძირითადად მზადდება ერთლარიანის ქაღალდზე. მხატვრული თვალსაზრისით ის მართლაც მაღალი დონის ნამუშევარია, თუმცა ნომრის ადგილი ერთმანეთს არ ემთხვევა. ამიტომ, ამაზე დაკვირვებით იოლად შენიშნავთ, რასთან გაქვთ საქმე. ათ და ოცლარიანები, ძირითადად, იხატება უხარისხო ქაღალდზე, მათ სპეციალურად ხაოიან ქაღალდზე ბეჭდავენ ან ხატავენ, თუმცა უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ნამდვილ კუპიურას ხაოიანი ნაწილი მთელ სივრცეზე არ აქვს დატანებული. შედარებით რთულია 50 თეთრიანის გამოცნობა. არა იმიტომ, რომ მას ძალიან მაღალ დონეზე აყალბებენ. პირიქით - ის ყოველთვის ძალიან დაბალი ხარისხის ყოფილა. მიზეზი უფრო ის არის, რომ სამარშრუტოებში ან ხურდის აღების დროს 50 თეთრიანის გამოკვლევას არავინ დაიწყებს.

იყო ასეთი ინფორმაციაც, რომ თურქეთიდან ყალბი 50 თეთრიანები შემოდიოდა ტომრებით. თურმე სხვა საქონელთან ერთად იოლად აპარებდნენ ერთ ტომარა ფულს. თითო შემოტანაზე ერთი ტომარა 50 თეთრიანი საკმაოდ სერიოზული თანხაა და, შესაბამისად - სარფიანი ბიზნესიც.

დღეს საქართველოში წყობა კი შეიცვალა, მაგრამ მაინცდამაინც დიდი ხელი "სავალუტო ბიზნესს" ჯერ არ დატყობია. თუმცა, ამბობენ, ფინანსური პოლიცია ჯიხურებს უკვე დაერიაო. რატომ ასეთი აქცენტი ჯიხურებზე? იმიტომ, რომ ჯერ ერთი, უკანონო სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან, ხშირად ატყუებენ მომხმარებელს და ამით კანონს არღვევენ. რაც მთავარია, ყალბი ფული ძირითადად მათი მეშვეობით ხვდება მომხმარებლის ხელში. ოღონდ, ხაზს ვუსვამთ - საუბარი ეხება უკანონო ჯიხურებს. ლიცენზირებულებს კი ვალდებულებაც აკისრიათ - მოსახლეობას ყალბი ფული ჩამოართვან.

საერთოდ, ეს საქმე მიმდინარე წლის მარტამდე შსს-ს პრეროგატივა იყო. როგორ მოაგვარა, ეს ცალკე თემაა. 15 მარტიდან კი მთავრობის გადაწყვეტილებით სფეროს ფინანსურმა პოლიციამ უნდა მიხედოს.

# ვის დაერევა ფინანსური პოლიცია?!

**ფინანსური პოლიციის გამომძიებლის, ზურაბ რიგვავას ხელში უკვე რამდენიმე საქმე წარმოებს ამ მიმართულებით:**

- ყალბი ფულის ნიშნები ფინანსურ პოლიციაში ძირითადად ეროვნული ბანკის მიერ იგზავნება. ბანკი კომერციული ბანკებისა და სხვა არხების საშუალებით იღებს ასეთ ნიშნებს, ადგენს აქტს, ადასტურებს ნიშნის სიყალბეს ექსპერტიზით და შემდეგ მოსაკვლევად აგზავნის ფინანსურ პოლიციაში. ადრე აღნიშნულ საქმიანობას შსს შესაბამისი სამსახური ახორციელებდა. დღემდე ჩვენთან ამ საკითხთან დაკავშირებით ათამდე საქმე შემოვიდა, თუმცა, გამოძიების ინეტერესებიდან გამომდინარე, დღეს კონკრეტიკული მასალების გამოქვეყნების უფლება არ მაქვს.

**- პროცედურა როგორია?**

- ჩვენ გვევალება საქმის გამოძიება, დამნაშავე პირის ან პირთა გამოვლენა და შესაბამისი ზომების გატარება.

**- ვინმე დაგიკავებიათ?**

- ამ კუთხით ჯერ არა. ფინანსურ პოლიციას კანონის თანახმად აღნიშნული ვალდებულება 15 მარტიდან დაეკისრა, რაც დიდი დრო არ არის, თუმცა ძიება რამდენიმე საქმეზე მიმდინარეობს.

**- შსს-მ ძველი არქივი თუ გაგაცნოთ და საერთოდ, არსებობს თუ არა კოორდინაცია?**

- არქივი შსს-ში ინახება და ჩვენ მასზე ხელი არ მიგვიწვდება, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, კოორდინაცია ნამდვილად არსებობს. ასეთ დროს ინფორმაციის მიღებაც შესაძლებელია და არქივის ნახვაც. არცთუ დიდი ხნის წინათ, თუ გახსოვთ, უშიშროების იმერეთის რეგიონულმა სამსახურმა დააპატიმრა ასდოლარიანების დიდი პარტია. აღნიშნული ფინანსურ პოლიციას ეცნობა.

**- ამჟამად რა საქმეებზე მუშაობთ?**

- კონკრეტიკისგან თავს შევიკავებ, თუმცა გეტყვით, რომ ერთი საქმე არის აღძრული ეროვნული ბანკის მიერ გადმოგზავნილ 9 ცალ 100-დოლარიან კუპიურებზე, რომელიც ერთ-ერთმა კომერციულმა ბანკმა მოქალაქეს ჩამოართვა. აქაც სწორედ ის შემთხვევაა, როცა პირველი წყაროს მოძებნა ძალიან რთულია.

**- როგორ იყო გაყალბებული?**

- გაყალბება ძირითადად ორი მეთოდით ხდება. პირველი, როცა კუპიურა იბეჭდება უხარისხო ქაღალდზე და იხატება და მეორე, როცა ხდება კუპიურის შეცვლა. მაგალითად, 10 დოლარიანიდან 100 დოლარიანს აკეთებენ, 1 ლარიანიდან ხუთლარიანს და ა.შ. ანალოგიური ხდება მონეტებზეც.

**- ცხრავე ასდოლარიანი ერთი ნომრით იყო?**

- არა, სხვადასხვა.

**- და ეს რაიმე დასკვნის საშუალებას იძლევა?**

- დასკვნის გაკეთება მხოლოდ საქმის გახსნის შემდეგ შეიძლება, ამჟამად მხოლოდ ვარაუდების და ვერსიების დონეზე შეიძლება საუბარი. ვერსია ბევრია, თუმცა მაინც იკვეთება ტენდენცია, რომ საქართველოში მასიური გაყალბება არ ხდება. ძირითადად - კუსტარული გზებით და მცირე დოზებით, თუმცა ჯამში ისინი საკმაოდ რაოდენობას აღწევენ.

**- და როგორ ახერხებენ?**

- გააჩნია. ზოგი ძლიან უხარისხოდ არის დამზადებული და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება მოქალაქეს შეასაღონ. ისე კი, ტექნოლოგიები იმდენად განვითარდა, რომ ფულის ნიშნების გაყალბებას მაღალი ხარისხითაც ახერხებენ. საერთოდ ქვეყანა ყოველთვის აღრიცხავდა შემოტანილ ქსეროქსებს, სკანერებს და სხვა ტექნიკას. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე კონტრაბანდა სერიოზულად ჰყვაოდა, ამ ინფორმაციის ნდობა შეუძლებელია.

**- საქართველოში მსხვილი პარტია დაფიქსირებულა?**

- ვერ გეტყვით. მგონი არა. ერთხელ იყო შემთხვევა და ისიც, რამდენადაც ვიცი, ჩეჩნეთიდან იყო შემოტანილი. საერთოდ ყოველთვის მუსირებდა აზრი, რომ საქართველოს ყალბი ფულის გასაღების თვალსაზრისით საინტერესო ქვეყანა არ იყო, საქართველო ძირითადად ტრანზიტისთვის სჭირდებათ. დადასტურებული ფაქტი არ არსებობს, მაგრამ მეზობელ რუსეთშიც არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ჩეჩნეთში ფულის გაყალბებაზე სერიოზულად მუშაობენ. ითქვა ისიც, რომ ჩეჩნებს სპეციალური, ძალიან ძლიერი აპარატურა და მანქანები გააჩნიათ სპეციალურად ამ საქმისთვის.

**- ასეთი მანქანის საქართველოში არსებობის შესახებ არსებობს ინფორმაცია?**

- არა.

**- მართალია, რომ ყალბი 50-თეთრიანები ძირითადად თურქეთიდან შემოაქვთ?**

- ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ არსებობს, თუმცა ესეც არაერთხელ თქმულა. ძირითადად აქცენტი მაინც ჩეჩნეთზე კეთდება.

**- რუს კოლეგებთან თუ თანამშრომლობთ?**

- რა თქმა უნდა, ამას ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმებაც გვავალებს. უბრალოდ, ამ კუთხით ჯერ საქმე არ გვქონია. რუსები თავად ვერ აკონტროლებენ ჩეჩნეთს და ჩვენთვის რა ინფორმაცია ექნებათ.

**- რატომ, იქ არაერთხელ ითქვა იმის შესახებ, რომ ყალბი ფულის დიდძალი რაოდენობა იქნა დაპატიმრებული?**

- ეს ის შემთხვევებია, როცა ფული გასარეცხად დიდ ქალაქებში შეაქვთ, მაგრამ ასეთი რამ ძალიან იშვიათად ხდება. ძირითადად მაინც ასეთი აზრი არსებობს, რომ ჩეჩნეთიდან ყალბი ფული აზიისკენ მიემართება.

**- თუ მაინც მოინდომეს?**

- ეს საშინელება იქნება. ქვეყნის ეკონომიკა მომენტალურად ნგრევის საფრთხის წინაშე დადგება.

**- თავდაცვა შეგვიძლია?**

- როგორც გითხარით, ჩვენს ქვეყანაში ასეთს ვერ აკეთებენ და თუ შემოტანას დააპირებს ვინმე ან ფულის, ანაც აპარატის, საბაჟომ და მესაზღვრეებმა უნდა იმარჯვონ.

**- შეუძლიათ?**

- ჩემი ინფორმაციით - შეუძლიათ. ყოველ შემთხვევაში, ჯერ მათგან არავითარი ინფორმაცია არ მოსულა. გასაგებია, რომ ქვეყანა სხვა რეჟიმში ცხოვრობდა, მაგრამ დღეს ხომ შეიცვალა ყველაფერი. ჯერჯერობით ასეთ ფაქტი არ დაფიქსირებულა.

**- რას შეეხება მეორე საქმე, რაზეც თქვენ მუშაობთ?**

- ეს არის კრებსითი სახით ეროვნული ბანკიდან გადმოგზავნილი ეროვნული ვალუტის გაყალბებული ნიშნები?

**- ბევრია?**

- ეკონომიკის დასანგრევად, რა თქმა უნდა, არა. მაგრამ საერთო ჯამში მაინც არ არის ცოტა.

**- რატომ კრებსითი სახით, ან რას გაძლევთ, მაგალითად, ერთი ცალი ათლარიანი?**

- რას ბრძანებთ? თითოეულ მათგანს აქვს მნიშვნელობა. დღეს რომ ახალი კუპიურა დავაპატიმრო, მის მომზადების წესს აუცილებლად შევადარებთ სხვებს. ამით გამოიკვეთება ტენდენცია, მაგალითად, მასიური ხასიათი აქვს ათლარიანების გაყალბებას თუ არა. ერთი ხელიდან არის გაკეთებული თუ არა და ა.შ.

**- რომელი კუპიურები სჭარბობს ყალბ ფულში?**

- უცხოურ ვალუტაში 100 და 20 დოლარინები. ეროვნულ ვალუტაში კი ყველაზე მეტია ათლარიანი, შემდეგ ოცლარიანი და ა.შ. ას და ორმოცდაათ ლარიანებიც ყოფილა, თუმცა - ძალიან იშვიათად.

**- ევრო?**

- ამ საქმეზე მარტიდან ვმუშაობ და მხოლოდ ორჯერ დავაფიქსირეთ გაყალბებული ევრო. ორივე ძალიან მაღალი ხარისხით იყო შესრულებული, თუ არ ვცდები, 20-ევროიანი იყო.

**- აქ დამზადებული?**

- ვერ გეტყვით. ალბათ, უფრო მოქალაქის მიერ ერთჯერადად და გაუცნობიერებულად იყო შემოტანილი რომელიმე ქვეყნიდან. არ მგონია, ასეთი დონის გაყალბება აქ იყოს შესაძლებელი.

**- რაც შეეხება სავალუტო ჯიხურებს?**

- ალბათ, ნახევარი ნორმების დარღვევით მუშაობს.

**- მართლა დაერიეთ?**

- ასე ვერ დავარქმევდი, მაგრამ ჩვენ კანონით მოგვენიჭა მათი შემოწმების უფლება.

**- მერე?**

- ჯერ ერთი, თუ დააკვირდებით, ქალაქში იკლო უკანონო ვალუტის გადამცვლელმა ჯიხურებმა. მეორეც, ერთიანად ალაგმვა ასე იოლი არ არის. ყველაფერს თავის წესი აქვს. ჩვენ გარკვეული წინააღმდეგობები ამ კუთხით შეგვხვდა და დღეს აქტიურად ვმუშაობთ მათ მოგვარებაზე.

**- არსებობდა ინფორმაცია, რომ ასეთ ჯიხურებს თავად პოლიცია მფარველობდა. ამას გულისხმობთ?**

- არა. საკანონმდებლო ნაწილს.

**- ხელოვნური ხვრელები?**

- ხელოვნურად იყო შექმნილი თუ არა, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ კანონი ამ მიმართულებით დასახვეწია და ჩვენ პროექტზეც ვმუშაობთ.

## როგორ დავიცვათ თავი?

დღეს ეროვნულ ვალუტას ოცამდე სპეციალური დამცავი ნიშანი იცავს გაყალბებისგან. ესენია: ცისარტყელისებური ნაბეჭდი, ნუმიზმატიკური ფონი, უხილავი ფოსფორესცენტრული ნათება, მიკროსტრიქონი, არაფოტოკოპირებადი ფონი, ნაქარგი ორნამენტი, უხილავი ფლუორესცენტრული ნათება, ნუმერაცია ფლუორესცენტრული და მაგნიტური მელნით, დავერცხლილი ნაბეჭდი, ხაოიანი ნაბეჭდი, ფარული გამოსახულება, ჭვირნიშანი, წითელი ბოჭკოები, უხილავი ფოსფორესცენტრული ბოჭკოები, პოლიესტერის მეტალიზებული დამცავი ძაფი, მრავალფერიანი ზოლი. ეროვნული ბანკი ამ ნიშნებს და მათ აღწერილობას პერიოდულად მედიითაც აქვეყნებს.

ეროვნული ბანკისა და შსს ერთობლივი დებულების თანახმად, რომელიც დღესაც მოქმედებს, გადასახდელად ვარგისია:

ბანკნოტები, რომლებიც არ იწვევენ ეჭვს მათ ნამდვილობაში;

რომელთაც გააჩნიათ ბუნებრივი ცვეთის შედგად არსებული უმნიშვნელო დეფექტები: გაჭუჭყიანებულია, აქვს უმნიშვნელო ნახევები და ცვეთა, მცირე ლაქები და წარწერები, რომელნიც არ ცვლიან აღნიშნული ბანკნოტისათვის აუცილებელ ყველა რეკვიზიტს და ღირებულებას;

გ) რომელთაც შენარჩუნებული აქვთ თავიანთი გეომეტრიული ზომები, არ აქვთ განზრახ დაზიანების (გაფერადების, გადასწორების, დაწვის და ა.შ.) კვალი, აგრეთვე, ბანკნოტები, რომლებიც შემოწმებულია და რომელთაც მთლიანად აქვთ აღდგენილი პირვანდელი იერსახე;

დ) ბანკნოტის ნაწილი, რომლსაც წინა მხარეს შენარჩუნებული აქვს პორტრეტის (სხეულის ნაწილის ჩათვლით) სრული სახე, ღირებულების აღმნიშვნელი დიდი ციფრი და ნომერი;

ე) მონეტები, რომელნიც არ იწვევენ ეჭვს მათ ნამდვილობაში, დაზიანების მიუხედავად შენარჩუნებული აქვთ თავიანთი გეომეტრიული ზომები, მონეტის პირის მხარეს ღირებულების დასახელება და მხატვრული გამოსახულება.

სხვა სახის ყველა მონეტა თუ ბანკნოტი ვარგისი არ არის გადასახდელად. ამავე დებულების თანახმად, მეპატრონეს შეუძლია, ის მიიტანოს ბანკში და გადაცვალოს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნებულია მისი ძირითადი იერსახე, ნომერი, ღირებულების მაჩვენებელი და, რა თქმა უნდა, არ იწვევს გაყალბების ეჭვს. ამავე დებულების მეოთხე მუხლის თანახმად, ფიზიკურ პირებს უფლება აქვთ, უარი თქვან მოძველებული, დაზიანებული ბანკნოტებისა და მონეტების მიღებაზე. ანუ, ნებისმიერ პირს შეუძლია, უარი თქვას ასეთ ფულზე და გამცემი მხარე ვალდებულია, შეცვალოს მონეტა ან ბანკნოტი.

**რა ხდება მაშინ, როცა თქვენ გეუბნებიან, რომ ფული ყალბია?** კანონის თანახმად, ბანკს, ვალუტის გადამცვლელ პუნქტს და სხვა საფინანსო ორგანიზაციებს უფლება აქვთ, ჩამოგართვან ყალბი კუპიურა, თანაც უსასყიდლოდ. თუმცა, თქვენ უნდა მიიღოთ აქტი, სადაც მოხდება ფაქტის ახსნა, ბანკნოტის ან მონეტის აღწერა, დაფიქსირდება თქვენი რეკვიზიტები და ხელმოწერა (თუ თქვენ მიმალვა სცადეთ, ფულის მიმღები ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ აქტში მიუთითოს).

აქტი იწერება რამდენიმე ეგზემპლარად. ერთი გეძლევათ თქვენ, ერთი რჩება თანხის მიმღებს და ერთი იგზავნება ეროვნულ ბანკში ბანკნოტთან ან მონეტასთან ერთად ექსპერტიზაზე. ეროვნული ბანკი ვალდებულია, ხუთ დღეში დაასრულოს ექსპერტიზა და ორგანიზაციას მიაწოდოს ინფორმაცია, ნამდვილად ყალბია თუ არა ფული.

თუ ბანკნოტის ან მონეტის სიყალბე არ დადასტურდა, ეროვნული ბანკი მას შეცვლის ახლით და ექსპერტიზის პასუხთან ერთად დაუბრუნებს იმ პუნქტს, რომელმაც თქვენ ჩამოგართვათ ფული. შესაბამისად, ხუთ დღეში ეს პუნქტიც ვალდებულია თქვენ გაცნობოთ, რომ სიყალბე არ დადასტურდა, გაგაცნოთ ექსპერტიზის შედეგი და დაგიბრუნოთ ფული. თუ სიყალბე დადასტურდა, მაშინ თქვენ მოგიწევთ ახსნა-განმარტების გაკეთება ყალბი მონეტის ან ბანკნოტის წარმომავლობის შესახებ.

ამჟამად ეროვნული ბანკში მუშავდება ერთობლივი დებულების ახალი პროექტი - "საქართველოს ტერიტორიაზე ყალბი ფულის გამოვლენის ფაქტებზე რეაგირების შესახებ". ერთობლივი დებულების პროექტი ეროვნულ ბანკსა და ფინანსთა სამინისტროს შორის (კერძოდ, ფინანსური პოლიცია) ამჟამად მზადების სტადიაშია და უახლოეს თვეებში ის საკანონმდებლო ორგანოსაც წარედგინება. "**დარწმუნებული ვარ, დებულება ბევრად უფრო იოლს გახდის ყალბ ფულთან ბრძოლას. ვერ ვიტყვი, რომ ბევრი რამ იცვლება, უბრალოდ, უფრო იხვეწება, უფრო პრაქტიკული და მოქმედი ხდება. საერთოდ, მინდა აღვნიშნო, რომ რაც ფინანსურ პოლიციას გადაეცა აღნიშნულ დანაშაულთან საპროცესო წარმოება, მდგომარეობა მკვეთრად დადებითი კუთხით შეიცვალა. რაც შეეხება დამცავ ნიშნებს, ბანკი პერიოდულად აქვეყნებს მათ პრესითა და საინფორმაციო საშუალებებით, რათა მოსახლეობისთვის იყოს ხელმისაწვდომი. ეს მომავალშიც გაგრძელდება. გარდა ამისა, ბანკში ამჟამადაც მუშაობს სპეციალური კურსები მოლარეების კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ვასწავლით ფულის ნიშნების დაცვის მექანიზმებსა და ყალბი ფულის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების წესებს,**" - აცხადებს ეროვნული ბანკის საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის სამმართველოს უფროსის მოადგილე კობა მოსიძე.

## კომენტარები

**საქართველოს ბანკი:** 2003 წელს დაფიქსირდა ყალბი დოლარების გამოვლენის 39 ფაქტი. ხოლო 2004 წლის 7 თვის განმავლობაში - 30 ფაქტი. ყალბი ევრო ბანკის სალაროებში საერთოდ არ მოხვედრილა. რაც შეეხება ეროვნულ ვალუტას, 2003 წელს ლარის ყალბი ნიშნის 28 ფაქტი დაფიქსირდა, ხოლო მიმდინარე წლის 7 თვეში - 65 ფაქტი. გარდა ამისა, საქართველოში პირველად "საქართველოს ბანკმა" გამოავლინა "ამერიკან ექსპრესის" სამგზავრო ჩეკების გაყალბების ფაქტი. ჩვენი ინფორმაციით, საუბარია ორგანიზებულ ჯგუფზე, თუმცა საქმე ამჟამად შესაბამის უწყებაშია ძიებაში და ამის შესახებ დეტალურ ინფორმაციას არ ვფლობთ. ინსტრუქციის თანახმად, ყალბი ფულის ნიშნის აღმოჩენის შემთხვევაში ბანკი კლიენტს ართმევს ყალბ კუპიურას, რის სანაცვლოდაც აძლევს დებულებით დაკისრებულ აქტს. გარდა ამისა, ბანკი იწერს კლიენტის მონაცემებს და რეკვიზიტებს. რა თქმა უნდა, არსებობს უსიამოვნება ასეთ დროს, მაგრამ ბანკი მაქსიმალურად ცდილობს, კლიენტს აუხსნას არსებული მდგომარეობა და მიაწოდოს სრული ინფორმაცია მოსალოდნელი შედეგების შესახებ. მიმალვა ასეთი ფაქტის შემთხვევაში არავის უცდია, ბანკის კლიენტები ასეთ შემთხვევებს გაგებით ეკიდებიან.

**ქართუ ბანკი:** ასეთი შემთხვევა არ დაგვიფიქსირებია. თუ დაფიქსირდება, მოვიქცევით შესაბამისი ინსტრუქციის თანახმად.

**სახალხო ბანკი:** ასეთი შემთხვევა არ დაგვიფიქსირებია. თუ დაფიქსირდება, მოვიქცევით ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული შესაბამისი ინსტრუქციის თანახმად.

**გაერთიანებული ქართული ბანკი:** რა თქმა უნდა, ასეთი შემთხვევები ყოფილა, როცა კლიენტი მოდის ვალუტით, რომელიც ყალბია. ამ შემთხვევაში ჩვენ კანონი გვავალდებულებს, რომ ამ კუპიურის დაუყოვნებლივ ამოღება მოვახდინოთ, დავწეროთ აქტი და შევატყობინოთ ეროვნულ ბანკს. ასეთი შემთხვევები ყოფილა, თუმცა ამას უფრო იშვიათი ხასიათი აქვს. ცხადია, შეიძლება კლიენტს გაუჩნდეს პრეტენზია, მაგრამ, როგორც წესი, როცა კლიენტი რწმუნდება, რომ მის ხელთ არსებული კუპიურა ყალბია, საბანკო ინსტიტუტის მიმართ პრეტენზიას ნაკლებად გამოთქვამს. ყოველ შემთხვევაში, ასეთ შემთხვევას გაერთიანებულ ქართულ ბანკში ვერ იხსენებენ.

## საზოგადოებრივი აზრი

*გინდ დაიჯერეთ, გინდ არა და, "24 საათის" მიერ გამოკითხულთა შორის გაჭირდა ისეთი რესპონდენტის პოვნა, ყალბი ფული - 50-თეთრიანი მაინც რომ არ სჭეროდა ხელში. თუმცა, ჩვენმა რესპონდენტებმა ყალბი ფულის "გასაღება" ისევე შეძლეს, როგორც მათ შემოასაღეს და, ამდენად - სრული სახელის და გვარის დაფიქსირება ინტერვიუს დროს ყველამ არ ისურვა:*

**ნინო:** ყალბი 50-თეთრიანი ხშირად მქონია. ჩვეულებრივთან შედარებით მუქია და ოდნავ დაჟანგულიც. ძირითადად სამარშრუტო ტაქსებში მიბრუნებენ ხოლმე ხურდად, თუმცა, როცა ვხვდები კიდეც, რომ ყალბია, მაინც ვართმევ - მისი გასაღება პრობლემა არ არის. ისევ ნებისმიერ სამარშრუტო ტაქსში გამოგართმევენ.

**პაატა**: ბევრს კი ამბობდნენ ჩვენში მომრავლებულ ყალბ ფულებზე, მაგრამ რატომღაც მეგონა, ჩემს ხელში ყალბი ფული არ მოხვდებოდა. ახლაც არ ვიცი, ასე რატომ მეგონა. ალბათ, უფრო იმიტომ, რომ დარწმუნებული ვიყავი, ყალბს ნამდვილისგან განვასხვავებდი. ყველაფერი კი სხვაგვარად მოხდა. თანაც - ახლაც არ ვიცი, ზუსტად სად.

ასლარიანი მქონდა და ერთ-ერთ მაღაზიაში საქონლის ყიდვისას გამყიდველმა ორმოცდაათლარიანი და ორი ოცლარიანი დამიბრუნა. მერე ეს ორმოცდაათიანიც დავახურდავე სხვა მაღაზიაში. ხურდად იქაც ოცლარიანები მომცეს. სახლში მისულმა კი აღმოვაჩინე, რომ ერთ-ერთი ოცლარიანი ყალბი იყო. სიმართლე გითხრათ, განსხვავება იმაზე მეტი იყო, ვიდრე ველოდი. კარგად არ მიმიქცევია ყურადღება თავის დროზე და ამიტომაც მოვტყუვდი, თორემ შეუძლებელი იყო, განსხვავება არ შეგემჩნია. ქაღალდი იყო გაცრეცილი, ნახმარის იმიტაციას ქმნიდა, მაგრამ ხელში ჭერისას ეჭვს აღგიძრავდა, ყალბი ხომ არ არისო. საბოლოოდ იმ ფულმა მერე სხვა პატრონი მონახა იმავე გზით, რა გზითაც ჩემთან მოხვდა. ყველაფერი ისევ მაღაზიაში მოხდა...

**თენგიზ გეგეშიძე** - სახლი გავყიდეთ. იმ მომენტში არ გვჭირდებოდა ამ ფულის დახურდავება, მაგრამ, ერთ მომენტში ფული დამჭირდა და რაღაც ნაწილის დახურდავება გადავწყვიტე. გადამცვლელ პუნქტში რომ მივიტანე, ერთი ასდოლარიანი ყალბი აღმოჩნდა. მაშინ გავიგე, რომ ყალბი იყო. რას წარმოვიდგენდი. ისეთი იყო, ნაღდისგან ვერაფრით განასხვავებდი. როცა მითხრეს, მერე დავაკვირდი, ცოტა უხეში ქაღალდი იყო. გამოდის, რომ 100 დოლარი ქარს გავატანე, დავკარგე. ახლა უფრო ფრთხილად ვიქნები. ჭკუა ვისწავლე.

**კახა:** ყალბი ფული მე თავად არ მქონია, მაგრამ შევესწარი, როგორ ჩხუბობდა ერთი ქალი ვაგზალზე ვალუტის ჯიხურთან. 100 დოლარიანის გადახურდავება უნდოდა და, რომ მიაწოდა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, 20 თუ 10 ლარით ნაკლები თანხა დაუბრუნეს. გააპროტესტა - არ მინდა თქვენი გადახურდავებული, ფული დამიბრუნეთო. მიუგდეს 100 დოლარიანი - აშკარად დახატული იყო. ქალმა ყვირილი ატეხა - ეს არ არის ჩემი ფული, ჩემი მოცემული დამიბრუნეთო. ატყდა ერთი ამბავი, მაგრამ, თუ არ ვცდები, ვერაფერი გაიტანა. სხვისი არ ვიცი და, იმის მერე ფულს სულ ბანკში ვახურდავებ, თუნდაც ნაკლები კურსი იყოს.

# საქართველოს ბაზრით თურქი ინვესტორებიც ინტერესდებიან

*საქართველოს ბიზნეს-სექტორით თურქი ბიზნესმენებიც დაინტერესდნენ. სიტუაციის ადგილზე უფრო დეტალურად შესასწავლად და პოტენციური პარტნიორების მოსაძებნად დღეს საქართველოს თურქი ბიზნესმენებისა და სამთავრობო სექტორის 102-კაციანი დელეგაცია ორდღიანი ვიზიტით ეწვევა. თურქეთის დელეგაციას პრემიერ-მინისტრი რეჯეფ ერდოღანი ხელმძღვანელობს. თბილისის აეროპორტში სტუმრებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია და სხვა ოფიციალური პირები დახვდებიან.*

სოფიკო ოხანაშვილი

რუსი ბიზნესმენების ვიზიტიდან ზუსტად ორთვენახევრის შემდეგ საქართველო თურქ ბიზნესმენებს მასპინძლობს. თურქი სტუმრების ვიზიტი საქართველოში ორ დღეს გაგრძელდება. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ქართულ-თურქული ერთობლივი ბიზნესკონფერენციის ჩატარება. პოტენციურ პარტნიორებთან უფრო კონკრეტულ საკითხებსა და მომავალ ურთიერთობებზე მსჯელობისათვის ქართველი და თურქი ბიზნესმენები ოთხ სამუშაო ჯგუფში გადანაწილდებიან. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, განხილვის საკითხი გახდება საპრივატიზაციო ობიექტები, ქვეყანაში მოქმედი კანონები, ბიზნესგარემო და ა.შ. ვიზიტის ფარგლებში სტუმრები (თურქეთის სამთავრობო დელეგაციის წარმომადგენლები) ასევე ეწვევიან აჭარას.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, თურქეთის დელეგაცია ფართო სპექტრითაა წარმოდგენილი. აქ არიან სხვადასხვა სექტორში, მათ შორის - ტურიზმის, მშენებლობის, გადამამუშავებლი მრეწველობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის სფეროში მოღვაწე თურქი ბიზნესმენები.

თურქეთის საელჩოს ინფორმაციით, თურქი ბიზნესმენები დაინტერესებულები არინ საქართველოში ინვესტიციების ჩადებით. თურქი ბიზნესმენების განაკუთრებულ ინტერესს ტურიზმი, კურორტები, მშენებლობისა და ენერგეტიკის სექტორები, გადამამუშავებელი მრეწველობა – განსაკუთრებით, საფეიქრო და კვების მრეწველობა იწვევს. მუშა ჯგუფების შექმნაც სწორედ ამ ინტერესების მიხედვით მოითხოვეს. ასევე თურქი ბიზნესმენების ინტერესების გათვალისწინებით, საგანგებოდ დაკომპლექტდა ქართული წარმომადგენლობაც, რომელიც ქართულ-თურქულ ბიზნესკონფერენციაზე საკმაოდ ფართოდ იქნება წარმოდგენილი (სხვადასხვა ბიზნესსექტორიდან 100 ქართველი ბიზნესმენი). **"ჩვენ შევეცადეთ, შესაბამისი სექტორებიდან შეგვერჩია ქართული კომპანიები,"** – აცხადებენ ეკონომიკური განვითარების სამინისტროში.

დელეგაციის შემადგენლობაში საქართველოსთვის უკვე კარგად ცნობილი კომპანიების წარმომადგენლებიც არიან. მათ შორის "დელტა პეტროლიუმისა" და "ტრანსტექნიკჯგუფის" დამფუძნებელი მეჰმედ ჰაბაბიც იქნება.

შეგახსენებთ, რომ "დელტა პეტროლიუმი" თურქეთის ერთ-ერთი უმსხვილესი ნავთობკომპანია და ასევე ფოთის ტერმინალის "ჩენელენერჯის" აქციების 75 პროცენტის მფლობელიცაა. "დელტა პეტროლიუმი" საქართველოში 2000 წლიდან საქმიანობს და ქვეყანაში კომპანიის მიერ პირდაპირ განხორციელებული ინვესტიცია 15 მილიონი აშშ დოლარია. "დელტა პეტროლიუმს" ნავთობის ბიზნესში 20-წლიანი გამოცდილება აქვს. თურქეთში ამ კომპანიას კერძო ნავთობტერმინალებს შორის უმსხვილესი "დორთიორის" ნავთობტერმინალი ეკუთვნის. "დელტა პეტროლიუმი" თურქეთში მსოფლიოს უმსხვილესი კომპანია "გალფოილის" ბენზინგასამართი სადგურების ქსელს ავითარებს. ამასთანვე, "დელტა პეტროლიუმი" აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვების საფუძველზე ერაყს თხევადი გაზით ამარაგებს.

ამჯერად, ტერმინალის საქმიანობის გაფართოების გარდა, გამორიცხული არ არის, კომპანიამ სხვა ბიზნესპროექტებში დამატებითი ინვესტიციების ჩადების სურვილი გამოთქვას.

თურქ ბიზნესმენთა დელეგაციის შემადგენლობაში "აკარლარ ჰოლდინგის" პრეზიდენტი ისმენდ აჯარიცაა. როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროში აცხადებენ, აჯარი საქართველოში საკმაოდ სოლიდური თანხის დაბანდებასაც აპირებს. სამინისტროში იმასაც ამბობენ, რომ "აკარლარ ჰოლდინგის" პრეზიდენტს უკვე მზად აქვს საქართველოში მოღვაწეობის კონკრეტული ბიზნესგეგმა. ხოლო რაც შეეხება დანარჩენ ბიზნესმენებს, ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის თამარ კოვზირიძის თქმით, მოსალოდნელია, რომ მათ ჰქონდეთ გარკვეული გეგმები, მაგრამ სამინისტროსთვის კონკრეტული წინადადებები ჯერ არ უცნობებიათ. **"ჩვენ გვაქვს მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სფეროები აინტერესებთ თურქ ბიზნესმენებს. წინასწარ კონკრეტულ საკითხებზე და, მით უმეტეს, ინვესტიციების მოცულობაზე საუბარი არ ყოფილა. თურქი ბიზნესმენები მდგომარეობის შესაფასებლად ჩამოდიან,"** - "24 საათთან" საუბრისას განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

ამჟამად, თურქული ბიზნესი საქართველოში საკმაოდ წარმატებით მუშაობს. ამის დასტურად თუნდაც მხოლოდ ერთი კომპანიის "ჯეოსელის" საქმიანობის გახსენებაც საკმარისია. გარდა ამისა, თურქული ინვესტიციებია დაბანდებული მინის ტარის ქარხანაში, ფოთის ტერმინალში. თურქული კაპიტალის მონაწილეობითაა შექმნილი სასტუმრო "თორი" და ა.შ. საქართველოში მოღვაწე თურქ ბიზნესმენებს ქართულ-თურქულ ბიზნესკონფერენციაზე საშუალება მიეცემათ, ბიზნესგამოცდილება თანამემამულეებსაც გაუზიარონ. **"ახალი ინვესტორისთვის საინტერესოა მათი გამოცდილება,"** - აცხადებენ ეკონომიკური განვითარების სამინისტროში.

ამჯერად, თურქი ბიზნესმენები გამოცდილების გაზიარებას დასჯერდებიან, თუმცა საელჩოს ინფორმაციით, თურქი ბიზნესმენების ინტერესი საქართველოში ინვესტიციების დაბანდების კუთხით იმდენად დიდია, რომ დელეგაციის გარკვეული ნაწილი სექტემბერშიც აპირებს საქართველოში ჩამოსვლას.

## ზურაბ ჟვანია: "ჩვენ ოქროს თევზი არ დაგვიჭერია"

პირველი გვერდიდან



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*პრემიერი გუშინ ამაყი გახლდათ და, მიუხედავად არაერთი შეკითხვისა, ზურაბ ჟვანიას გამარჯვებულის პოზა ბოლომდე არ დაუკარგავს.*

ბიუჯეტში მობილიზებამ ბიუჯეტში ხარჯვითი პარამეტრის 223 მლნ ლარით გაზრდის შესაძლებლობა წარმოშვა.

**"მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში საგადასახადო შემოსავლების ადმინისტრირება 17 პროცენტი იქნება, ხოლო მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში ვალდებულებების დეფიციტი 0,1 პროცენტამდე შემცირდება. დაგეგმილია ეკონომიკის 9,4-პროცენტიანი ზრდა,"** - აღნიშნა ჟვანიამ.

მისივე თქმით, ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულებამ მთავრობას შესაძლებლობა მისცა, წინა წლებში დაგროვებული საპენსიო და სახელფასო დავალიანებები შეემცირებინა.

**"მომავალ წელს, სახელფასო და საპენსიო დავალიანებები უკვე მთლიანად დაიფარება,"** - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ამის გარდა, მთავრობა თავდაცვისუნარიანობისათვის ხარჯების გაზრდას ბიუჯეტში არსებული გადაჭარბების ხარჯზე გეგმავს, აგრეთვე, დაგეგმილია საგადასახადო და საბაჟო ორგანოებში დასაქმებულთათვის ხელფასის მატება. ამ მიზნით, ბიუჯეტში 9 მლნ ლარია გათვალისწინებული. 65 პროცენტით იზრდება ენერგეტიკის სუბსიდირება და 20 მლნ ლარი გათვალისწინებულია გზების რეაბილიტაციისათვის.

**"საქართველოს მთავრობას შესაძლებლობა ექნება, ის სამარცხვინო დავალიანება გაისტუმროს, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციებში გააჩნია. აღნიშნული ვალი წელს მთლიანად დაიფარება, აგრეთვე, გასტუმრებული იქნება გაერო-ში მიმდინარე წელს გადასახდელი საწევრო გადასახადი,"** - განაცხადა ჟვანიამ.

ცხადია, პარლამენტში წარმოიშვა კითხვები ივლისის თვის შესრულებასთან დაკავშირებით, რომელიც, "24 საათის" საბიუჯეტო მონიტორინგის მონაცემებით, 25 მილიონით გაირღვა, თუმცა პრემიერმა საპასუხოდ 7 თვის შესრულებაზე და შვიდი თვის საბიუჯეტო მაჩვენებლის გადაჭარბებაზე ისაუბრა.

კობა დავითაშვილის კითხვას, თუ რატომ შემცირდა ბიუჯეტში უმწეო ოჯახების დახმარების თანხები, ზურაბ ჟვანიამ უმწეოთა რაოდენობის დაზუსტების თაობაზე კომენტარი დაახვედრა.

რაც შეეხება კობა დავითაშვილის განცხადებას იმის თაობაზე, რომ: **"223 მილიონი ლარით გაზრდილი ბიუჯეტის ფონზე, მაშინ, როცა ფინანსთა სამინისტროსთვის საქონლისა და სხვა სახის ხარჯებისთვის ბიუჯეტიდან დაფინანსება 6-ჯერ იზრდება და 12 მილიონს აღწევს, მოსახლეობისთვის 0-ია გათვალისწინებული."**

ზურაბ ჟვანია აცხადებს, რომ "სხვა სახის" ხარჯებით გათვალისწინებულია სწორედ უმწეოთა დახმარება. **"12 მილიონი სწორედ ის თანხაა, რომლითაც იზრდება ტრანსფერის მოცულობა, მასწავლებელთა სახელფასო დავალიანება. ბიუჯეტში ფინანსთა სამინისტროსთვის გაწერილი თანხა არ ნიშნავს იმას, რომ ამ ფულს ზურაბ ნოღაიდელი მოიხმარს,"** - აცხადებს ჟვანია.

კითხვები წარმოიშვა ტელევიზიის დაფინანსების გაზრდასთან დაკავშირებითაც.

პარლამენტარმა ივლიანე ხაინდრავამ განაცხადა, რომ სახელმწიფო ტელევიზიაში ამჟამად კადრების შემცირება მიმდინარეობს და სახელფასო თანხები ისედაც გამოთავისუფლებულია. ამიტომ, გასარკვევია ტელევიზიისთვის დამატებით გამოყოფილი 3 მლნ ლარის მიზნობრიობა. **"რატომ გამოეყო სახელმწიფო ტელევიზიას 3 მლნ ლარი და ხომ არ არის ეს მათთვის ჯილდო იმ ლოიალობისთვის, რომელსაც სახელმწიფო ტელევიზია ხელისუფლების მიმართ ამჟღავნებს?"** - კითხულობდა გუშინ ხაინდრავა. პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას განცხადებით კი, მას არ ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ დეტალურად ჩაწვდომოდა, რა ტიპის რეფორმა მიდის ტელევიზიაში, თუმცა, მისივე თქმით, სახელმწიფო ტელევიზიასთან დაკავშირებით 3 მლნ ლარის გამოყოფის საკითხი განსაზღვრა რეფორმების კომისიამ, რომელიც ტელევიზიაში შექმნილ მდგომარეობას სწავლობდა.

პარლამენტარმა დავით ზურაბიშვილმა გაზრდილ ბიუჯეტში ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლების ინტერესების გათვალისწინება მოითხოვა.

მისი ინფორმაციით, სახელმწიფო ბიუჯეტს ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებისადმი სახელფასო დავალიანება აქვს, რომელიც დაახლოებით 100 ათას ლარს შეადგენს. ეს დავალიანება ბოლო 2-3 წლის განმავლობაში წარმოიქმნა.

პარლამენტში, როგორც მოსალოდნელი იყო, კითხვები დაისვა მოსალოდნელ პრივატიზაციასთან დაკავშირებითაც. კობა დავითაშვილის კითხვას, რატომ განაგრძობს ხელისუფლება ხალხის მოტყუებას და საშემოსავლო იმედების პრივატიზაციაზე დამყარებას, პრემიერი პასუხობს, რომ გაზრდილი ხარჯების დაფინანსება პრივატიზების სახსრებით არ მოხდება.

საგანგებო განხილვის საგანი გახდა "თბილავიამშენის" თემაც, რომელთან დაკავშირებითაც კითხვები ლევან გაჩეჩილაძემ დასვა, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ რომან გოცირიძემ კი კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ **"საწარმოს პრივატიზება უფრო მომგებიან ფაზაში შეიძლებოდა.**

**მე მხარს ვუჭერ საწარმოს სწრაფ პრივატიზაციას. მხარდასაჭერია პრივატიზაციის სქემაც, მაგრამ უნდა დადგინდეს, რეალურად რა ღირს აღნიშნული ობიექტი, რადგან "თბილავიამშენს" მომავალში უფრო დიდი მოგების მოტანა შეუძლია,"** - განაცხადა გოცირიძემ.

2004 წლის ბიუჯეტის კორექტირების პროექტისთვის გუშინ კენჭი არ უყრიათ. პარლამენტის შენიშვნების გასათვალისწინებლად მთავრობას ვადა პარასკევამდე მიეცა.

## რუსეთში ღარიბების მდგომარეობა სტაბილურია

*მდიდრებსა და ღარიბებს შორის უფსკრული რუსეთში უფრო და უფრო ღრმავდება. უკანასკნელი სტატისტიკური მონაცემებით, რუსეთის საზოგადოების ფენებად დანაწილება სტაბილურად ძლიერდება, ხოლო საშუალო ფენა ძველებურად ჩამოუყალიბებელია.*

სოფიკო ოხანაშვილი

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ყველაფერში დამნაშავე არაეფექტური რუსული სოციალური სისტემაა, რომელიც მიღებული შემოსავლების გადანაწილებაზეა ორიენტირებული.

ოფიციალური მონაცემებით, რუსეთის მოქალაქეების მიერ 2004 წლის პირველ ნახევარში გამომუშავებულმა თანხებმა ოთხი ტრილიონ 823,6 მილიარდი მანეთი შეადგინა.

სახელმწიფო სტატისტიკის ფედერალური სამსახურის ინფორმაციით, გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით, მოსახლეობის შემოსავლები 20 პროცენტზე მეტით გაიზარდა.

ექსპერტების შეფასებით, ქვეყანა ეკონომიკური ზრდის ნაყოფს იმკის, თუმცა სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, ეს პროცესი თანაბარზომიერი არ არის.

ასე თუ ისე, შეძლებული მოსახლეობის 10 პროცენტზე ფულადი შემოსავლების საერთო მოცულობის 30 პროცენტი მოდის და ეს მაჩვენებელი ბოლო დროს სტაბილურად იზრდება.

2002 წლის პირველი ნახევრის შედეგებით, მთელი ფულადი შემოსავლების 29,3 პროცენტი მდიდრების 10 პროცენტზე მოდიოდა.

გაცილებით შთამბეჭდავი სურათი იხატება, თუ 10 პროცენტის ნაცვლად, ყველაზე მდიდარი რუსების 20 პროცენტის ქონებას შევხედავთ. სახელმწიფო სტატისტიკის ფედერალური სამსახურის მონაცემებით, ეს ხალხი რუსეთის მოქალაქეების მთელი ფულადი შემოსავლების თითქმის ნახევარს იღებს.

მეორე მხარეს ყველაზე ღარიბების 10 პროცენტი იმყოფება. მათ ფულადი შემოსავლების ორ პროცენტზე ნაკლები ხვდებათ და ეს რიცხვი თითქმის არ იცვლება. უფრო მეტიც, ჯერ კიდევ 2002 წელს ღარიბებზე მთელი ფულადი შემოსავლების 2,1 პროცენტი მოდიოდა. გამოდის, რომ მდიდრები მდიდრდებიან და ღარიბები - არა. ექსპერტების შეფასებით, ეს, რა თქმა უნდა, უკეთესია, ვიდრე გასული ათწლეულის მდგომარეობა (ეკონომიკური კრიზისის ფონზე), როცა ღარიბები კიდევ უფრო ღარიბდებოდნენ და მდიდრები მდიდრდებოდნენ.

ყოველივე ეს ვერ შეესაბამება საზოგადოების მშენებლობის პოლიტიკური ხელისუფლების "სუპერიდეას", რომლის მიხედვითაც, მდიდრებიც და ღარიბებიც მდიდრდებიან.

ექსპერტები დამნაშავედ ეროვნულ-სოციალურ სისტემას, უფრო სწორად, გადანაწილების სისტემას ასახელებენ.

საინტერესო დეტალია, რომ წარმოება გასულ წელთან შედარებით შვიდი პროცენტით გაიზარდა, ხოლო დასაქმების მაჩვენებელი შემცირდა.

ასე რომ, ექსპერტების შეფასებით, დამატებითი შემოსავლები თავს კიდევ უფრო ნაკლები ადამიანების ჯგუფში იყრიან. მათივე დასკვნით, ყველაზე ბევრი კერძო სექტორში მომუშავეებს ხვდებათ. აბსოლუტურად განსხვავებული სურათია საზოგადოებრივ სექტორში. სახელმწიფო მაინც ახერხებს, რომ შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი საზოგადოებრივ სექტორში გადაისროლოს. თუმცა, სისტემა რესურსების გადანაწილებას კვლავ არაეფექტურად აგრძელებს, საზოგადოებრივ სექტორში მყოფი ადამიანები უფრო ღარიბდებიან.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ეკონომიკის ექსპერტის დემურ გიორხელიძის თქმით, "თბილავიამშენის" პრივატიზაციისთვის 67 მლნ მცირე თანხა არ არის და რეალობას უფრო შეესაბამება. **"პრივატიზაციის პროცესებში იაფობის საკითხი საერთოდ არ უნდა დაისვას. საფონდო რესურსების ღირებულებას თუ ავიღებთ, "თბილავიამშენისთვის" დასახელებული საფასური იაფი არ არის,"** - განუცხადა "მედია-ნიუსს" დემურ გიორხელიძემ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**იალტა.** უკრაინისა და საქართველოს პრეზიდენტებმა ლეონიდ კუჩმამ და მიხეილ სააკაშვილმა სამშაბათს, იალტაში გამართულ შეხვედრაზე სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის და ენერგეტიკულ და სატრანსპორტო პროექტებში ურთიერთქმედების საკითხები განიხილეს. როგორც ჟურნალისტებს უკრაინის პრეზიდენტის პრესსამსახურიდან აცნობეს, ლეონიდ კუჩმამ შეხვედრაზე გამოთქვა კიევის დაინტერესება ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირებაში და აფხაზეთში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა ენერგოგამანაწილებელ კომპანიებს 7-31 აგვისტოს პერიოდისათვის ელექტროენერგიის მიწოდების ახალი ლიმიტები დაუწესა. საბითუმო ბაზარმა სს "თელასს" თბილისის ელექტრომომარაგებისათვის დღე-ღამეში 4,7 მლნ კვტსთ-ს მიწოდების ლიმიტი დაუწესა ( პიკური სიმძლავრე 250 მვტ). აჭარის ენერგოკომპანიისათვის დაგეგმილია დღე-ღამეში 1,09 მლნ კვტსთ-ს მიწოდება (პიკური სიმძლავრე 55 მვტ).

კახეთის ენერგოდისტრიბუციისათვის დაგეგმილია 0,395 მლნ კვტსთ-ს მიწოდება (პიკური სიმძლავრე 25 მვტ).

გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია, კი 3,355 მლნ კვტსთ ელექტროენერგიას მიიღებს (პიკური სიმძლავრე 190 მვტ).

საბითუმო ბაზარი სადისტრიბუციო ენერგოკომპანიებს ლიმიტების დაცვისაკენ მოუწოდებს. **24 საათი**

## "ეი-ი-ეს თელასის" განცხადება

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

**12 აგვისტოს, 11.00-დან 17.00-სთ-მდე:**
ანტონ კათალიკოსის, ბამბის რიგის, ჩალაუბნის, ჩახრუხაძის, ერეკლე მეორის, ივერიის, ლესელიძის, ნაკაშიძის, რკინის რიგის, შარდენის, შავთელის, სიონის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**13 აგვისტოს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:**
გალაქტიონ ტაბიძის ქუჩის მაცხოვრებლებს.

სააქციო საზოგადოება
საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
JOINT-STOCK COMPANY

ახალი მოთხოვნების რიტმი

## ფულადი გზავნილების მოცულობით "საქართველოს ბანკი" ლიდერის პოზიციებზეა

განვლილი 7 თვის შედეგებით "საქართველოს ბანკი" ფულადი გზავნილების მოცულობით ლიდერის პოზიციებზეა. მაღალი აქტივობა ფიქსირდება როგორც ადგილობრივი გზავნილების სისტემა "ელვა"-ს მომსახურებაზე, ისე "ვესტერნ იუნიონის" საერთაშორისო ფულად გზავნილებზე.

აღნიშნული სერვისების პოპულარობა განპირობებულია "საქართველოს ბანკის" მომსახურების მაღალი დონითა და ოპერატიულობით, რასაც ხელს უწყობს კარგად განვითარებული ფილიალების ფართო ქსელი.

მიმდინარე წლის 7 თვის მაჩვენებლებით "საქართველოს ბანკის" ქსელში "ვესტერნ იუნიონის" სისტემის მეშვეობით მიღებული და გადარიცხულია 27 მილიონ 148 ათასი აშშ დოლარი. თბილისის ფილიალებიდან ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 4 მილიონ 70 ათასი აშშ დოლარი დაფიქსირდა დიდუბე-ჩუღურეთის ფილიალში, რეგიონების მიხედვით კი საუკეთესო მაჩვენებელი ქუთაისისა და ბათუმის ფილიალებს ჰქონდათ შესაბამისად 2 მილიონ 458 ათასი და 2 მილიონ 455 ათასი აშშ დოლარი.

"საქართველოს ბანკი" "ვესტერნ იუნიონის" პირველი ოპერატორია საქართველოში და ამდენად ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ ფულადი გადარიცხვების მომსახურების ხარისხს და ვცდილობთ ეს მომსახურება საქართველოს ყველა რეგიონში იყოს ხელმისაწვდომი. დღეისათვის, როგორც "ვესტერნ იუნიონით", ისე "ელვა" ფულადი გზავნილებით სარგებლობა "საქართველოს ბანკის" ყველა ფილიალსა და მომსახურების ცენტრშია შესაძლებელი", - ამბობს გია ფოხუა, "საქართველოს ბანკის" საოპერაციო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე.

იზრდება "ელვა" ფულადი გზავნილების პოპულარობაც. დაფიქსირებული შედეგები ადასტურებს, რომ მომხმარებელი აღნიშნული მომსახურებით სტაბილურად სარგებლობს არა მხოლოდ საკურორტო სეზონების დროს, არამედ წლის ყველა პერიოდში. ბოლო 7 თვის შედეგების მიხედვით "ელვა" სისტემით საქართველოს ფარგლებში გადარიცხული და მიღებულია 15 მილიონ 288 ათასი ლარი. მილიონიან ზღვარს სცილდებიან როგორც თბილისის, ისე ბათუმის, ქუთაისისა და ზუგდიდის ფილიალები.

ფულადი გზავნილების სხვადასხვა სისტემების მეშვეობით, 2004 წლის პირველი ივნისის მდგომარეობით, უცხოეთიდან საქართველოს კომერციულ ბანკებში სულ 85646858 აშშ დოლარი ჩაირიცხა, რაც 16732882 აშშ დოლარით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ამ პერიოდში საქართველოდან უცხოეთის სახელმწიფოებში 11265638 აშშ დოლარი გადაირიცხა, რაც 296801 აშშ დოლარით სჭარბობს 2003 წლის მონაცემებს.

საქართველოში სწრაფი ფულადი გზავნილების დიდი ნაწილი კვლავინდებურად "ვესტერნ იუნიონზე" მოდის.

# თურქეთში მოგზაურობა ექსტრემალურ ხასიათს იძენს

*გუშინ ქვეყნის უდიდეს ქალაქ სტამბოლში, რომელიც უცხოელი დამთვალიერებლებისა თუ ბიზნესმენების ნაკლებობას არასოდეს უჩიოდა, აფეთქებები ისმოდა.*



*გახშირებული აფეთქებები თურქეთში ტურიზმის განვითარებას საფრთხეს უქმნის.*

ორშაბათის ღამე თურქეთის ყოფილი დედაქალაქისათვის პირდაპირი გაგებით ძლიერ ხმაურიანი გამოდგა. დაუდგენელმა პირებმა სტამბოლის ცენტრში ორი სასტუმრო ააფეთქეს. ასევე, აფეთქებები გაისმა ქალაქის გარეუბანში მდებარე ავტოგასამართ სადგურზე. უკანასკნელი შემთხვევისას არავინ დაშავებულა, ხოლო სასტუმროების აფეთქებას ორი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და შვიდი დაიჭრა.

ადგილობრივი დროით ღამის ორ საათზე, ორი აფეთქება სტამბოლის ისტორიულ ცენტრში თითქმის ერთდროულად გაისმა. ქალაქის ამ ნაწილში მუდამ ხალხმრავლობაა. უწინდელი კონსტანტინოპოლის დასათვალიერებლად ჩამოსული ბევრი უცხოელი ტურისტიც სწორედ სტამბოლის ძველი უბნების პატარა, შედარებით იაფ სასტუმროებში ღამის გათევას ამჯობინებს.

აღსანიშნავია, რომ ორივე სასტუმროში აფეთქებამდე 10 წუთით ადრე გამაფრთხილებელი ზარი გაისმა, რომელმაც ბომბების არსებობის შესახებ ამცნო მეპატრონეებს, თუმცა, ყველა მობინადრის გალვიძება მაინც ვერ მოხერხდა. აფეთქების შედეგად დაღუპული ერთი პიროვნების ვიანობა დადგენილია, - იგი აღმოჩნდა 31 წლის თურქეთის მოქალაქე ხაიდარ ბაიდარი. მეორე დაღუპულის შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით არ არსებობს. იმ დროისათვის, სასტურო "პარს"-ში 37 ადამიანი იმყოფებოდა. თვითმხილველთა თქმით, აფეთქება ისეთი სიძლიერის იყო, რომ ყველა მინა ჩიამსხვრა და ბოლო ორ სართულზე გარე კედელი გადმოინგრა.

თითქმის იმავე დროს ბომბი აფეთქდა სასტუმრო "სტარ ჰოლიდეი"-ს მეორე სართულზეც. იგი ხუთ წუთის სავალზე მდებარეობს პირველი შემთხვევის ადგილიდან, ტურისტებში პოპულარულ სულთანაჰმეთის რაიონში. ეს სასტუმროც მცირე ზომის და ამასთანავე იაფია, ამიტომაა ალბათ, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ჩამოსულთა შორის დიდი პოპულარობით რომ სარგებლობს.

"ასოშეითედ პრეს"-ის ცნობით, დაშავებულთა შორის ორი ჰოლანდიელი, ორი ჩინელი, თითო უკრაინელი, თურქი და თურქმენია.

უფრო ადრე, იმავე ღამეს, დაახლოებით პირველ საათზე ტერორისტებმა ქალაქის განაპირას მდებარე ავტოგასამართი სადგური ააფეთქეს. პირველი აფეთქების შემდეგ ნახევარ საათში მეორე აფეთქებაც გაისმა. საბედნიეროდ, აფეთქებებს მსხვერპლი არ მოჰყოლია. აფეთქების შემდეგ საწვავის დაღვრა დაიწყო, თუმცა პერსონალის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ საწვავით სავსე ავზებისთვის ცეცხლის გაჩენა თავიდან აიცილეს.

24 ივლისს, მსგავსი აფეთქება თურქეთის საკურორტო ქალაქ ქემერშიც მოხდა. მაშინ 21 ადამიანი დაშავდა, მათ შორის ტურისტები გერმანიიდან, უკრაინიდან და ავსტრიიდან. ოფიციალური ინფორმაციით, ტრაგედიის მიზეზი ბუნებრივი აირის ბალონის აფეთქება იყო. კიდევ უფრო ადრე, 23 ივნისს, უშუალოდ აშშ-ს პრეზიდენტის თურქეთში ჩასვლამდე ორი აფეთქება მოხდა, მათ შორის ერთ-ერთი ჯორჯ ბუშის მასპინძელი სასტუმრო "ჰილტონის" ავტოსადგომზე. ხოლო 25 ივნისს აფეთქება მოხდა პოპულარულ კურორტ ალანიაში. ოფიციალური ანკარა უბედურ შემთხვევაზე აკეთებდა აქცენტს, თუმცა უცხოური სააგენტოები ტერორისტულ თავდასხმაზე საუბრობდნენ. სააგენტო "როიტერსი" იმისაც კი აცხადებდა, რომ კამიკაძე-ტერორისტს თვითნაკეთი ბომბი ხელებში აუფეთქდა.

თურქეთში გახშირებული აფეთქებების მიზეზად, ექსპერტები სხვადასხვა რადიკალური ორგანიზაციების გააქტიურებას ასახელებენ. მათ შორის ყველაზე ძლიერი "ქურთისტანის ეროვნული კონგრესია" (PKK). ქურთებმა ცოტა ხნის წინ ხუთწლიანი დაზავების დასრულების შესახებ გააკეთეს განცხადება, ანუ თურქეთის პოლიციისა და არმიის წინააღმდეგ მიმართული აქციები სავარაუდოდ ერთიორად მოიმატებს.

ამას გარდა, შეინიშნება თურქეთის რადიკალური ისლამისტური დაჯგუფებების გააქტიურებაც. შეგახსენებთ, სწორედ მათი ორგანიზებული იყო შარშან ნოემბერში სტამბოლში განხორციელებული ტერაქტი, რომელმაც ათეულობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ნაკლებად სავარაუდოა, ტერორისტთა თავდასხმებმა რაიმე პოლიტიკური შედეგები გამოიღოს ტრადიციულად ძლიერი (პირველ რიგში, უსაფრთხოების მხრივ) სახელმწიფო ინსტიტუტების მქონე ქვეყანაში და თურქეთი ყველაზე "ცხელი წერტილი" გახდეს მსოფლიოში. თუმცა, ერთი კი ეჭვგარეშეა - აფეთქებების საფრთხე არცთუ ისე გაზრდის ტურისტთა რაოდენობას ქვეყანაში.

# სააკაშვილი ვაშინგტონში

პირველი გვერდიდან

შეერთებული შტატები, ამ მდგომარეობის შეცვლის თვალსაზრისით, საქართველოს ინტერესების უმრავლესობას იზიარებს. კავკასიაში სტაბილურობას აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფნის, ცენტრალური აზიის გახსნისა და ამ ცვალებად რეგიონში აშშ-ს სტრატეგიული ინტერესების განხორციელებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. საქართველოს თვისებრივი მოდერნიზება კავკასიაში სტაბილურობის შენარჩუნების საქმეში უმთავრეს ასპექტს წარმოადგენს. მაგრამ შეუძლებელია, საქართველომ დემოკრატიული სახელმწიფო ააშენოს, კანონის უზენაესობა უზრუნველყოს, თავისი ეკონომიკა განავითაროს და ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანდეს, ვიდრე ქვეყანაში სეპარატისტული კერები იარსებებს.

მეტიც, ვინაიდან სეპარატისტული ტერიტორიები კრიმინალის, ნარკოტიკების, იარაღისა და, სავარაუდოდ, ტერორისტების თავშესაფარი გახლავთ, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ეს ტერიტორიები აღიარებული სუვერენული სახელმწიფოების იურისდიქციაში დავაბრუნოთ. ეს რუსეთის ინტერესებშიც უნდა შედიოდეს, თუმცა, მოსკოვს, როგორც ჩანს, ეს არ ესმის. სამხრეთ კავკასიის არასტაბილურობა, შესაძლოა, რუსეთს უკუმიმართულებით დაუბრუნდეს. დღეისათვის მას კრიზისული მდგომარეობა აქვს შექმნილი ჩრდილოეთ კავკასიაში, რომლის ცენტრიც ჩეჩნეთშია და რომელიც მის ფარგლებს გარეთაც ვრცელდება.

ეჭვს არ იწვევს ის, რომ მსგავსი შეხედულებების გამო, გაზაფხულის ბოლოს და ზაფხულის დასაწყისში სააკაშვილი რეგიონის ცალკეულ ნაწილებში საქართველოს მმართველობის გამყარებას შეუდგა. მან ავტობუსებისა და მატარებლების მიმოსვლის აღდგენა, პენსიების გაცემა და სეპარატისტთა გარემოცვაში მყოფ სოფლებში ჰუმანიტარული ტვირთების ჩატანა დაიწყო.

მაგრამ, შემდეგი კვირები საპარლამენტო დაპირისპირებით, სამშვიდობო ძალებისათვის არაპროპორციული რუსული შეიარაღების (160 ვერტმფრენის, რაკეტების) დაკავებით და ოსი ბოევიკების მიერ მძევლების აყვანით აღინიშნა. იმავდროულად, რუსი კაზაკები და ე.წ. მოხალისეები აფხაზეთიდან და დნესტრისპირეთიდან, რუსეთის გავლით, სამხრეთ ოსეთში ჩადიან და ოს სამხედროებთან ერთად სამხედრო წვრთნებში იღებენ მონაწილეობას.

15 ივლისს მიღწეულმა დროებითმა შეთანხმებამ დაძაბულობა ცოტათი განტვირთა. საქართველო რეგიონში განლაგებული ზოგიერთი სამხედრო შენაერთის გაყვანაზე დათანხმდა, ხოლო რუსეთმა კაზაკებისა და სხვა "მოხალისეების" გაყვანა თავის თავზე აიღო. თუმცა, შეთანხმება ორი მიზეზის გამო არ შესრულდება. პირველ ყოვლისა, ის სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის დამაკავშირებელ როკის გვირაბში სატრანსპორტო მიმოსვლაზე კონტროლს არ ითვალისწინებს. მეორე მხრივ, ოს შეიარაღებულ ძალებს ჯავის რაიონში, რომელიც როკის გვირაბსა და ცხინვალს შორის მდებარეობს, თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა აქვთ. ეს ორი შეგნებულად გამოტოვებული ასპექტი მხოლოდ ერთ რამეზე მიუთითებს: რუსეთი, რომელიც იმპერიის დაშლისა და საქართველოს დასავლური ორიენტაციის გამო აღშფოთებას ვერ მალავს, ისეთი დიპლომატიური სისტემის გამოყენებას ცდილობს, სადაც საქართველო დანის პირზე იქნებოდა.

დროებითი შეთანხმება 1992 წელს შექმნილი შერეული საკონტროლო კომისიის მიერ იქნა მიღებული. კომისიაში, სადაც ძალთა წონასწორობა სამი ერთის წინააღმდეგაა (რა თქმა უნდა, არა საქართველოს სასარგებლოდ), საქართველო, რუსეთი, სამხრეთ ოსეთი და ჩრდილოეთ ოსეთი შედიან. რეგიონში დისლოცირებული სამშვიდობო ძალების რაოდენობა თითოეული მხარისათვის 500 სამხედრო მოსამსახურით არის განსაზღვრული. რუსეთი, თავისი კონტინგენტის გარდა, ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობოებსაც აკონტროლებს, ხოლო რუსი პოლკოვნიკი სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ძალებს ხელმძღვანელობს. ყოველივე ამის გამო ნათელია, რომ ვითარება არ შეიცვლება.

აშშ-მ ორი რამ უნდა გააკეთოს. პირველი, ჩვენ გარკვევით უნდა მოვთხოვოთ რუსეთს სამხრეთ ოსეთისათვის თავის დანებება. მეორე, ვაშინგტონმა, სამხრეთ ოსეთში ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) როლის გაფართოების მხრივ, მოსკოვსა და თბილისს ერთობლივი მუშაობა უნდა შესთავაზოს. ეუთო-ს ეგიდით როკის გვირაბის სამხრეთ ნაწილში, ან (თუ რუსეთის სურვილიც იქნება) ორივე მხარეს საერთაშორისო საკონტროლო პუნქტები შეიქმნებოდა. ეუთო, იმავდროულად, სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაციასა და პროფესიონალიზაციაზე ზედამხედველობის განხორციელებასაც მოახერხებდა, რომლის მანდატიც მთელ სამხრეთ ოსეთის რეგიონზე გავრცელდებოდა.

თუ ეს ამოცანები განხორციელდა, საქართველოს არჩეული პრეზიდენტი პირდაპირ ოს ხალხთან მუშაობას შეძლებს. ეს გაცილებით გააიოლებს სეპარატისტული რეგიონის საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნებას, სადაც ყველას უფლებებისა და სამართლიანი ინტერესების დაცვა გარანტირებული იქნება. ვაშინგტონმა უნდა მიიღოს სააკაშვილი, კარგად მოუსმინოს და შემდეგ სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში უნდა იმოქმედოს.

## ორი სიტყვით

**სინგაპური.** ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა გო ჩოკ ტონგმა გუშინ სინგაპურის პრეზიდენტს ნათანს გადადგომის შესახებ განცხადების დაკმაყოფილება სთხოვა. გადადგომის ძირითად მოტივად 63 წლის ყოფილმა პრემიერმა, რომელსაც ეს პოსტი 14 წელი ეკავა, ახალგაზრდა მემკვიდრისთვის ასპარეზის დათმობის სურვილი დაასახელა. ახალგაზრდა მემკვიდრედ კი 52 წლის ლი სიან ლუნი მიიჩნევა. მოვალეობის შესრულებას იგი უკვე ხვალიდან შეუდგება. ლი სიან ლუნი სინგაპურის პირველი პრემიერ-მინისტრის ლი კვან იუს ვაჟია. ლი კვან იუ მრავალეროვან სინგაპურს 25 წელი მართავდა და ცნობილი იყო, როგორც "რკინის ხელის" მქონე. არც მომავალი პრემიერ-მინისტრია ახალბედა პოლიტიკაში. ახალ თანამდებობაზე დანიშვნამდე მას ვიცე-პრემიერის პოსტი ეკავა. კიდევ უფრო ადრე იგი ფინანსთა მინისტრი იყო და გარკვეულ წლებში ქვეყნის ცენტრალური ბანკის წარმომადგენელი. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**უკრაინა.** ქვეყნის თითოეული საპრეზიდენტო კანდიდატის წინასაარჩევნო აგიტაციაზე დასახარჯი თანხა დაახლოებით 412 ათას გრივენს (80 000 აშშ დოლარი) შეადგენს, რომლის გადახდაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა მოხდეს. უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლის სერგეი კივალოვის განცხადებით, ამ თანხის ძირითადი ნაწილი მასობრივ საინფორმაციო საშუალებებზე მოდის, აქედან 245 ათასი (46 000 აშშ დოლარი) იხარჯება რეგიონულ დონეზე წინასაარჩევნო აგიტაციის ჩატარებაზე, ხოლო 132 ათასი გრივენი (25 000 აშშ დოლარი) საინფორმაციო პლაკატების დამზადებაზე. გარდა ამისა, ორ ძირითად გაზეთში წინაასარჩევნო პროგრამის გამოქვეყნებაზე გათვლილია დაახლოებით, 23 ათასი გრივენი, სახელმწიფო ტელე-რადიო არხებზე საეთერო დროს ფასი 7 ათასი გრივენია, ხოლო ტელედებატების საფასური 5 ათას გრივენს აღწევს. პრეზიდენტის პოსტზე წინასაარჩევნო აგიტაციისთვის ყველა კანდიდატისთვის, საერთო ჯამში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 8.036 მლნ გრივენია გამოყოფილი. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით თითოეული კანდიდატისთვის დაფინანსდება მხოლოდ 30 წუთიანი საეთერო დრო სახელმწიფო ტელეარხზე, 45 წუთიანი ეთერი სახელმწიფო რადიოტალღაზე, ასევე 30 წუთიანი ეთერი რეგიონულ სატელევიზიო არხებსა და 20 წუთი რეგიონულ რადიოტალღებზე. გარდა ამისა, კანდიდატებს აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ ტელედებატებში, რომლის ხანგრძლივობა 60 წუთზე ნაკლები არ უნდა იყოს. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ყაზახეთი.** ყაზახეთში მეჯლისის (პარლამენტის ქვედა პალატა) სადეპუტატო კანდიდატთა წარდგენა დასრულდა. არჩევნები 19 სექტემბერს ჩატარდება. კანდიდატთა წარდგენა დაიწყო 18 ივლისს და დასრულდა 9 აგვისტოს, ხოლო რეგისტრაციის ვადა 18 აგვისტოს ამოიწურება. ყაზახეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, წარდგენილია 556 კანდიდატი. ქვეყანაში, საშუალოდ, თითოეული სადეპუტატო მანდატისთვის 8 ადამიანი იბრძოლებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 556 კანდიდატიდან 307 თვითწარდგენილია. **იტარ-ტასი**

ახალი საპროცენტო განაკვეთი
ბიზნეს სესხებზე

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

ბიზნეს სესხი დოლარში
მოკლევადიანი უკვე წლიური 13%-დან
გრძელვადიანი უკვე წლიური 14%-დან
სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდი 60 თვე

ბიზნეს სესხი ლარში
უკვე წლიური 17%-დან
სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდი 18 თვე



მოკლედ

## მთაწმინდის პარკი გაზაფხულზე განახლდება

თბილისის საკრებულო მთაწმინდის პარკის განახლებას გვპირდება. საკრებულოს გუშინდელი დადგენილებით, პარკის რეკონსტრუქცია მომავალი წლის გაზაფხულამდე უნდა დასრულდეს. “ამ ადგილმა პირვანდელი სახე უნდა დაიბრუნოს. ამუშავდება ტრამვაი, კარუსელები. აღდგება რესტორანი,” – აცხადებს საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი. რაც შეეხება ინვესტორს, ქალაქის ხელმძღვანელობა მის ვინაობას ჯერ არ აკონკრეტებს. “პარკი ინვესტორს გრძელვადიანი იჯარით გადაეცემა. ჩვენს წინადადებას 50 კომპანია უკვე გაემოეხმაურა, მათ შორის - უცხოური. გამარჯვებულს ტენდერი გამოავლენს,” – აცხადებს საკრებულოს ხელმძღვანელობა.

*24 საათი*

## ცვლილებები სამარშრუტო ტაქსებთან დაკავშირებით

თბილისში სამარშრუტო ხაზების რაოდენობა არ შემცირდება, თუმცა სამარშრუტო ხაზების მფლობელები თბილისის ბიუჯეტში განსხვავებულ გადასახადებს შეიტანენ. ასეთი საკანონმდებლო ცვლილებით საქართველოს პარლამენტს თბილისის მთავრობამ მიმართა. გუშინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და თვითმმართველობის კომიტეტებმა ერთობლივად განიხილეს საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ კანონპროექტში ცვლილებები და ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ კანონში ცვლილებების პროექტი. ცვლილების პროექტი გუშინ პარლამენტის კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე თბილისის პრემიერმა ბიძინა ბრეგაძემ წარადგინა. თბილისის მთავრობამ 3000 სამარშრუტო ტაქსი დაყო ხუთ კატეგორიად, რომელთა გადასახადებიც ერთმანეთისაგან განსხვავებული იქნება. როგორც ბიძინა ბრეგაძემ სხდომაზე განაცხადა, თბილისის მთავრობა აღნიშნული კანონის განხორციელების შემთხვევაში, აქამდე კერძო პირების ჯიბეებში არალეგალურად მბრუნავი სამი მილიონი ლარის მობილიზებას გეგმავს. ბიძინა ბრეგაძის განცახდებით, თბილისის მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებს ჰოლანდიის მთავრობასთან, რათა თბილისის ბიუჯეტის თანადაფინანსებით ქალაქში ახალი ავტობუსები შემოვიდეს. ბიძინა ბრეგაძის განცხადებით, ჰოლანდიის მთავრობა ავტობუსების ღირებულების 30-35 პროცენტს გადაიხდის. თბილისის მერია აღნიშნული ცვლილებების მიღებისას პარლამენტს დაჩქარებისკენ მოუწოდებს და აცხადებს, რომ ამ ცვლილებების მიღება ნამდვილად დროულია. პარლამენტარები კი თბილისის მთავრობას მოუწოდებენ, გადახედონ რამდენად საჭიროა არსებული რაოდენობის სამარშრუტო ტაქსები თბილისში და ხომ არ არის საჭირო, დაიწყოს თბილისის სამარშრუტო ტაქსებისაგან განტვირთვის პროცესი. ბრეგაძის განცხადებით, სამარშრუტო ტაქსებზე, რომელიც დღეს თბილისში მოძრაობს, ბაზრის მოთხოვნილება ძალიან მაღალია.

*ინტერ-პრესი*

## "ივერიაში" მცხოვრებლებმა ხელშეკრულებების გაფორმება დაიწყეს

მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ გამგეობაში სასტუმრო "ივერიაში" მცხოვრებ დევნილებთან ხელშეკრულებების გაფორმების პროცესი მიმდინარეობს. სასტუმროს დატოვებისა და საკომპენსაციო თანხის აღების თაობაზე ხელშეკრულება ამ დრომდე სასტუმრო "ივერიაში" მცხოვრებმა ათამდე ოჯახმა უკვე გააფორმა. სპეციალური კომისიის ხელმძღვანელის ზურაბ კიკალეიშვილის განცხადებით, გამგეობას ხელშეკრულების გაფორმების მსურველმა არაერთმა დევნილმა მიაკითხა. კიკალეიშვილის განმარტებით, დევნილთა სახელზე სპეციალური საბანკო ანგარიში გაიხსნება, რომელზეც დაპირებული საკომპენსაციო თანხა 16 აგვისტომდე დაირიცხება. სასტუმრო "ივერიის" დაცლა 20 აგვისტომდე არის დაგეგმილი.

*ინტერ-პრესი*

# მეტრო „დიდუბის“ გვირაბი მოვაჭრეებს ვეღარ შეიფარებს

ნანა ქადაგიშვილი

*თბილისის ქუჩების რეაბილიტაციის დაწყების გარდა, ქალაქის ახალი ხელმძღვანელობის ნომერ მეორე სატრაბახო საქმედ მეტროების მიმდებარე ტერიტორიების გარე ვაჭრობისგან გაწმენდა იქცა. მართლაც, რის მოგვარებაც წლების მანძილზე წინა მთავრობისთვის წარმოუდგენელი იყო, თბილისის ახალმა ხელმძღვანელობამ, ლამის, ერთი ხელის მოსმით გააკეთა. თუმცა, “კუდები” მაინც დარჩა. მეტრო “დიდუბის” მიმდებარე ტერიტორიაზე თევზი და ძეხვეული ისევ სიცხეში გამოდგმულ დახლებზეა დახვავებული, პური კი კვლავ მტვერსა და ნაგავში აწყვია შეუფუთავად.*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*“დიდუბის” მიმდებარე ტერიტორიაზე თევზი და ძეხვეული ისევ სიცხეში გამოდგმულ დახლებზეა დახვავებული.*

როგორც ქალაქის სანიტარული ზედამხედველობის უფროსის გარშე დარჩენილი ინსპექციის თანამშრომლები აცხადებენ (როგორც ცნობილია, ინსპექციის უკანასკნელი უფროსი მთავარ სანიტარულ ექიმად დააწინაურეს; ახალი უფროსი, ვინმე კახა ნაჭყებია კი, თანამდებობაზე უახლოეს დღეებში დაინიშნება), მეტრო “დიდუბის” მიდამოებში ყოველ კვირაში ატარებენ რეიდებს, მაგრამ არაფერი გამოდის. მოვაჭრეებს ერთ დღეს რომ პროდუქტს ჩამოვართმევთ, მეორე დღეს ისევ იმ ადგილას დგანან. მხოლოდ ჩვენ რას გავხდებით, საქმეში ადმინისტრაციული ინსპექცია და გამგეობა თუ არ ჩაერიაო, -თავს იმართლებენ სანიტარული ინსპექციის თანამშრომლები.

ადმინისტრაციული ინსპექციის ახლად დანიშნული უფროსი ლადო ლებსვერიძე კომენტარის გაკეთებიგან თავს იკავებს. სამაგიეროდ, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებელს თემურ ჭეიშვილს ჰქონია სერიოზული გეგმები.

როგორც გამგებელი ამბობს, აღნიშნულ ადგილას გარე ვაჭრობის პრობლემის მოგვარებას მეტროს გვირაბი უშლის ხელს. გამგეობის იურისდიქცია ამ გვირაბის იქით წყდება. წელს ეს ადგილი დახლებისგან მცირე ხნით კი გათავისუფლდა, მაგრამ ამისი მიზეზი მხოლოდ გვირაბის რემონტი აღმოჩნდა. რემონტის დასრულების შემდეგ მოვაჭრეებმა ძველი ადგილები ისევ დაიკავეს. ამასთან, ეს გვირაბი მის მიმდებარე ტერიტორიაზე მოვაჭრეთა თავშესაფარიც ყოფილა. როცა მათ სანიტარული ან ადმინისტრაციული ინსპექცია ესხმის თავს, გვირაბში შერბიან. იქ კი ხელს ვერავინ ჰკიდებს. გვირაბში მოვაჭრეთა ხელშეუხებლობის გარანტი კი ხუთწლიანი საიჯარო ხელშეკრულება ყოფილა. 2002 წელს, მერიის ქონების მართვის მაშინდელი სამმართველოს 29 მაისის ბრძანებით, გვირაბის 120 კვადრატული მეტრი ფიზიკურ პირს არჩილ გელოვანს გადაეცა. ამ ხელშეკრულებას ვადა 2007 წელს გასდის. თუმცა, როგორც ჭეიშვილი აცხადებს, - მალე მას ეს ხელშეკრულება ვეღარ დააკავებს. “ამ დოკუმენტის გაცემის კანონიერებას დავადგენ და მეტრო “დიდუბეს” გარე ვაჭრობისგან საბოლოოდ გავათავისუფლებო.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებლის სამომავლო გეგმები, მეტრო “დიდუბის” გვირაბში მონაწილეთა გარდა, წერეთლის გამზირზე მდებარე შპს “ჩანგის” მოვაჭრეებსაც უხეთქავს გულს. **“ეს ბაზრობა საერთო სარგებლობის გზაზეა განთავსებული. საჭირო რომ იქნეს, ბაზრობაზე ხანძარსაწინააღმდეგო მანქანა ვერ შევა. ბაზრობაზე, თითქმის, ყველაფერი მოწესრიგდა, მხოლოდ ეს გაუბედურებული ადგილიღა დარჩა და 16 აგვისტოდან აქაურობასაც გავათავისუფლებთ,”** – აცხადებს ჭეიშვილი. “ჩანგის” მოვაჭრეები ამ გადაწყვეტილების მიზეზს სხვანაირად ხსნიან: **“რვა წელიწადია, ამ ბაზრობაზე ვვაჭრობთ. ხელშეკრულებაც გვაქვს გაფორმებული, 1196 წლიდან 2004 წლის ბოლომდე. გადასახადებსაც ყოველთვიურად ვიხდით. სინამდვილეში მიზეზი ისაა, რომ შპს “კიდობნის” უკან უზარმაზარ სავაჭრო ცენტრს აშენებენ, “თეთრი ქალაქი” დაარქვეს. ამბობენ, ამ ცენტრის უკან პატარკაციშვილი დგასო. ჰოდა, ჩვენც იმიტომ უნდა აგვყარონ, რომ ამ “თეთრ ქალაქს” მისასვლელი გზა გაუთავისუფლონ,”** – ჩივიან მოვაჭრეები. თუმცა, ჭეიშვილი ამ აზრს უსაფუძვლოდ მიიჩნევს. **“თეთრ ქალაქთან პატარკაციშვილი არაფერ შუაშია. უბრალოდ, მოვაჭრეებს აქედან წასვლა არ უნდათ და ჭორებს არიან აყოლილები,”** – აცხადებს გამგებელი და “ჩანგის” მოვაჭრეებს ალტერნატიულ ადგილს წერეთლის გამზირისა და სამტრედიის ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე ბაზრობაზე სთავაზობს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ილია ჭავჭავაძე

**ამ დოკუმენტის ამოცანაა, განსაზღვროს სასკოლო განათლების ძირითადი მიზნები, რომლებიც საფუძვლად დაედება ეროვნულ სასწავლო გეგმას, სკოლების მუშაობას და, საზოგადოდ, სასკოლო განათლების პოლიტიკას. შემდგომში ამ მიზნების ფონზე განისაზღვრება ეროვნულ სასწავლო გეგმაში მითითებული ცოდნის მოცულობა, შესაძლებლობები, მიმართებები, სწავლისა და სწავლების, აღზრდის პრინციპები, სასკოლო კალენდარი, შეფასების სისტემა, საგნობრივი განაწილება, სასკოლო ეთიკისა თუ სწავლების მეთოდიკის ძირითადი პრინციპები და სასკოლო განათლების სხვა მიმართულებები. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დოკუმენტი განსახილველად წარუდგინა ფართო საზოგადოებრივ ჯგუფებს, მეცნიერებს, საქართველოს სკოლებს, პედაგოგებსა და მშობლებს. დოკუმენტი საბოლოო სახით სწორედ მათი შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების შედეგად ჩამოყალიბდა.**

**ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები**

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

ამასთან ერთად განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს აუცილებელ ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებში აყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას, ეხმარება მოსწავლეს ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

**ა. კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან**

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს საზოგადოების მომავალ წევრს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები. სასკოლო განათლებამ ასევე უნდა უზრუნველყოს ამ უნარ-ჩვევების გამომუშავება მშობლიურ ენაზე მათთვის, ვისთვისაც სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის.

**ბ. ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა**

მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო.

**გ. ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტურად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი**

დღეს, როდესაც ადამიანისათვის მისაწვდომია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, მისი ეფექტურად გამოყენების უნარი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მოზარდს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასება შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით; დასახული მიზნებისათვის ამ ინფორმაციის გამოყენების ფორმების განსაზღვრა; ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტური გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობისათვის საჭირო პირობების გასაუმჯობესებლად.

**დ. დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება**

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.

**ე. არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე; იყოს შემოქმედი, თვითონაც შექმნას ღირებულებები**

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს ის უნარ-ჩვევები, რომელიც მისცემს მას საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

**ვ. საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის საზღვრებს გარეთ**

სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი; მოზარდს უნდა შეეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის ნათლად წარმოდგენა; მოზარდი მზად უნდა იყოს მომავალი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის არჩევანის გასაკეთებლად.

**ზ. ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება**

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების განსაზღვრისა და შემეცნების, სასიკეთო გადაწყვეტილებების მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა.

**თ. იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე**

დღევანდელ დინამიურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშავოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც ის მიმართვს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შენარჩუნებისაკენ. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად განხორციელება და ამ პრინციპებზე დაყრდნობით ცხოვრება.

**ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ძირითადი საშუალებები**

ზემოთ აღწერილი უნარ-ჩვევების განვითარებისთვის საქართველოს სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას, შეიმუშაოს და დანერგოს:

**1. ზოგადი განათლების პოლიტიკა და კანონმდებლობა**

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკითა და კანონმდებლობით განისაზღვრება სასკოლო განათლების სფეროში ჩართული მხარეების უფლებები და მოვალეობები, ასევე მიზნების შესრულების ძირითადი გზები და საშუალებები.

**2. ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო სისტემა**

ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო სისტემას ქმნიან სხვადასხვა სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმისა და დაფინანსების წყაროების მქონე დამოუკიდებელი იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებენ საგანმანათლებლო საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მართვის პრინციპებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის, სასკოლო წესდებების მიხედვით. სასკოლო სისტემა მოიცავს მუდმივად განვითარებად მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს.

**3. ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო სისტემის რეგულირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები**

სასკოლო სისტემის მართვის აუცილებელი კომპონენტებია: ლიცენზირება, აკრედიტაცია და ატესტაცია; სკოლის ადმინისტრაციული, ფინანსური და ადამიანური რესურსების მართვის განვითარება; სასკოლო სისტემის მართვის ძირითადი ფორმების განსაზღვრა და მისი შესრულების უზრუნველყოფა; ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვისა და ფუქციონირების ხარისხის შეფასება; ეროვნული შეფასებისა და საგამოცდო სისტემების შექმნა და მართვა.

**4. ეროვნული სასწავლო გეგმა**

ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების საფუძველზე. ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს: მოსწავლეთა დატვირთვის აუცილებელ ოდენობას; ცოდნის განვითარების ზოგად ხერხებს; აუცილებელი ინფორმაციის ოდენობასა და შესაბამის უნარ-ჩვევებს თითოეული საფეხურის დამთავრებისას; საგნებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებს სასკოლო განათლების ყველა საფეხურზე.

საზოგადოებრივი აქტივობისა და არსებული რესურსების ეფექტური ამოქმედების გარეშე ეს ცალკეული საშუალებები ვერ უზრუნველყოფს მოზარდში ზემოთჩამოთვლილი უნარ-ჩვევების სრულყოფილ განვითარებას. ამიტომ ამ ჩვევების გამომუშავება უნდა მოხდეს სასკოლო გარემოს სრული ჩართვით: მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების, ადმინისტრატორებისა და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით; ისეთ განსხვავებულ პირობებში, როგორიცაა გამოცდები თუ არჩევნები, საკლასო ოთახი თუ სახლი, კლუბი, სპორტულ დარბაზი, სკოლის ეზო თუ სახელოსნო. მოსწავლეების, მათი მშობლების, მასწავლებლების, დირექციის თუ გარემომცველი საზოგადოების აქტიური მონაწილეობა განაპირობებს მიზნების შესრულების ხარისხსა და წარმატებულობას.

სახელმწიფო მიზნად ისახავს ისეთი სასკოლო სისტემის შექმნას, რომელიც ყოველ მოსწავლეს მისცემს აღნიშნული უნარ-ჩვევების გამომუშავების თანაბარ შესაძლებლობას.

სახელმწიფო არ დაუშვებს მოსწავლის დისკრიმინაციას სოციალური, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან პოლიტიკური კუთვნილების, ფიზიკური შესაძლებლობების თუ სხვა ნიშნების მიხედვით.

# კოკოითის მინისტრის დაღუპვა - დივერსია, პროვოკაცია თუ უბედური შემთხვევა

*ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი სოფლების მხრიდან ქართული სოფლების მიმართულებით სროლის წარმოების ფონზე, კოკოითის ხელისუფლების ეკონომიკის მინისტრის რუსლან პლიევის გაუჩინარებამ გარკვეული ხმების გავრცელების საფუძველი შექმნა. თვითმარქვია ხელისუფლების წარმომადგენლის ირინა გაგლოევას მიერ პლიევის მანქანის მდინარეში გადავარდნის ერთ-ერთ ვერსიად დივერსიული აქტის დასახელება პირდაპირ ეხმაურებოდა გუშინ საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის გივი თარგამაძის განცხადებას, კოკოითის ქვეშევრდომთა მხრიდან მსგავსი პროვოკაციების მოწყობის საშიშროების შესახებ.*



*ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ავტოკატასტროფის ორი მიზეზი შეიძლება არსებობდეს.*

გუშინ გამთენიისას, ოსური სოფლების მხრიდან ცეცხლი გახსნეს. სროლა წარმოებდა ოსური მხარის მიერ კონტროლირებადი სოფლების - ოსფრისისა და ცარაბუკის ტერიტორიიდან ქართული სოფლის ერედვის მიმართულებით, სადაც განთავსებულია ქართველ სამშვიდობოთა საგუშაგო. მანამდე კი, ღამის სამი საათიდან სროლა მიმდინარეობდა სოფლების - დიდი და პატარა ლიახვის მიმართულებით. ისროდნენ როგორც ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან, ასევე ყუმბარმტყორცნებიდან. სროლის შედეგად არავინ დაშავებულა. ქართულ მხარეს საპასუხო ცეცხლი არ გაუხსნია. საპირისპირო ინფორმაციას ავრცელებს ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარე ირინა გაგლოევა. მისი მტკიცებით, ცეცხლი ქართველებმა გახსნეს.

რაც შეეხება დე ფაქტო ხელისუფლების ეკონომიკის მინისტრს, რუსლან პლიევის მანქანა "ვაზ-2107" გუშინ დილით, მდინარე დიდ ლიახვში, ოსური მხარის მიერ კონტროლირებად სოფელ გუფთასთან აღმოაჩინეს. წინასწარი ინფორმაციით, თვითმარქვია ხელისუფლების ეკონომიკის მინისტრი უკანასკნელად ღამის 2-3 საათზე ნახეს - იგი ქართული მხარის მიერ კონტროლირებადი სოფლების მიმართულებით წასულა. ვერსია პლიევის გატაცების შესახებ იმთავითვე გამოირიცხა. ავტოკატასტროფის სიმძიმიდან გამომდინარე, ცხინვალის ფაქტობრივი ხელისუფლების შინაგან საქმეთა მინისტრი რობერტ გულიევი თავიდანვე ეჭვობდა, რომ რუსლან პლიევი შემთხვევის ადგილზევე დაიღუპა.

მანქანის აღმოჩენის შემდეგ პლიევს რამდენიმე საათის მანძილზე ეძებდნენ ოსი და ქართველი მაშველები.

საბოლოოდ, გულიევის ვერსია გამართლდა და რუსლან პლიევის გვამი მაშველებმა მდინარე დიდ ლიახვში იპოვეს. როგორც ირკვევა, გვამი მდინარემ შემთხვევის ადგილიდან ექვსი კილომეტრის დაშორებით, სოფელ აჩაბეთამდე ჩაიტანა.

ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ავტოკატასტროფის ორი მიზეზი შეიძლება არსებობდეს. პირველი - პლიევმა საჭე ვერ დაიმორჩილა და ავტომანქანა მდინარეში გადავარდა. კერძოდ, ამბობენ, რომ დე ფაქტო რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრმა, რომელიც სამშვიდობო ძალების სარდლის თანაშემწესთან, პოლკოვნიკ ტრიახინთან ერთად სამშვიდობოების პოსტზე ალკოჰოლიან სასმელს სვამდა და შემდეგ გაემგზავრა ოსური სოფლის, გუფთის მიმართულებით, საჭე ველარ დაიმორჩილა და მდინარე ლიახვში გადავარდა. საბოლოოდ, გუშინ სწორედ ეს, უბედური შემთხვევის შესახებ ვერსია დაადასტურეს ცხინვალელმა სამართალდამცველებმა. მათი განცხადებით, რუსლან პლიევის სხეულზე ძალადობრივი სიკვდილის ნიშნები არ შეიმჩნევა და იგი უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა.

თუმცა, გუშინ დილიდან არსებობდა კიდევ ერთი ვერსია – ავტოავარიის გამოწვევა დივერსიული აქტის შედეგად.

ამასთანავე, სააგენტო "ინტერპრესის" ცნობით, არაოფიციალური წყაროები პლიევის ოსური მხარის მიერ მკვლელობას და შემდგომ წყალში გადაგდებას არ გამორიცხავენ.

*24 საათი*

# პატიმრები ადამიანის უფლებათა დამცველის განცხადებას უარყოფენ

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქსნის N5 საპყრობილეში მყოფი პატიმრები სიცრუესა და მონაჭორს უწოდებენ მასმედიის საშუალებებით არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისათვის" ხელმძღვანელის ნანა კაკაბაძის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ქსნის N5 საპყრობილის დირექტორი ავთანდილ თორდინავა პატიმრებს სცემს, ამცირებს და ფულს სძალავს.

ნანა კაკაბაძის მიერ ორიოდ დღის წინ გავრცელებული განცხადების თანახმად, ქსნის ახლადაშენებულ კოლონიაში ადგილი აქვს პატიმრების ცემის და მათთვის ფულის გამოძალვის ფაქტებს. კაკაბაძის განმარტებითვე, ამის შესახებ პატიმრებმა იუსტიციის სამინისტროს "ცხელი ხაზის" მეშვეობით შეატყობინეს, თუმცა ვითარების გამოსწორების ნაცვლად, საპყრობილეში გაგზავნილმა სამინისტროს სპეცრაზმმა პატიმრები სცემა.

ამჟამად უკვე თვით იუსტიციის სამინისტრო ავრცელებს წერილს, რომელიც, მათი განცხადებით, ქსნის N5 საპყრობილეში მყოფმა 70-მა პატიმარმა იუსტიციის მინისტრს გიორგი პაპუაშვილს გამოუგზავნა. წერილში აღნიშნულია, რომ საჩივრები, რომელიც თორდინავას ეხებოდა, სიცრუეზეა აგებული და ამ საჩივრის ავტორი რამდენიმე პატიმარი, ქსნის საპყრობილეში სარეჟიმო პირობების გამკაცრების გამო, თორდინავას დისკრედიტაციას ცდილობს.

პატიმრები აღნიშნავენ, რომ ისინი თბილისის N1 საპყრობილეში უფრო თავისუფლად ცხოვრობდნენ. ქსანში გადაყვანის შემდეგ მათ არ აქვთ კანონით დადგენილ დროზე მეტი ხნით სეირნობის უფლება და მობილური ტელეფონებით სარგებლობის საშუალება, რამაც ზოგიერთი პატიმარი გაანაწყენა.

**"იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლები პატიმრების გამოსაკითხად ქსანში ჩავიდნენ. პატიმრებმა მათთან საუბრისას კატეგორიულად უარყვეს მათ მიმართ საპყრობილის ადმინისტრაციის მხრიდან რაიმე უკანონობის ჩადენის ფაქტი,"** - ნათქვამია იუსტიციის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

*24 საათი*

# ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები იწყება

იუსტიციის უმაღლესი საბჭო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდებს, რომელიც 18 სექტემბრიდან დაიწყება, ამერიკის იურისტთა ასოციაციისა (ABA) და ამერიკის განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით ჩაატარებს. ადვოკატთა ეს გამოცდა ბოლო იქნება, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორგანიზებით ჩატარდება.

კანონით "ადვოკატთა შესახებ", 2005 წლის 1 იანვრიდან ტესტირებაჩაბარებული ადვოკატები შექმნიან ასოციაციას, რომელიც თავად ჩაატარებს ადვოკატთა გამოცდებს. 2006 წლის 1 იანვარს ყველა იმ ადვოკატს, რომელიც ტესტირებას არ გაივლის, ადვოკატის ლიცენზია შეუწყდება. ადვოკატის გამოცდა ცალ-ცალკე ჩატარდება სამოქალაქო, სისხლის და საერთო სამართალში.

გამოცდაში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღების ერთთვიანი პროცედურა 17 ივლისიდან დაიწყო და საბჭოში 1000-მდე იურისტის განცხადება შევიდა. გამოცდები სპეციალობების მიხედვით რამდენიმე ტურად ჩატარდება. იურისტებს ტესტის 100 კითხვაზე მოუწევთ პასუხის გაცემა. 75 სწორი პასუხი დადებით ქულად ჩაითვლება. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების დეტალების შესახებ გუშინ პრესკონფერენცია გამართა იუსტიციის საბჭოს მდივანმა პალიკო კუბლაშვილმა.

*24 საათი*

# ქუთაისის საპყრობილის პატიმრები სამართალდამცველებს წამებაში ადანაშაულებენ

*ქუთაისის საპყრობილეს სამი პატიმარი, უკვე რამდენიმე დღეა, შიმშილობს და თავს უდანაშაულოდ აცხადებს. პატიმრები პაატა ცხადაძე, მიხეილ ლომინაშვილი და ჭრელაშვილი ყაჩაღობაში არიან ბრალდებულნი. ბაღდათის პროკურატურა მათ გასული წლის სამ აგვისტოს, საირმე-თბილისის მიკროავტობუსის დაყაჩაღებას ედავება.*

ბექა სისაური
*ქუთაისი*

ისინი საკუთარ უდანაშაულობასთან ერთად ბაღდათის პოლიციაში სასტიკად ცემის შესახებაც მიუთითებენ. მათი ადვოკატი ნინო რობაქიძე კი გამოძიების მხრიდან მტკიცებულებების არარსებობისა და ვადების დარღვევის შესახებ საუბრობს. ეჭვმიტანილების ადვოკატმა დასახმარებლად "თავისუფლების ინსტიტუტის" რეგიონულ კოორდინატორს ნინო ლაჭავასაც მიმართა. რაც შეეხება გამოძიებას, ბაღდათის საგამოძიებო სამსახურის უფროსი ბრალდებებს უარყოფს, თუმცა კონკრეტულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოშიმშილეების წინააღმდეგ გააჩნიათ, არ საუბრობს.

**"ყაჩაღური თავდასხმა საირმე-თბილისის მიკროავტობუსზე გასული წლის აგვისტოში მოხდა, მაგრამ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე, არანაირი ბრალეულობა არ დასტურდება. მაგალითად, ერთ-ერთი ეჭვმიტანილის - ჭრელაშვილის სახლიდან, ამოღებულია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მაგრამ ბალისტიკური ექსპერტიზის შედეგად, ყაჩაღობის ადგილზე ნაპოვნი მასრები ჭრელაშვილის იარაღის მასრებს არ დაემთხვა. ფაქტია, რომ ეს ავტომატი ყაჩაღობის დროს გამოყენებული არ ყოფილა. ასევე არ დაემთხვა მიკროავტობუსიდან აღებული თითის ანაბეჭდებიც, თანაც, დაზარალებულებმა ბრალდებულებიც ვერ ამოიცნეს. მათი სახლების ჩხრეკისას კი ნაყაჩაღარი ნივთები საერთოდ არ აღმოჩნდა. ასე რომ, მათ მიმართ არანაირი მტკიცებულება არ არსებობს,"** - აცხადებს ცხადაძისა და ლომინაშვილის ადვოკატი ნინო რობაქიძე. მისივე განმარტებით, დარღვეულია გამოძიების ვადებიც, დაკავებისას ჯერ კიდევ ეჭვმიტანილები ბაღდათის პროკურატურაში სასტიკად იყვნენ ნაცემი. კერძოდ, ცხადაძე, ლომინაშვილი და ჭრელაშვილი ხელჯოხებით ფეხის გულებში უცემიათ და გაუპატიურებით ემუქრებოდნენ. **"საქმეში ხუთი დღის შემდეგ ჩავერთე, მაგრამ ცხადაძეს და ლომინაშვილს სხეულზე ცემის კვალი ემჩნეოდათ. კერძოდ, მათ სახეზე სისხლნაჟღენთები, ხოლო ფეხის გულებზე კი - წყლულები ჰქონდათ. ეჭვმიტანილები იმ პიროვნებების გვარებსაც ასახელებენ, ვინც ისინი სცემა, ესენია - ქარჩავა და მამუკელაშვილი. როგორც მათ მიამბეს, წაქცეულებს ხელჯოხით ფეხის გულებში სცემდნენ, შემდეგ კი ცივ წყალში აყენებდნენ და გაუპატიურებით ემუქრებოდნენ. ქმრის ბალთით თავის არეშია ნაცემი ცხადაძე. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით თბილისიდან გენერალური ინსპექციის წარმომადგენლები იყვნენ ჩამოსულები და მასხრად აგვიგდეს - პოლიციის განყოფილებაში ფეხები თუ დაგბანეს, მადლობა უთხარითო... ჩვენი მოთხოვნა არის ის, რომ მოშიმშილეები უკანონო პატიმრები არიან და დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდნენ,"** - აცხადებს ადვოკატი.

# დაკავებული ყაჩაღური ჯგუფის წევრი ყოფილი „კომანდოსია"

მცხეთა-მთიანეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა სოფელ მუხრანში შეიარაღებული ყაჩაღური ჯგუფის ხუთი წევრი დააკავეს. არჩილ ყველაშვილი, ემზარ ხვთისიაშვილი, კახაბერ ნიბლიაშვილი, გია ნიბლიაშვილი და რევაზ ბაბაშვილი მცხეთის პოლიციის წინასწარი დაკავების საკანში იმყოფებიან და მზადდება მასალები, რომლითაც გამოძიება სასამართლოს სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შუამდგომლობით მიმართავს.

დაკავებულთა შორის ერთ-ერთი - რევაზ ბაბაშვილი "კომანდოს" ბატალიონის ყოფილი წევრია. მისი საქმე გამოძიებას ჯერ არ შეუსწავლია, თუმცა, სავარაუდოდ, მან "კომანდოში" მსახურობის თაობაზე დადებული კონტრაქტი თავისი ნებით შეწყვიტა.

მცხეთის კრიმინალური პოლიციის უფროსის ვაჟა დგებუაძის ინფორმაციით, ჯგუფის ყველა წევრი მუხრანელია და წლების მანძილზე ისინი მცხეთის რაიონში ეწეოდნენ კრიმინალურ საქმიანობას. პოლიციის ხელთ არსებული მასალებით, "მუხრანის ჯგუფის" სათვალავშია ქურდობის ოთხი ფაქტი, შარშან მომხდარი ყაჩაღობის ორი ფაქტი, რომლის დროსაც, ნიღბებით სახედაფარულმა ჯგუფის წევრებმა, რომლებიც ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულნი იყვნენ, საცხოვრებელი ბინა დააყაჩაღეს.

ნაძარცვი ქონების ნაწილი – ვიდეო და მუსიკალური ცენტრი სამართალდამცველებმა ამოიღეს. ვაჟა დგებუაძის განცხადებით, დაკავებულებმა გამოძიებას აღიარებითი ჩვენებები უკვე მისცეს.

*24 საათი*

European Union
Ministry of Justice Republic of Georgia
UNDP
United Nations Development Programme

**განმეორებითი წინასაკვალიფიკაციო კონკურსი რუსთავის ციხის სასწრაფო სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად**

*განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2004 წლის 23 აგვისტო*

გაერო-ს განვითარების პროგრამა საქართველოში აცხადებს წინასაკვალიფიკაციო კონკურსს კვალიფიციური სამშენებლო ფირმებისათვის რუსთავის ციხის სასწრაფო სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად. შენობა 1985 წელსაა აშენებული, თუმცა არასოდეს ყოფილა ჩაშვებული ექსპლუატაციაში (იგი გათვლილია დაახლოებით 800 პატიმარზე; მთლიანი ფართობი შეადგენს დაახლოებით 13 000 კვ.მ). კომპლექსური სარეაბილიტაციო სამუშაოები მოიცავს (მომარაგებისა და დამონტაჟების ჩათვლით): სამშენებლო სამუშაოებს, წყლისა და კანალიზაციის სისტემებს, ელექტრო გაყვანილობის სისტემებს; საზედამხედველო/სათვალთვალო სისტემებს, შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის მქონე სამზარეულოსა და სამრეცხაოს; გათბობის სისტემას და სხვა გარე სამუშაოებს შემოღობვისა და ასფალტის დაგების ჩათვლით. სამუშაოების დასრულების მკაცრად განსაზღვრული ვადაა დაწყებიდან 6 თვე. სამუშაოების დაწყების სავარაუდო თარიღია 2004 წლის ნოემბერი. გამოყოფილი ერთჯერადი დაფინანსების ბიუჯეტი შეადგენს 1.2 მილიონ ევროს.

გაერო-ს განვითარების პროგრამა წინასწარ სატენდერო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ინდივიდუალურად ან ერთობლივ საწარმოდ (რეკომენდირებულია) მოქმედ სპეციალიზირებულ კომპანიებს ევროგაერთიანების წევრი და დსთ ქვეყნებისათვის ევროკავშირის ტექნიკური დახმარების (TACIS) ბენეფიციარი ქვეყნებიდან (საქართველოს ჩათვლით).

დეტალური განაცხადი (უფასო) და წინასაკვალიფიკაციო დოკუმენტები (ფასიანი) შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ ინტერნეტიდან, ან მიიღოთ გაერო-ს განვითარების პროგრამის ოფისიდან (იხ. მისამართები განცხადების ბოლოს). შევსებული განაცხადის ფორმა უნდა ჩაბარებულ იქნას 2004 წლის 23 აგვისტოს სამუშაო დღის დამთავრებამდე ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

რუსთავის რეაბილიტაცია, გაერო-ს განვითარების პროგრამა საქართველოში,
გაერო-ს სახლი, ერისთავის ქ. 9, თბილისი 0179, საქართველო.
ტელ: 998 558 / 25 11 26, ფაქსი: 250271/72, ელ. ფოსტა:
petter.meirik@undp.org
www.undp.org.ge/News/tenders.html





# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი თორნიკე ბერიშვილი

## ძმათამკვლელ ომში იმარჯვებს მხოლოდ სიკვდილი!

ლელა მარგიანი

*ახლოვდება 14 აგვისტო - დღე, როცა 12 წლის წინათ ჩვენსა და აფხაზებს შორის დაიწყო ის, რაც დღემდე ვერ მოგვიშუშებია. სამწუხაროდ ადამიანებს კეთილი საქმეები უფრო მალე ავიწყდებათ, ვიდრე-ბოროტება, მაგრამ, ალბათ, ახლოვდება დრო, როდესაც ქართველებმა და აფხაზებმა უნდა ვაპატიოთ ერთმანეთს. ჩვენ შეგვწევს ამის ძალა. ამ შინაგან ძალაზე მეტყველებს ეს ერთი ისტორიაც.*

ოცდაორი წლის თბილისელი, ზაალ მდინარაძე 1993 წლის 9 ივლისს, შუადღისას, ტამიშთან ბრძოლაში დაიღუპა. მისი მკვლელი, თვრამეტი წლის აფხაზი სნაიპერი, ზაალის მეგობრებმა იმ დღესვე მოკლეს.

ზაალის დაღუპვიდან სამი წლის შემდეგ დედამისმა, ქალბატონმა ზეინაბ მდინარაძემ საკუთარი შვილის მკვლელის მშობელს, ასევე შვილმკვდარ აფხაზ დედას მისწერა ღია წერილი. რვა წლის შემდეგ ქალბატონი ზეინაბის მიერ ჩვენთვის მოწოდებულ ღია წერილს უცვლელად ვბეჭდავთ იმ იმედით, რომ თუკი შვილმკვდარმა დედამ შეძლო პატიება, მით უფრო ჩვენ უნდა ვაპატიოთ ერთმანეთს.

### ჩემი შვილის მკვლელის, 18 წლის აფხაზი მეომრის დედას!

ჩემი შვილი, ზაალ მდინარაძე მოხალისედ წავიდა ომში. შინ დატოვებულ ბარათში მწერდა: ”დე, არ ინერვიულო, ჩამოვალ მალე, დაგირეკავ ოჩამჩირედან, გკოცნი. შენი ჭკვიანი შვილი ზაალი”.

ჩემს ვაჟკაცს სამშობლოსათვის თავდადება ყველა ღირსეული ადამიანის მოვალეობად მიაჩნდა.

ხშირად, ”ვეფხისა და მოყმის” ძეგლს რომ ჩავუვლიდით, ზაალი მანქანას შეაჩერებდა, უხმოდ მომიტრიალდებოდა. იცოდა, “ვეფხისა და მოყმის ბალადას” წავუკითხავდი. “არც ვეფხი იყო ჯაბანი, არც ჩემ შვილ შახვდა ჭკვიანი, მათ დაუხოცავთ ერთურთი, არ დარჩნენ სირცხვილიანი”...

ახლა ვნანობ, ალბათ, ჩემდაუნებურად ვამზადებდი ამ გზისთვის. ვნანობ, რა ვქნა, დედა ვარ, შვილის მონატრება ყველაფერს მიბნელებს...

ვინ ვინ და მე და თქვენ კარგად ვიცით, რა ულირს დედას თავისი შვილის სიცოცხლე. მე პირადად წინააღმდეგი ვიყავი ჩემი შვილის ომში წასვლისა. ამაზე ზაალი მეწინააღმდეგებოდა...

თქვენი შვილი, თავისი წარმოდგენით აფხაზეთის მიწას იცავდა “მომხდურთაგან”.

ჩემი ზაალიც აფხაზეთის, ანუ საქართველოს მიწას არ ანებებდა...

მაშ, რომელი იყო მტყუანი? არც ერთი და არც მეორე.

მათ არ გაემტყუნებათ თავიანთი საქციელი, რადგან ორივე მამულისთვის დაიხოცნენ.

ომში წინა დღით ჩასულმა ჩემმა შვილმა, უიარაღოდ, უშიშრად გაალწია ცეცხლის ხაზზე და რაცია მიუტანა ალყაში მოყოლილ ქართველ მეომრებს. თქვენმა სნაიპერმა შვილმა კი თავისი სამალავიდან ესროლა ჩემს შვილს ოპტიკური სამიზნიანი შაშხანიდან. მკერდში ტყვიამოხვედრილმა ზაალმა თურმე ჯერ დაუჩოქა (ალბათ, მუხლი მოუყარა სამშობლო მიწას), შემდეგ კი შუბლით შეეხო მას (თითქოს უნდოდა თაყვანი ეცა) და ასე დალია სული.

დარწმუნებული ვარ, როდესაც აფხაზეთში ჩამოვალ და სოფელ ტამიშში, ჩვენი შვილების სახელების უკვდავსაყოფად აგებულ მემორიალთან მოვალ, სხვა დედებთან ერთად თქვენც იქნებით. მოვძებნოთ ერთმანეთი, მივუსამძიმროთ, დავსხდეთ და ვუამბოთ ერთურთს ჩვენი შვილების ბავშვობისა და სიჭაბუკის ამბები, ვანუგეშოთ ერთმანეთი.

ვიყოთ ერთმანეთის მასპინძლები, მე – თბილისში, თქვენ – აფხაზეთში. დავამეგობროთ ჩვენი დანარჩენი შვილები (ზაალი ჩემი მესამე შვილი იყო, ნაბოლარა), ახლობლები.

ჩემზე და თქვენზე უკეთ ვინ იცის, რომ დაბადება სჯობს გარდაცვალებას, სიცოცხლე-სიკვდილს, სიკეთე-ბოროტებას, სიცილი-ტირილს, შენება-ნგრევას.

რა ჰქონდათ ჩვენს შვილებს გასაყოფი?

აფხაზეთი ხომ საქართველოს სხეულის ნაწილია და მისი ტკივილი სტკივა მთელ საქართველოს.

ამბობენ, აფხაზეთი უნდა დავიბრუნოთო. რა აქვს აფხაზეთს დასაბრუნებელი, სად წერია, რომ აფხაზეთი საქართველო აღარაა? ან ვის სჯერა მისი გასხვისება. მერე რა, რომ დღეს იგი მძევლად არის აყვანილი?

მოდით, დედებმა ყველაფერი ვიღონოთ, რათა აფხაზები და დანარჩენი ქართველობა კვლავ არ დაუპირისპირონ ერთმანეთს.

შთავაგონოთ ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს, შთამომავლობას, რომ ძმათამკვლელ ომში იმარჯვებს მხოლოდ სიკვდილი.

მაშ, ვილოცოთ დედებმა სიცოცხლისათვის!

*მოკლედ*

## რუსული დათვის საზაფხულო სამიზნე

რუსეთი აფხაზეთში დამსვენებელი თავისი მოქალაქეების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. ამის შესახებ ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ აფხაზეთში დასასვენებლად მყოფ რუსეთის მოქალაქეებს შეუძლიათ თავი მშვიდად და მტკიცედ იგრძნონ.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო გაკვირვებას გამოთქვამს საქართველოს ხელისუფლების გამონათქვამებთან დაკავშირებით იმის თაობაზე, რომ აფხაზეთი – ეს დასასვენებელი ადგილი კი არა, საომარი ზონაა. "ხომ არ ნიშნავს ეს, რომ თბილისში ცეცხლთან თამაში გადაწყვიტეს?" - კითხვას სვამენ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

რუსეთის საგარეო პოლიტიკური უწყების ამ განცხადების მიზეზი გახდა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამონათქვამი იმის თაობაზე, რომ აფხაზეთის სანაპიროსთან საქართველოს ტერიტორიულ წყლებში შემოჭრილ ყველა გემს, მათ შორის, ტურისტულსაც, ცეცხლს გაუხსნიან.

როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, თბილისის მიზანია რეგიონში არსებული ძირითადად მშვიდი ვითარების დესტაბილიზაცია, ტურისტული სეზონის ჩაშლა, აფხაზეთის ეკონომიკისათვის ზიანის მიყენება და ამით აფხაზეთის მოსახლეობისათვის შემოსავლის ერთ-ერთი წყაროს გადაკეტვა. **ინტერ-პრესი**

## "ფსოუს" გამტარუნარიანობა

სოხუმის ხელისუფლების ინფორმაციით, საქართველოს ტერიტორიალურ წყლებში უნებართვოდ მოძრავი გემებისათვის ცეცხლის გახსნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მუქარის მიუხედავად, აფხაზეთში დასვენების მსურველ მოქალაქეთა რაოდენობა გასულ კვირას არ შემცირებულა.

სოხუმის ხელისუფლების მონაცემებით, რუსეთ-საქართველოს საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე მოქმედმა სოხუმის ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფმა საკონტროლო-გამშვებმა პუნქტმა "ფსოუმ," გასულ კვირას აფხაზეთში დასვენების მსურველი რუსეთის ფედერაციის 12 ათასი მოქალაქე და 6 ათასი სხვადასხვა სახის ავტოტრანსპორტი გაატარა.

სოხუმის ხელისუფლების ახალგაზრდობის, სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს ინფორმაციით, რუსეთის წამყვანი ტურისტული სააგენტოები აფხაზეთში დასვენების მსურველი რუსეთის მოქალაქეებისათვის განაგრძობენ აფხაზეთის სასტუმროებსა და სანატორიუმებში ადგილების დაჯავშნას.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გასულ კვირას, ქვეყნის საზღვაო ძალებს საქართველოს ტერიტორიალურ წყლებში უნებართვოდ მოძრავი გემების დაკავება და დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ცეცხლის გახსნა დაავალა. მიხეილ სააკაშვილის აღნიშნულმა განკარგულებამ რუსეთის პოლიტიკურ წრეებსა და აფხაზეთში დასვენების მსურველ რუსეთის მოქალაქეებში შეშფოთება გამოიწვია. **ინტერ-პრესი**

## ბოევიკი "რესპუბლიკურში"

ქართველი მედიკოსები აფხაზ ბოევიკს, "ლეონის" ორდენის კავალერს - გენადი ჩირიკბას სამედიცინო უნივერსიტეტის ცენტრალურ კლინიკაში მკურნალობენ.

საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში არძინბას ხელისუფლების მიერ "ლეონის" ორდენით დაჯილდოებული, სეფსისით დაავადებული 40 წლის გენადი ჩიკირბა ნათესავების თხოვნით თბილისში, რესპუბლიკურ საავადმყოფოდ წოდებულ სამედიცინო უნივერსიტეტის ცენტრალური კლინიკის რეანიმაციის განყოფილებაში რამოდენიმე დღეა იმყოფება.

სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიის კათედრის პროფესორის ოთარ მარშავას ინფორმაციით, ჩირიკბას ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა და იგი გალიდან, თბილისში მისი ნათესავების მოთხოვნით ლუდუშაურის ნაციონალური ცენტრის კატასტროფის მედიცინის განყოფილების რეანომობილით იქნა ჩამოყვანილი და ამჟამად რეანიმაციის განყოფილებაში იმყოფება.

აფხაზეთის უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსის, გენერალ-მაიორ ლევან კიკნაძის ინფორმაციით, ქართველების წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლისათვის "ლეონის" ორდენით დაჯილდოებული გენადი ჩირიკბა, აქტიურ მონაწილეობას იღებდა გალის რაიონის დაბალ ზონაში მცხოვრები მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებულ სადამსჯელო ოპერაციებში. საქართველოს სპეცსამსახურების ინფორმაციით, იგი სეპარატისტული ხელისუფლების საბაჟო კომიტეტის ყოფილი თანამშრომელია. იგი ასევე აქტიურ მონაწილეობდა გალის რაიონში დარჩენილი მოსახლეობის ძარცვა-ყაჩაღობაში და წლების მანძილზე დაკავებული იყო აფხაზეთიდან ზუგდიდის რაიონში კონტრაბანდული საქმიანობით.

პროფესორ მარშავას მტკიცებით, იგი არ ფლობს ინფორმაციას წარსულში ჩირიკბას საქმიანობის შესახებ და აფხაზეთიდან თბილისში ჩამოყვანილი მოქალაქე მისთვის ჩვეულებრივი პაციენტია.

"ვფიქრობ, რომ მაინც კარგ საქმეს ვაკეთებ. გებელსის შვილიც რომ იყოს, ჩემი მოვალეობა ავადმყოფის მკურნალობაა," - აღნიშნავს პროფესორი მარშავა. **ინტერ-პრესი**

*14 აგვისტო*

# ომამდე დამარცხებული

... 1993 წლის 2 ოქტომბრის შუაღამე. უღელტეხილი. ალპური ზონა. გზისპირა ლოდთან ვჩერდებით მე და ჯემალ დარცმელია. სულს ვითქვამთ. ლოდს მოხუცი ქალი გადასწოლია, ძლივს გასაგონად კვნესის - მიშველეთ, დამეხმარეთ! ვერ ვშველით, ვერ ვეხმარებით. არც პური უნდა, არც წყალი მოხუცს, სამშვიდობოს სურს ყოფნა, შვილებსა და შვილიშვილებთან; სიცოცხლე უნდა. ჩვენ მისი ტარება არ შეგვიძლია. აღმართზე ღმუილით ამოდის "ურალი" - სამხედრო სატვირთო მანქანა, "ურალი" სამხიდიანია, ადვილად ძლევს უღელტეხილს. კაბინა ახალგაზრდა სამხედროებითაა გაჭედილი. გააჩერეთ, ბიჭებო! - ვყვირით ჩვენ. არ აჩერებენ. გახევებულები მხოლოდ წინ იყურებიან. არადა, სახე ყველას ერთნაირი აქვს. ვერც ერთს ვერ დაიმახსოვრებ. ეს მათაც კარგად იციან. "ურალი" გვშორდება. ახლაღა ვამჩნევთ, რომ "ურალის" ძარაზე კაციშვილი არაა. "ურალი" ღრიალით ჯაბნის აღმართის მკვეთრ მოსახვევს. ვაკვირდებით და... უცხოური მანქანა, თუ არ ვცდები - "მერსედესი", დაღლილი, ძვირფასბეწვიანი ცხოველივით ჩაყუჟულა "ურალის" ძარაში. ეტყობა, მაგრადაა მიკოჭილი ძარას, თორემ ასე რომ არ ყოფილიყო, ციცაბო აღმართზე გადმოქანდებოდა და ჩამოსრიალდებოდა. მიდის "ურალი", გზისპირას, ლოდზე მოხუცი კვდება, ჩვენც, - სიქაგამოცლილები, ისე ვუყურებთ ამ სურათს, თითქოს ეს ყოველივე სხვა ქვეყანაში, ან სულაც უცხო ფილმში ხდებოდეს; საკენში ასეთი "ურალის" მძღოლები მანქანის გადაყვანაში მილიონ რუსულ მანეთს ითხოვდნენ. კლიენტები ბლომად ჰყავდათ. "ურალს" კი შეუძლია 30-40 ადამიანი გადაიყვანოს სამშვიდობოს, 30-40 მომაკვდავი გადაარჩინოს, მაგრამ კაციშვილი არ ჩანს "ურალის" სვლის შემჩერებელი. ვერც იარაღს გამოიყენებს ვინმე, მაშინათვე ოთხი ავტომატი უპასუხებს არამკითხეს კაბინიდან. არ ჩანს კაცი, "ურალი" გააჩეროს, "მერსედესი" გზისპირას დააგდოს, 30-40 ბავშვითა და მოხუცით დახუნძლოს მანქანა.

ეს სურათი ჩემთვის საქართველოს სირცხვილია - უღელტეხილი, "ურალი" და "მერსედესი", მომაკვდავი ადამიანები. ეს სურათი ჩემთვის ღერბია ჩვენი დამარცხებისა!

ომი ომია, ომის შემდგომი მშვიდობაც თავისებური ომია. ერთნი ვამტკიცებთ, რომ ომი რუსეთთან წავაგეთ, მეორენი ვასაბუთებთ, რომ ომი წავაგეთ ჩრდილოეთკავკასიელებთან და კაზაკებთან, მესამენი - სხვას ვამბობთ. მოდით, მათ თავი გავანებოთ და იმ ომზე ვიმსჯელოთ, რომელიც საქართველომ საკუთარ თავთან წააგო, იმ ომზე, რომელშიც საქართველო დამარცხდა საქართველოსთან! არც პოლიტიკოსი ვარ, არც სამხედრო საქმე ვიცი, ვერც ვერავის განვიკითხავ, მაგრამ ერთი რამ ცხადია - საქართველოს როგორმე უნდა შეეჩერებინა ეს ომი და არ წარემართა ის, ან უფრო ზუსტად - არ დაეწყო! ვერ მოახერხა! სწორედ ამიტომაც დამარცხდა ქართული პოლიტიკა და ამ დამარცხებამ ამდენი სისხლი დაღვარა. გავა დრო და ომის გამომწვევ მიზეზებს და შედეგებს სპეციალისტები გააანალიზებენ. ჩემი სათქმელი სხვაა - საქართველო ომამდე იყო დამარცხებული! აფხაზეთის ომი საქართველოს უპირველეს ომში დამარცხების დასტური იყო. მეტი არაფერი. საქართველოს, ისევე, როგროც ნებისმიერ სხვა ქვეყანას, დასაბამიდან დაებედა თავისი უპირველესი და მარადიული ომი. ესაა ომი საკუთარ თავთან. ესაა ომი ზნეობისა უზნეობის წინააღმდეგ, სიკეთისა - ბოროტების წინააღმდეგ, ერთგულებისა - ღალატის წინააღმდეგ, სიყვარულისა - სიძულვილის წინააღმდეგ... და როგორც ვერავინ და ვერასოდეს ვერ გაექცევა საკუთარ თავს, საქართველო ამ ომსაც ვერ გაექცევა ვერასოდეს. ის მისი მარადი თანამგზავრია. როდესაც საქართველო იგებდა უპირველეს ომს, ის ერთიანი, ძლიერი, ბედნიერი ქვეყანა იყო მაშინ და სხვა ომებსაც იგებდა. ხშირად უომრადაც იგებდა ომს და მტერსაც კი მოსწონდა ასეთი საქართველო. როდესაც აგებდა უპირველეს ომს, უბედურდებოდა და სხვა ომებსაც აგებდა უმალ.

სანამ საქართველო დამარცხებულია თავის უპირველეს ომში, ის ვერც ერთ სხვა ომს ვერ მოიგებს, მარად დამარცხებული იქნება!

ერთხელ კიდევ ხაზს ვუსვამ - მე არ ვსაუბრობ იმ ომზე, რომელშიც სხვებთან დავმარცხდით, არამედ იმ ომზე ვლაპარაკობ, რომელიც საქართველომ საკუთარ თავთან წააგო!

ტანკებით და ავიაციით რკინიგზას არ იცავენ, ჩვენმა პოლიტიკამ ვერ გაისიგრძეგანა თავისი ქმედების რეალური შედეგი. ომმა იმსხვერპლა ათიათასობით ადამიანი, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდა ერთმანეთს ორი ხალხი, აზვირთდა სიძულვილი.

დაიხოცა მშვიდობიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი,. დაიღუპნენ პატიოსანი, კეთილი ადამიანები, როგორც ეს ყოველთვის ხდება (როგორც ზემოთ ვთქვი, ომში დაღუპულთა უმრავლესობა უდანაშაულო, ნათელი სულისანი არიან). ეს წესია ომის, მისი ზნეა, მისი რელიგია. ჩვენ ღმერთი გვსჯის იმიტომ, რომ გვართმევს რჩეულებს.

ჩვენ აფხაზეთის ომამდე ვიყავით დამარცხებული!

ჩვენ მაშინ დავმარცხდით, როცა სიძულვილის ესკალაცია განვავითარეთ, როცა ბოლმის შხამი ვანთხიეთ, იმის ნაცვლად, რომ გვეთქვა - "ქართველებო, გიყვარდეთ ერთმანეთი!". მეგობარი მტრად გავიხადეთ, მოწინააღმდეგე სამგზის მტრად მოვიკიდეთ, საკუთარ ოჯახში აგენტებისა და ხალხის მტრების ძიება გამოვაცხადეთ, ულირსი აღვაზევეთ, განსხვავებულ აზრს ყიჟინით გამოვენთეთ. უპირველესად სიტყვით გავხდით მკვლელები ერთმანეთისა: სიტყვით იმიტომ, რომ დავივიწყეთ ჩვენს წმინდა წერილებში თქმული - "ყოველი, ვისაც სძულს თავისი ძმა, კაცისმკვლელია". დავივიწყეთ რუსთაველი - "გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი". ეს რუსთაველოლოგებმაც დავივიწყეთ, პოლიტიკური პირამიდის მწვერვალზე მდგარმა რუსთაველოლოგებმაც.



ასე იწყებოდა 14 აგვისტო. ნეტავ, რა გვიხაროდა.

მოძულე კაცზე უბედური ამ ქვეყანაზე არ დადის. დღევანდელი მოძულეები ხვალინდელი ომის შემოქმედები არიან, გამომხმობები არიან ომის.

ავ სიტყვებს ავი სროლები მოჰყვა. პატივცემულ "მაკაროვს" ბატონი "კალაშნიკოვი" აჰყვა. ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც საშინელებათა სპექტაკლში, გაიბზარა საქართველო. უბედურება საქართველოს გულიდან დაიწყო. ჩვენს მიერ ბრიყვულად და ბოლმით მოქნეული მარჯვენის ინერციამ ჩვენვე დაგვცა. იარაღი არაკაცებსაც ჩაუვარდათ ხელში. იარაღმა მოგზაურობა დაიწყო მამულში. ჩვენ აქ, თბილისში წავაგეთ აფხაზეთის ომი! ომი, რომელიც არა და არ უნდა დაგვეწყო!

თუ, მართლა, სადღაც, სხვაგან იწერებოდა ამ საშინელების სცენარი, ჩვენ ზედმიწევნით ჩინებულად შევასრულეთ ჩვენ-ჩვენი როლი და თან მიამიტებივით ვიძახით: ჩვენ ამის გაკეთება არ გვინდა, ამას სხვები გვაკეთებინებენო.

ჩვენ მაშინ დავმარცხდით, როცა უგუნურად მოვიქეცით სამეგრელოში, როცა უცოდველი ადამიანები დავსაჯეთ, უდანაშაულოებს დავერიეთ, ვძარცვეთ ჩვენი ხალხი. არ ზოგავდა ამ კუთხეს დამხობილი ხელისუფლება და, ფაქტობრივად, სისხლისღვრისაკენ, ომისაკენ მოუწოდებდა მას, ცდილობდა, ბოლომდე გამოეყენებინა მისი პოტენცია, გულუბრყვილობაც. არ ზოგავდა ამ კუთხეს ახალი, ძველის იარაღით მძლეველი მმართველობაც... და, საბოლოოდ, ცოდვათა მორევში ხალხი ისჯებოდა, ისჯებოდა სრულიად საქართველო. შედეგად ბაბილონელებივით სხვადასხვა ენაზე დაიწყეს საუბარი დედაქალაქმა და პერიფერიებმა. ერთმანეთის ჭირისადმი ზედაპირულმა, აგდებულმა დამოკიდებულებამ, ერთმანეთის სატკივარის ვერგაგებამ, ღალატმა დაგვამარცხა.

საქართველოს ისტორიის დაწყევლილი წლებიდან კვლავ ამოტივტივდა მოჯადოებული ტახტი და ტახტისათვის ბრძოლამაც არ დაახანა, იმ ტახტისათვის, რომელიც, მიუხედავად XX საუკუნისა, მიუხედავად ჩვენს თავს დამტყდარი ამდენი უბედურებისა, ბრიყვსაც კი რომ ასწავლიდა ჭკუას, მაინც ბაჯაღლო ოქროსი გვგონია, არადა, ავი დემონის მიერაა მოოქროვილი, მხოლოდ ჩვენს მიერ სისხლით მოთხვრილი. ჩვენ დაგვამარცხა იმ ტახტის ოქროსფერმა, მასზე ახლადდაღვრილმა და მასზე შემხმარმა, ძველმა სისხლმაც! ჩვენ დაგვამარცხა ურთიერთსიძულვილმა და დაუნდობლობის იმ ტრადიციამ, რომელიც ვერა და ვერ ამოვიშანთეთ გულიდან.

ჩვენ დაგვამარცხა ულმერთობამ!

ჩვენ მითიური, ორთავიანი ფრინველივით დავღუპეთ საქართველოს სხეული. იმ ფრინველივით, რომლის თავებმა შეიძულეს ერთმანეთი და ერთიმეორის საზიანოდ ქვების ყლაპვა იწყეს. მართალია, ორი თავი, მაგრამ ერთი სხეული ჰქონდა ფრინველს, ერთი კუჭი... და ფრინველმაც ვერ მოინელა მოძულე თავების ნაყლაპი ქვები და დაიღუპა.

ჩვენ სიძულვილის გამო დავისაჯეთ, დავისაჯეთ სიძულვილისა და სიბრიყვის გამო! დავისაჯეთ იმ უკიდურესი რადიკალიზმის გამო, რომელსაც ადევნებულებმა თავი მერამდენედ ამოვყავით მახეში და მერამდენედ მოვხვდით სისხლის ნიაღვარში. მოვინდომეთ ერთი ნახტომით გადავვლებოდით იმ უფსკრულს, რომელსაც, ყველაზე ცოტა, სამი ნახტომი მაინც სჭირდება. ჩავვარდით კიდეც!..

ჯერ ძმათმოძულეები, ხოლო შემდეგ ძმათამკვლელები გავხდით. მაშინ დავმარცხდით სწორედ! ღმერთმა დასწყევლა ძმისმკვლელი კაენი. მან კი, სასოწარკვეთილმა, ამოთქვა: "ამის შემდგომ ვინც მე შემხვდება, ის მომკლავს მეო". ღმერთმა ნიშანი დაადო კაენს, რათა არავის მოეკლა იგი. მას უნდა ეცხოვრა და თავისი ცოდვით ევლო ამ ქვეყანაზე. ღმერთმა მას სიცოცხლე მიუსაჯა - სასჯელის უმაღლესი ზომა! არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ორ ძმას შორის რომელია მართალი. მთავარია და საშინელი, რომ ერთ-ერთი ძმის მკვლელია. ასეთთან კი საუბარიც ძნელია; ასეთთან არც ლხინის სუფრაზეა გვერდით ჯდომა სახალისო!

ასე დავმარცხდით ჩვენ!

უღელტეხილზე ბავშვები და მოხუცები გველუპებოდნენ, ჩვენ, კი, შიშისა და სიხარბისაგან დაბრმავებულები, "ურალებითა" და ვერტმფრენებით ქონებას მივეზიდებოდით, ვძარცვავდით ნახევრადცოცხალ თვისტომთ, მათ, რომლებსაც სახლიდან ერთი ფუთაღა მოჰქონდათ, ფუთა და იმედი იმისა, რომ - ნაწამებთა და დევნილთ უპატრონებდა და მოეფერებოდა მამული. ჩვენ ყველამ ერთად გავწირეთ მათი და ჩვენი იმედი. რამდენი სიკეთე ხვდებოდა ხალხს გზადაგზა, რამდენი თანამდგომი, კეთილშობილი ადამიანი, მაგრამ ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ასეთი სიავის მოწმეც გავხდებოდი ოდესმე. აფხაზეთში დაბადებული და გაზრდილი კაცი ვარ და კარგად ვიცი, რასაც ვამბობ - აფხაზი გაჭირვებაში ჩავარდნილ აფხაზს არასოდეს მოექცევა ისე, როგორც ჩვენ ერთმანეთს უღელტეხილზე მოვეპყარით.

ჩვენ ტერიტორიულ ომში კი არ დავმარცხდით, არამედ ზნეობრივ ომში დავმარცხდით და, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავთან!

ჩვენ მაშინ დავმარცხდით, როცა კომფორტის თაობას დავამონებინეთ თავი. საქართველო მუხლებზე დაეცა ამ თაობის წინაშე. უსიტყვო კაპიტულაცია გამოაცხადა. ჩვენ დაგვამარცხეს ფულისა და უცხოეთის მაღაზიების კულტით, "ყოჩაღი ბიჭებისა" და სიყალბის განდიდებით. ჯერ კიდევ სამოციან წლებში მიუსხდნენ ერთ მაგიდას ქურდები და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, ჩარჩები და ჩინოსანი მოხელეები. საბოლოოდ იშვა მახინჯი ჰიბრიდი - მაფიოზთა, ჩარჩთა და მედროვეთა ქვეყანა. დაითრგუნა სინათლე!

ნურავის ჰგონია, რომ გადავლახეთ ის ავადსახსენებელი უღელტეხილი. ჩვენ შუა უღელტეხილზე ვიმყოფებით, სიკვდილ-სიცოცხლის სამანზე და იქვე დავრჩებით სამუდამოდ, სანამ ჩვენს გვერდით ადამიანები იხოცებიან და სანამ ჩვენს გვერდით ტაატით გადიან გზას უცხოური მანქანებით დატვირთული "ურალები". სანამ ასეთი გაჭირვების ჟამს, რომლის მსგავსი, მგონი, არც ჩვენი ისტორიული მახსოვრობის შრეებშია, ვმუხთლობთ ერთმანეთს, სანამ ასე გათითოკაცებული და კუთხეებად დაყოფილი უგუნურები და უსინდისოები სიძულვილს ვამეფებთ, სანამ ერთმანეთს ვლანძღავთ და ვაგინებთ, სანამ ვტრაბახობთ კიდეც ამით და თავს ვიწონებთ, სანამ ვყაჩაღობთ და ვხოცავთ, სანამ ბოღმა გვახრჩობს, სანამ სრულიად საქართველოს სიყვარული და სინათლე, სრულიად საქართველოს სიკეთე და გონი სადღაც კუთხეში არ გვყავს მიმწყვდეული და განწირული, იქ ვიქნებით, იქ, სამუდამოდ - უფსკრულის ნაპირზე მდგარნი, უღელტეხილის სუსხსა და ქარში, ნისლსა და მარტოობაში, ერთა შორის ეულები, განგების მიერ დასჯილი, გადაგვარებული მამულიშვილები!

ჩარჩი გავიბატონეთ სულში, გავიმეფეთ, ჩარჩს დავაპყრობინეთ სულის უწმინდესი სფერო, გავიბინძურეთ სული და სულჩარჩიანმა დიდჩინოსნებმა და წვრილმა სამხედროებმა, გაზულუქებულმა, ფუფუნებას დაჩვეულმა სამოქალაქოებმა, იქითურებმა და აქეთურებმაც ათასნაირი გზითა და ხრიკით ვყიდეთ და ვყიდეთ "მკვდარი სულები" იმ ომში, რომელიც არა და არ უნდა დაწყებულიყო. ვყიდეთ "ქაღალდის ბატალიონები", იარაღი და პროდუქტები, სამხედრო ფორმები და ჯარისკაცების კბილის ჯაგრისებიც კი, კაცობა გავყიდეთ და გავყიდეთ იმედი და რწმენა, მერე ვზიდეთ და ვზიდეთ ოჯახებში საქართველოს დამარცხება, საქართველოს დაცემა, საქართველოს სირცხვილი!

განუკითხაობამ დაგვამარცხა ჩვენ!

ინგრეოდა სოხუმი, გრუხუნებდა ომი მის ერთ უბანში, მეორე უბანს კი ყიდულობდნენ ჩარჩები, ყიდულობდნენ და ყიდდნენ, ინაწილებდნენ, ევაჭრებოდნენ ერთმანეთს. იყიდებოდა უცხოეთიდან მოტანილი ჰუმანიტარული დახმარება გემებითა და თვითმფრინავებით. ნარკობიზნესმენები უცოდველი ჩანან "ჰუმანობიზნესმენების" ფონზე. ცნობილია - ვაჭართა ქარავნებს ხუთიოდე მოლაღობე ყაჩაღი აცეკვებს თავის ნებაზე. ჩარჩი მხდალი, საცოდავი არსებაა. ჩარჩული სულით გაჟღენთილი ომი დიდი ხნით ადრე დამთავრდა დამარცხებით. ვერ იქროლებენ, ბიჭებო, თქვენი ძვირადღირებული მანქანები, საშინელი სიკვდილით დაღუპული 30-40, კიდევ სხვა 30-40 სული ყოველდღე თან სდევს მათ და სულ ტყუილად გგონიათ, რომ ისინი ვეღარ გხედავენ თქვენ. ბოლო-ბოლო, მანქანების გადაყვანას მერეც ხომ მოასწრებდით, როცა დევნილებს ეშველებოდა. განწირულები ხართ, ბიჭებო, ცოდვიანია თქვენი ქონება. მონები ხართ თქვენი ცოდვისა, არა მარტო თქვენ, ჩვენც - ყველანი, თქვენს გამო! თქვენს ფულს ვასიკო ჯიშკარიანის - რაინდი მეომრის - სისხლი აცხია, ვასიკოსი, რომელიც ამბობდა - მოვა დრო და აუცილებლად შევრიგდებით ქართველები და აფხაზები, უპირველესად ნამდვილი მეომრები შევრიგდებით, ჩვენ გავუგებთ ერთმანეთს, კაცები, და არა მკვლელები, არა მწვალებლები, არა ბინძურები. თქვენითაც დავმარცხდით ჩვენ; სავალალოა ჩვენი მდგომარეობა! ფულის კეთების სხვა გზებიც ხომ არსებობდა, ბიჭებო! იქ, სადაც ჩარჩული სული აღზევდა, გამარჯვება არ გვეწერა!

იცით, როგორ იჭერენ აფრიკაში მაიმუნებს? დიდ, გულამოცლილ გოგრას ხვრელს უკეთებენ და შიგ საჭმელს ყრიან. მაიმუნი ჩაჰყოფს ხელს გოგრაში, მუჭით იღებს საკვებს და უკან ამოღებისას დამუშტული მტევანი აღარ ეტევა ხვრელში. მოდიან მონადირეები, მაიმუნს გაქცევა უნდა, კივის, ჩხავის, მაგრამ ხარბია, საჭმელი არ ეთმობა, ხელი გოგრიდან ვერ გამოაქვს... ასე იჭერენ მაიმუნებს აფრიკაში!

იცით, როგორ იჭერენ ბანანა-თევზებს ამერიკაში? დაახლოებით ახლახან ნახსენები გოგრის მსგავს გოგრაში ბრინჯს ყრიან და წყალში ათავსებენ. შეცურდება სულელი ბანანა-თევზი, ჭამს ბრინჯს, ჭამს და მერე უზომოდ გაბერილი, ვეღარ ეტევა ხვრელში. მოდიან მეთევზეები და წყლიდან ამოაქვთ გოგრა. ასე იჭერენ ბანანა-თევზებს ამერიკაში!

ჩვენ ვერც სალაფავი დავთმეთ, ბიჭებო, ვიხმაურეთ და ვიყვირეთ, ამერიკასაც გადავძახეთ და აფრიკასაც, იაპონიასაც და ბურკინა ფასოსაც, მაგრამ ხარბნი და უძლებნი ვერ გავეტიეთ იმ ხვრელში, რომლის იქით ულამაზესი, ლაღი და თავისუფალი სივრცე იწყებოდა... ასე დავმარცხდით ჩვენ აქ, საქართველოში.

ჩვენ მაშინ დავმარცხდით, როცა აკრიტიკებდნენ და ლანძღავდნენ რა რუსეთს, ჩვენი ლიდერები საბელადო ფრაზებით საბელადო ქულებს იგროვებდნენ მიტინგებზე. კრიტიკა - კრიტიკად, მაგრამ სად იყო, სად იყო ის სიბრძნე, რომელსაც საქართველო ქარბორბალაში მოხვედრილი ხომალდივით უსაფრთხოდ უნდა გამოეტარებინა წყალქვეშა რიფებით დანაღმულ წყლებზე. სად იყო ის დიდოსტატი, ვისაც 10-15 სვლით ადრე უნდა სცოდნოდა, თუ დაახლოებით რა სიტუაცია შეექმნებოდა პოლიტიკის საჭადრაკო დაფაზე, იმ დაფაზე, სადაც ხისგან გამოთლილი ფიგურები კი არა, ადამიანები იღუპებიან.

ხანდახან რეალობის შეგრძნებადაკარგულები სადღაც მოვისვრით ყუმბარას და არც ვუფიქრდებით, სად აფეთქდება...

საქართველოს ნგრევა მისი სულის ნგრევიდან დაიწყო ("ინგლისელებს არ დაუპყრიათ ინდოეთი, არამედ იგი ჩვენ თვითონ მივეცით მას", - მაჰათმა განდი).

ჩვენ ბრალმდებელთა ქვეყანა ვართ, სადაც ყველა ერთმანეთს განიკითხავს და ასამართლებს, საკუთარი თავი კი უცოდველად მიაჩნია. ანგელოსების მხარეშიც არ ხდება ასე!

ქვეყნის გამგებლებს არც ადრე ჰქონდათ გათავისებული და არც ახლა ახსოვთ ძველთუძველესი, ზეციური პრინციპი - რომ ისინი მწყემსები არიან - და საქართველოს ნებისმიერი მოსახლე შვილია მათი და ისე უნდა გაუფრთხილდნენ, ვით საკუთარ პირმშოს; გაუფრთხილდნენ, მიესათუთონ თავიანთ სამწყსოს და უყვარდეთ უკლებლივ ყველა! უყვარდეთ და შეიყვარებენ! მამული, მთები და მდინარეები, გეოგრაფია და გეოპოლიტიკა კი არ არის, მამული - ადამიანია!

და სანამ თავად არ ჩავწვდებით ჩვენი სირცხვილის არსს, სანამ თავად არ ჩამოვირეცხავთ ლაფსა და ტალახს, სანამ არ ვეტყვით ერთმანეთს სათქმელს ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვისა და სიძულვილის გარეშე, ჩვენი საშველი არ იქნება. ჩვენი თანადგომით უნდა ვუმკურნალოთ ერთმანეთსაც და უბედურებების რკალში მოწრიალე ქვეყანასაც, ჩვენ თავად უნდა დავდგეთ ფეხზე, თორემ სხვათა იმედით ვერასოდეს გავიმართებით წელში!

არადა, დაწყევლილებიც ვართ - როცა ერთმანეთს მწარე, მაგრამ საჭირო სიმართლეს მივაგებებთ, ჩვენ სიტყვებს შორის აღარ ისმის გულის კაკუნივით ხმა - "ამას იმიტომ გეუბნები, რომ მიყვარხარ და მინდა, ყველას უყვარდე! უკეთესი მინდა იყო!"

ჩვენ მაშინ დავმარცხდით, როცა 87 პროცენტით ავირჩიეთ პირველი პრეზიდენტი, ხოლო 95 პროცენტით სახელმწიფოს მეთაური. ნებისმიერი ნორმალური ქვეყნისათვის ეს არანორმალური პროცენტებია. თუ მათთან ვითარება ასე წარიმართა, საგონებელში ჩავარდებიან. ჩვენ ერთი კაცის შემყურე ქვეყანა ვართ! ჩვენ გვჭირდება ის ერთი კაცი იმისათვის, რათა მერე, როცა დრო მოდგება, ყველაფერი მას გადავაბრალოთ. ჩვენ მისი მსხვეპლად შეწირვა გვჭირდება. ოღონდ ჩვენ არ ვიყოთ რამეში დამნაშავე! ჩვენ ჯერ ცაში ავტყორცნით მას, გავაღმერთებთ და მერე ერთგვარი სიამოვნებითაც დავანარცხებთ მიწაზე. ესაა ჩვენი ფარული, უზნეო შეთქმულება! ისე ვცხოვრობთ, თითქოს იჯარით აღებულ ქვეყანაში ვიყოთ. მოშლილია სახელმწიფოს ერთიანობის და მისი სინდისის ერთიანობის სტრუქტურა, ასევე ერთიანი პასუხისმგებლობის გრძნობაც.

ზოგიერთი ჩვენგანი დღეს თავს იმშვიდებს - ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ სხვა ქვეყანას საქმე ბევრად უარესად ექნებოდაო. თუნდაც ასე იყოს, მერე რა? ეს ჩვენ რას გვიშველის? თავს რატომ ვიტყუებთ? სხვებს შევეშვათ, მოდით, უპირველესად პასუხი საკუთარ თავს მოვთხოვოთ; მოვინანიოთ ჩვენი ცოდვები - დიდნი და მცირენი. ჩვენ ხომ ცოდვამრავლები ვართ. ყველაფერი სულიერი განწმენდიდან უნდა დავიწყოთ და მხოლოდ შემდეგ განვიკითხოთ სხვები. ეს ხომ კაცური და პატიოსანი ქმედება იქნება. ძნელია და შეუძლებელი მოუნანიებელი სულით ცხოვრება...

***გურამ ოდიშარია, 1994 წლის აპრილი***

## რეფორმები და ჩამცხრალი ვნებები ფილარმონიაში



დიდ საკონცერტო დარბაზს ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს.

B2

## სულ ნაირ-ნაირი კაცები და ქალები



მერლინ მონროსაც ჰქონია საკუთარი აზრი იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს ქალი.

B3

## „მეიბილინის„ ახალი სახე



B8

# ფრესკების ქვეშ და ფრესკების გარეთ

თამარ სუხიშვილი

უკვე მესამე თვეა სვანეთში, წვირმის თემში, იელის მაცხოვრის ეკლესიაში სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს. სვანეთში 12 რესტავრატორი მუშაობს. ექსპედიციას ბატონი **მერაბ ბუჩუკური** ხელმძღვანელობს, მხატვარი-რესტავრატორი, საპატრიარქოს ხელოვნების ხუროთმოძღვრებისა და რესტავრაციის ცენტრის დაზგური და მონუმენტური მხატვრობის რესტავრაციის დეპარტამენტის თავმჯომარე. შედეგი უკვე გამოჩნდა. იელის ეკლესიაში დაცული XII საუკუნის ფრესკების ქვეშ X საუკუნის კედლის მხატვრობას და წარწერებს მიაკვლიეს. შემოდგომაზე ცენტრი უკვე ატენის სიონის რესტავრაციის პროექტის განხორციელებას დაიწყებს.

შარშან ცენტრმა იუნესკოდან მიიღო გრანტი წალენჯიხის ეკლესიის რესტავრაციის პროექტისათვის. მაშინ ქართველ რესტავრატორებთან ერთად ამ პროექტში ცნობილი გერმანელი სპეციალისტი, ბრანდენბურგის ოლქის მთავარი რესტავრატორი მეჰთილდ მინორიც მონაწილეობდა. შემდგომში გაირკვა, რომ 2003 წელს დაფინანსებული 107 ქვეყნის 1200 პროექტიდან არჩეულ ორ საუკეთესოდ შესრულებულ პროექტს შორის ერთი წალენჯიხის პროექტი იყო. ამ პროექტის წყალობით, წალენჯიხის ფერისცვალების ეკლესიის გუმბათი შეაკეთეს. რესტავრაციის მასალები უახლოეს ხანებში იუნესკოს ჟურნალში გამოქვეყნდება.

მერაბ ბუჩუკური დღეს ჩვენი სტუმარი გახლავთ. ის ახალ აღმოჩენებზე, ძეგლთა დაცვის, რესტავრაციის საკითხებზე და კიდევ სხვა პრობლემებზეც საუბრობს.

ჩვენი რესპონდენტის პათოსი გასაგებია, მას თავისი საქმის, თავისი უწყების ბედი აწუხებს, თუმცა რიგით მკითხველებს ალბათ გარკვეული შეკითხვებიც გაუჩნდებათ (სპეციალისტებს კი ალბათ უფრო მეტი): ვის ევალება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კულტურის ძეგლებზე ზრუნვა? რესტავრაციის დროს რომელ მეთოდს უნდა მიენიჭოს უპირატესობა - აღდგენას თუ კონსერვაციას? როგორ უნდა მოხდეს რესტავრაცია, თუ საქართველოში სათანადო პირობები არ გვაქვს (მაგალითად, ქიმიური ლაბორატორიები)? და, რაც მთავარია, როცა ჩვენი კულტურის ძეგლს ვინმე ნებსით თუ უნებლიეთ ხელყოფს, ჩვენ, ბუნებრივია, განგაშს ავტეხთ ხოლმე, თბილისში კი XI საუკუნის ქართული წარწერა და კიდევ უფრო ძველი ქართული ფრესკები სულ მალე შეიძლება ღია ცის ქვეშ აღმოჩნდეს...

### ცოტა რამ ხელოვნების, ხუროთმოძღვრებისა და რესტავრაციის ცენტრის საქმიანობის შესახებ

რამდენიმე წლის წინ გაირკვა, რომ, კანონმდებლობის მიხედვით, სარესტავრაციო სამსახურები ძეგლთა დაცვის სისტემას აღარ ექვემდებარებოდა. და ჩვენც სახელმწიფო ყურადღების მიღმა დავრჩით. ეს სამსახურები შპს-ებად გადაკეთდა და, ფაქტობრივად, ჰაერში გამოკიდებულები აღმოვჩნდით. ვინაიდან შპს ვიყავით, გრანტის მიმღებიც ვერ ვიქნებოდით. სწორედ ამ პერიოდში გამოვიდა დადგენილება - კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის. ეს იყო 2002 წლის 14 ოქტომბერი. დადგენილებას ხელს აწერდნენ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე და პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. ამ კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე: **"სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს, მოქმედს და არამოქმედს, მათ ნანგრევებს, აგრეთვე მიწის ნაკვეთებს, რომელზედაც ისინი არიან განლაგებულნი."** (მე-7 მუხლი). აქედან გამომდინარე, რაკი მეპატრონე ეკლესია გახდა, უწმინდესის კურთხევით საპატრიარქოსთან შეიქმნა ხელოვნების, ხუროთმოძღვრებისა და რესტავრაციის ცენტრი, რომლის ხელმძღვანელობა უშუალოდ პატრიარქმა აიღო თავის თავზე. მის მოადგილედ დაინიშნა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი. შემდეგ ამ ცენტრში შეიქმნა რამდენიმე დეპარტამენტი: დაზგური და მონუმენტური მხატვრობის რესტავრაციის, არქიტექტურის რესტავრაციის, არქეოლოგიის და სხვა დეპარტამენტები.

ამ სამსახურში ძალიან მნიშვნელოვანი საქმეები წამოვიწყეთ. აღვადგინეთ რამდენიმე ეკლესია, მოხდა ანანურის ეკლესიის ფერწერის რესტავრაცია, აღვადგინეთ დირბის მხატვრობა (XIV საუკუნე), საგულისხმო სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა სვანეთში, გადაწყდა ატენის სიონის პროექტის დაფინანსების საკითხი...

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, გული მტკივა, როცა ერთ-ერთ გაზეთში კულტურის მინისტრის მოადგილის, ნიკა ვაჩეიშვილის ასეთ შენიშვნას ვკითხულობ: "იმ ნგრევის ფონზე, რაც ბოლო წლების განმავლობაში ხდება, მეორე პრობლემა ჩნდება, პროფესიონალი კადრების სიმცირე." მინდა ერთ რამეს გავუსვა ხაზი: რასაკვირველია, კადრები არ გვყოფნის, იმიტომ რომ სამუშაოა ბევრი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ დაფინანსება ნულის ტოლია, მაშინ კადრები მეტიც კია; ჩვენი საკმაოდ მაღალკვალიფიციური კადრების დიდი ნაწილი უმუშევარია. კულტურის მინისტრის მოადგილე იქვე მიუთითებს: "დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებობს ფული და მძიმე მდგომარეობა, მაგრამ შუალედური რგოლი, ვინც ამ პრობლემას გადაჭრის, არ არის." ვერ დავეთანხმები. ეს რგოლი არსებობს და საკმაოდ ძლიერი რგოლია, იგი განთავსებულია ეკლესიაში ჩვენი დეპარტამენტების სახით. აქ მუშაობენ პროფესიონალი რესტავრატორები, რომლებმაც პრინციპში დარგი გადაარჩინეს: თამარ ნემსაძე, ვანო გრემელაშვილი, სოსო ბანძელაძე, ნიკო ზაზუნაშვილი და სხვები. მე მესმის, რომ მინისტრის მოადგილის ეს ფრაზები სხვა კონტექსტშია ნათქვამი, რომ ძეგლთა დაცვის მომყაყებულ სისტემაში აუცილებელი რეფორმებია გასატარებელი; მაგრამ იმ ფაქტის უარყოფა, რომ პროფესიონალები არსებობენ, არა და არ შეიძლება. მე ვთხოვდი დარგის მესვეურებს, კარგი იქნებოდა, ამ რეორგანიზაციის პროცესში არა მარტო ხელოვნებათმცოდნეები და ისტორიკოსები, არამედ უშუალო შემსრულებლები - რესტავრატორებიც რომ ჩაერთოთ. ეს ყველაფერი საქმეს წაადგება.

ამასთან, ისიც მინდა დავამატო, რომ ჩვენი ცენტრის მუშაობა კადრების განახლება-შენარჩუნებასაც უწყობს ხელს. თითოეულ ექსპედიციაში სამხატვრო აკადემიის სამი-ოთხი სტუდენტი მუდმივად იღებს მონაწილეობას. ეს ამართლებს. თანაც სტუდენტები არა მარტო პრაქტიკას გადიან ჩვენთან, დიპლომებსაც ჩვენს ბაზაზე იცავენ. შემიძლია დაგისახელოთ კიდეც ის საუკეთესო რესტავრატორები, რომლებიც დიპლომის დაცვის შემდეგ დღესაც ჩვენთან მუშაობენ - დათო გაგოშიძე, ზაზა სუმბაძე, ზვიად ბერიძე, ილია მსხილაძე...

### ახალი აღმოჩენები - არავის ეგონა, ამ ხატის აღდგენა თუ მოხერხდებოდა

ახლა ჩვენი ცენტრის მიერ განხორციელებულ იმ სამუშაოებზე მოგითხრობთ, რომლებიც კედლის მხატვრობასა და ხატების რესტავრაციას ეხება. გარეჯიდან დავიწყებ. ხუთი წლის წინ აქ, ერთ-ერთ დაზიანებულ გამოქვაბულში, VII-VIII საუკუნის ფრესკები აღმოჩნდა. ხელოვნებათმცოდნე ზაზა სხირტლაძემ მაშინვე გამოთქვა აზრი, რომ ეს ფრესკები სასწრაფოდ უნდა გადაგვერჩინა. მერე გეოლოგიურმა შემოწმებამ დაადასტურა, რომ გამოქვაბული ინგრეოდა და ფრესკების მოხსნა აუცილებელი იყო. ფრესკები მოვხსენით. მოვასწარით. ორ კვირაში გამოქვაბულიც დაინგრა.

ჩვენმა ცენტრმა სარესტავრაციო სამუშაოები ჩაატარა სვანეთშიც, ლალამის მაცხოვრის ეკლესიაში. ეს არის ორსართულიანი ეკლესია, VIII-IX საუკუნის მცირე ზომის ეკლესიაზე XIII საუკუნის ეკლესიაა დაშენებული. ორივე მოხატულია. ქვედა ეკლესიაში პირველი ფენა IX საუკუნის მხატვრობაა, რომელიც ზემოდან გადაუხატავთ სავარაუდოდ XII საუკუნეში (ვფიქრობთ, ეკლესია დავით აღმაშენებლის მხატვრის - თევდორეს მიერ არის მოხატული). ზედა ეკლესიაში XIV საუკუნის ფრესკებია შემონახული. ლალამის ეკლესიაში დაცულია ფასადური მხატვრობის ნიმუშებიც.

ამასთან, მე წილად მხვდა ბედნიერება მიმეკვლია ლატალის საკმაოდ მოზრდილი ხატისთვის. ხატი დამწვარი იყო. არავის ეგონა, თუ რამის აღდგენა მოხერხდებოდა. არადა, ხატი ძალიან მნიშვნელოვანი იკონოგრაფიული ღირებულების მქონე აღმოჩნდა. აქ გამოსახულია ცხენებზე ამხედრებული წმინდა გიორგი და წმინდა თევდორე; წმინდა გიორგი კლავს დიოკლეტიანეს, წმინდა თევდორე კი - გველეშაპს. ძალზე იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ეს ორი წმინდანი ერთად არის გამოსახული. ლატალის ხატი XIII საუკუნით თარიღდება.

### შენობა იყიდება, რა ბედი ეწევა ფრესკებს?

სამწუხარო ისაა, რომ გარეჯში მოხსნილი ფრესკები ჩვენს სამსახურში დევს. ექსპოზიციის გაკეთება ვერ მოვახერხეთ. დაფინანსება არ არის. მოხსნითაც ჩვენი ინიციატივით მოვხსენით, ძეგლთა დაცვის სამსახურს დღესაც ვალად აქვს ეს სამუშაოები. ის შენობა (ყიფშიძის 34) კი, სადაც არქიტექტურის სარესტავრაციო სამსახური და დაზგური და მონუმენტური მხატვრობის კვლევისა და რესტავრაციის სამსახურია განთავსებული და სადაც ფრესკები ინახება, დღეს ოფიციალურად იყიდება, გასაყიდ შენობათა ნუსხაშია შეტანილი. მის დანგრევასა და საცხოვრებელი სახლის აშენებას აპირებენ.

ფრესკები სად წავიღოთ, არ ვიცით. გასაგებია, რომ სარესტავრაციო სამსახურები სახელმწიფოს მოგებას არ აძლევს, ან რა მოგება უნდა მისცეს? (მატერიალურ მოგებას ვგულისხმობ). როგორ უნდა მოვიქცეთ, ფრესკა გავყიდოთ, თუ რა გავაკეთოთ?

შენობა მძიმე მდგომარეობაშია, ვერ ვუვლით, სახურავიდან წყალი ჩამოდის, მაგრამ აქ არის ოთახები, სადაც საგანძურია შენახული. გარეჯის ფრესკების გარდა, აქ დაცულია VII-VIII საუკუნეების სამაჩაბლოს ფრესკები, ქემერტის წმინდა გიორგის ეკლესიიდან, რომელიც დიდი მიწისძვრის დროს დაინგრა. აქაა ლიხნიდან (აფხაზეთიდან) მოხსნილი 1066 წლის ქართული (მდივან-მწიგნობრული ხელით შესრულებული) წარწერები...

### ცოტა რამ წარსული გამოცდილებიდან - ყინწვისის ეკლესიის რესტავრაციის შესახებ

ალბათ გახსოვთ ყინწვისის ეკლესიის რესტავრაციასთან დაკავშირებული აჟიოტაჟი, რომელიც იტალიელი რესტავრატორების პროექტთან იყო დაკავშირებული. ეს გახლდათ 70 ათას დოლარზე გათვლილი პროგრამა, რომელიც იმდენად უსუსური აღმოჩნდა, რომ ვერანაირ კრიტიკას ვერ გაუძლო (იტალიელი რესტავრატორებისთვის უცხო იყო მშრალ ტექნიკაზე მუშაობა). საბოლოოდ ტენდერში ქართველმა რესტავრატორებმა გაიმარჯვეს და ყინწვისის ეკლესიაც მათ აღადგინეს. ერთადერთი, რაშიც იტალიელები დაგვეხმარნენ, ის იყო, რომ მათ თავიანთ ლაბორატორიებში სოკოს სინჯების ანალიზი გააკეთეს და ამ მეთოდით ეკლესიის კედლებზე მოდებული სოკო მოსპეს. ჩვენ, უბრალოდ, ლაბორატორია არ გაგვაჩნია, ეს ანალიზი რომ ჩავატაროთ. სამწუხარო ის არის, რომ საზოგადოებაში არასწორი ინფორმაცია გავრცელდა. ამ ინფორმაციის გავრცელებაში დიდი როლი პრესამ ითამაშა. მაგალითად, ერთ-ერთ გაზეთში სტატიაც კი გაჩნდა ასეთი სათაურით: "იტალიელების გარეშე ყინწვისის ფრესკებს ვერ გადავარჩენდით - ქართველი რესტავრატორები კი აცხადებენ, რომ იტალიელთა ღვაწლი მინიმალური იყო".

### აღდგენა თუ კონსერვაცია?

დღეს მთელ მსოფლიოში აქტუალურია კითხვა: როგორ უნდა დავიცვათ ისტორიული ძეგლები - უნდა მოხდეს მათი კონსერვაცია თუ აღდგენა? ჩვენს ქვეყანაში ბოლო წლებში ასეთი იდეოლოგია იყო - ყველა ერთმნიშვნელოვნად ამბობდა, რომ ჩარევა არ შეიძლებოდა და თუ, მაგალითად, ფრესკას თვალი ჰქონდა ამოჩიჩქნილი, ეს ასევე უნდა დაგვეტოვებინა. მაგრამ ისიც მინდა ვთქვა, რომ ჩვენ აღდგენის დიდი ტრადიცია გვაქვს, ისტორიულად ასე იყო, რაც ზიანდებოდა, ალადგენდნენ. მაგალითად, მეფის მხატვრის თევდორეს მიერ მოხატული (1112 წელი) ლაგურკის წმინდა კვირიკეს ეკლესია XIV საუკუნეში მიწისძვრისგან დაინგრა, XVII საუკუნეში ადგნენ და, რაც დაზიანებული იყო, ხელახლა მოხატეს. ასეთი მაგალითები ბევრია.

აღდგენის ტრადიცია ევროპაშიც იყო, მაგალითად, ჯოტოს ფრესკები მოგვიანებით აღდგენილია რესტავრატორების მიერ.

დღესდღეობით ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია მოითხოვს კონსერვაციას. რეკონსტრუქციისათვის დაფინანსება, როგორც წესი, არ არის. ეს იმიტომ, რომ ევროპაში რაც გასაკეთებელი იყო, გაკეთდა. ჩვენთან სხვა ვითარებაა.

დავა იმის თაობაზე - აღდგენა თუ კონსერვაცია, თანასწორუფლებიანია. ორივე აზრს არსებობის თანაბარი უფლება აქვს. მაგრამ მე მაინც აღდგენის ვერსიას ვუჭერ მხარს. ვიმეორებ, საქართველოში ეს ტრადიცია არსებობდა და არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ პერიოდში იყო წყვეტა. რაც შეეხება რუსთაველის ფრესკას, აქ ჩვენ საქმე გვაქვს არაორდინარულ მდგომარეობასთან. გუშინ იყო ფრესკა, რომლის ბრწყინვალე ფოტო გვაქვს მასშტაბში, ფერში და დღეს ის აღარ არის. ანუ მისი აღდგენა არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს რესტავრატორისათვის. თუმცა, ეს რესტავრაცია ხანგრძლივი პროცესია. მას წინ უნდა უძღოდეს ლაბორატორიული შესწავლა, უნდა ჩატარდეს შელესილობის, გრუნტის შემაკავშირებლის, სტილისტური და სხვა ანალიზები. ეს უცხოეთის ლაბორატორიებში უნდა მოხდეს, რადგან, სამწუხაროდ, ჩვენ ასეთი ლაბორატორიები არ მოგვეპოვება. უნდა დამზადდეს ასლები, ამ საქმეში უნდა ჩაერთონ ხელოვნებათმცოდნეები და მხოლოდ ამის მერე უნდა დაიწყოს რეკონსტრუქცია ცალკე მასალაში. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ანალიზების გაკეთება ადვილია, რადგანაც ფრესკაზე ხელია დარჩენილი და სახე და ხელი ერთი საღებავით იხატებოდა. თანაც არსებობს კარგი ფოტოები, გადაღებული დათო ცხადაძის მიერ. ამ თვალსაზრისით, აღდგენა მარტივი საქმეა (თუმცა ნებისმიერ მხატვარს ეს არ უნდა მივანდოთ), მაგრამ ამას დრო და საზოგადოების ნება სჭირდება. თუ იქნება ნება, რომ ეს უნდა აღდგეს, მერე ვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორ უნდა აღდგეს.

### მალე ატენის სიონის რესტავრაცია დაიწყება

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ბევრი ძეგლი მძიმე მდგომარეობაშია. დაფინანსება არ არის და, სამწუხაროდ, სახელმწიფოსგან სურვილსაც თითქმის ვერ ვხედავ. არადა, საჭიროა გამოიკვეთოს პრიორიტეტები: რომელი ძეგლია სასწრაფოდ გადასარჩენი; შეიძლება ადრეული ძეგლი იყოს და ნაკლებად უჭირდეს, ხოლო შედარებით ახალი, მაგალითად, XVII ძეგლი კი ინგრეოდეს. ასეთ მდგომარეობაშია ქუთაისთან მდებარე ზარათის და ზესტაფონთან მდებარე ტაბაკინის ეკლესიები. აქ ფრესკები ცვივა. უძველესი ძეგლებიდან სავალალო მდგომარეობაშია ვარძია. ჩვენის მხრივ, პროექტები მომზადებული გვაქვს, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერს ვახერხებთ.

ერთი სასიხარულო ამბავი კი უნდა გითხრათ. როგორც უკვე აღვნიშნე, კერძო ინიციატივით და კერძო კონტაქტებით ვმუშაობთ. ახლახანს ვიყავი მიწვეული ბელგიაში, სადაც ატენის სიონით დაინტერესდნენ. ატენის სიონი, როგორც არქიტექტურული, ისე ფერწერის თვალსაზრისით, მძიმე მდგომარეობაშია. ამერიკის საელჩომ უკვე გამოყო გრანტი პირველი გადაუდებელი არქიტექტურული სამუშაოების ჩასატარებლად. ამ სამუშაოებს ქალბატონი თამარ ნემსაძე უხელმძღვანელებს. მერე კი ჩვენი ბელგიელი მეგობრების დახმარებით გერმანიიდან დაფინანსება მივიღეთ პირველი ეტაპის კვლევითი სამუშაოების (ფოტო და გრაფიკული დოკუმენტაცია, სოკოს ანალიზების ჩატარება...) განსახორციელებლად. ანალიზები გერმანიაში ამ რამდენიმე დღის წინ უკვე გავაგზავნეთ. შემოდგომიდან გადაუდებელ კვლევით სამუშაოებსაც დავიწყებთ, ხოლო კვლევის შედეგების განხილვა-შეჯამების საფუძველზე რესტავრაცია-კონსერვაციასაც შევუდგებით. ვფიქრობთ, ატენის სიონი კარგი რესტავრაციის ნიმუში იქნება.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

სვანეთი. ლალამის ეკლესია.





სვანეთი. ეცერის თემი. ფხუტრერი. მთავარანგელოზი მიქაელი (?) მე-14 საუკუნე (რესტავრაციამდე და რესტავრაციის შემდეგ).

# რა საერთო აქვს ვაზის ფესტივალს რთველთან

ვერა ნეფარიძე

*როგორც ცნობილია, ოქტომბერში კახეთში საქართველოს მთავრობის ახალი პროექტი (რომლის სავარაუდო სახლწოდებებია: "ვაზის ფესტივალი" და "რთველი") განხორციელდება. პროექტის პრეზენტაცია რამდენიმე დღის წინათ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში გაიმართა. ქვეყნის ხელისუფლება დიდ სამზადისშია, რამდენადაც "რთველი" ქვეყნისთვის ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია, რომლის წარმატებაშიც ეჭვი არ ეპარებათ ორგანიზატორებს; თანაც, რამდენადაც ეს ქვეყნისთვის საერთაშორისო არენაზე საიმიჯო პროექტია, იმდენად ავტორებს სურვილი აქვთ, მასში ყველა დაინტერესებული პირი თუ უწყება ჩაერთოს, თუკი ეს პროექტისთვის სასარგებლო იქნება.*

მსგავსი ღონისძიებები (ოღონდ, გაცილებით მცირე მასშტაბების) საქართველოში დიდი ხანია იმართება (თუნდაც, 70-ანი წლებიდან ელისო ვირსალაძის კლასიკური მუსიკის საღამოები კახეთში). ერთ-ერთი მათგანია "ვაზის საგალობელი", რომელსაც ოთარ გორდელის სახელობის სალონი-მუზეუმის - "შემოქმედება" დირექტორი, ლალი მიქავა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან (სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო; სამტრესტის დეპარტამენტი; თბილისის მერია...) ერთად ორგანიზატორობდა. მას შემდეგ, რაც კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ აღნიშნული პროექტის პრეზენტაცია გამართა, "ვაზის საგალობელის" ავტორს გაუჩნდა პრეტენზია, რომ მას იდეა მოჰპარეს.

"განა შეიძლება საქართველოში ვინმემ რთველის იდეა დაიჩემოს, ან დააპატენტოს? ან, კორიდას იდეის დაპატენტება შესაძლებელია?" - გვპასუხობს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე გუგა სულხანიშვილი, - "მსგავსი ღონისძიებები ყოველთვის იმართებოდა; რთველი ყველასია და გაიმართება ლალი მიქავას, კულტურის სამინისტროსა და სხვების გარეშეც. ხოლო, თუკი ვინმეს იდეები აქვს "რთველან" დაკავშირებით, ყველას მოვუსმენთ და მონაწილეობაზე უარს არავის ვეტყვით". მინისტრისგან პროექტში მონაწილეობისთვის შეთავაზება "ვაზის საგალობლის" ავტორმაც მიიღო, მაგრამ რატომღაც ჩვენთვის უცნობი დარჩა, რატომ არ თანხმდება ლალი მიქავა ხელისუფლების ამ პროექტში ჩართვაზე.


იური ლობოდინის ფოტო

*გუგა სულხანიშვილი, ზურაბ ჟვანია და გიორგი გაბაშვილი რთველისთვის ემზადებიან.*

რამდენად შეიძლება ოქტომბერში დაგეგმილ ღონისძიებებს არალეგალური ვუწოდოთ, ალბათ, არც ისე რთული გასარკვევია. რადგანაც, ამ ორ ღონისძიებას (რომელსაც ლალი მიქავა 2000 წლიდან ახორციელებდა და საქართველოს ხელისუფლების პროექტს) მხოლოდ იდეა აერთიანებს; რთველის იდეის ავტორობაზე პრეტენზია კი ცოტა არარეალურია.

როგორც ლალი მიქავა ამბობს, იგი პირველი იყო საქართველოში, ვინც ღვინის კულტურა, სახელოვნებო სფერო და ტურიზმი ერთმანეთს დაუკავშირა და საერთო ღონისძიებაში გააერთიანა (კონკრეტულად - ფესტივალ "ვაზის საგალობელში"); პირველი ფესტივალი 2000 წელს გაიმართა (მას შემდეგ, რაც ორგანიზატორმა ლალი მიქავამ წერილობით მიმართა საქართველოს მაშინდელი პარლამენტის თავმჯდომარეს, ზურაბ ჟვანიას); ღონისძიებას სპონსორობას უწევდნენ: ედუარდ სურმანიძე და სოსო ჩხაიძე. ფესტივალის პროგრამის მიხედვით გათვალისწინებული იყო რამდენიმე ღონისძიება: ღვინის გამოფენა, ტარის დიზაინის კონკურსი, სამეცნიერო კონფერენციები და სახელოვნებო წარმოდგენები. 2001 წელს საქართველოს გარდა, ფესტივალში ოთხმა ქვეყანამ (საფრანგეთი, რუსეთი, მოლდოვა და უკრაინა) მიიღო მონაწილეობა. 2003 წელს ფესტივალის მხოლოდ პირველი ნაწილის (კონფერენცია საქართველოს საპატრიარქოში) გამართვა მოესწრო; ცნობილი მოვლენების გამო, მერიის განკარგულებით ღონისძიება დროებით შეჩერდა.

წელს "რთველი" საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტული პროექტია, რაც მისი მასშტაბების გაზრდის საშუალებას იძლევა. ესაა პროექტი, რომელმაც საქართველოში (ყოველწლიურად ეს ღონისძიებები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაიმართება) ღვინის წარმოებას პოპულარიზაცია უნდა გაუწიოს, განავითაროს ტურიზმი და ეს ყველაფერი სახელოვნებო დარგების გამოყენებით გალამაზდეს. ანუ, ღონისძიებათა ეს კომპლექსი ისეთი უნდა გამოვიდეს, როგორც ქვეყნის საიმიჯო პროექტს შეეფერება.

# რეფორმები და ჩამცხრალი ვნებები ფილარმონიაში

ვერა ნეფარიძე

*დიდ საკონცერტო დარბაზს ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს. ცვლილებები ფილარმონიაში გაცილებით უმტკივნეულოდ დაიწყო, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ძველი დირექცია უფროსობას შეელია; ახალი კი დარბაზის კეთილმოსაწყობად ზრუნვას იწყებს. იმედია, ფილარმონიის ახალი დირექცია ამ ვალდებულებასაც ისევე წარმატებით გაართმევს თავს, როგორც თბილისში ჯაზის ფესტივალების დამკვიდრება შეძლო.*

საუბარია კომპანია "ისთერნ პრომოუშენის" ხელმძღვანელობაზე. სწორედ მათ გადაეცა დიდ საკონცერტო დარბაზზე მზრუნველობა. ეს ყველაფერი კი დიდ საკონცერტო დარბაზთან არსებული სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საკითხის განხილვის შემდეგ, დარბაზის მეპატრონემ - ეკონომიკის სამინისტრომ დაახლოებით ათი დღის წინათ გადაწყვიტა. ამჟამად დიდი საკონცერტო დარბაზის დირექტორთა საბჭო ასეთი შემადგენლობისაა: გენერალური დირექტორი გიორგი კერესელიძეა; ტექნიკური დირექტორი - სანდრო ბიწაძე; ფინანსური დირექტორი - დათო მენაბდე; მარკეტინგის დირექტორი კი, - კახა კანდელაკი.

საჯარო საუბარი დიდი საკონცერტო დარბაზის შესახებ სულ მცირე, ორი წელი გრძელდება. შარშანწინ აქტიურად მსჯელობდნენ (რაც საზოგადოებაში ჭორების სახით ვრცელდებოდა) შენობის გაყიდვაზე (დღემდე დიდი საკონცერტო დარბაზი სახელმწიფო საკუთრებაა და ამოღებულია საპრივატიზაციო ნუსხიდან). შემდეგ შეიქმნა დარბაზთან არსებული სამეთვალყურეო საბჭო და ჭორებიც ფილარმონიის გაყიდვასთან დაკავშირებით, თითქოს შეწყდა. სამაგიეროდ, იზრდებოდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრების უკმაყოფილება მაშინდელი დირექციის მისამართით. პრეტენზიის ძირითადი მიზეზი იყო შენობის ხელმძღვანელობის სრულიად ინდეფერენტული განწყობა საქმისადმი. "ფილარმონიას მაინც არაფერი ეშველება, მაინც დაინგრევა", - ამბობდნენ ისინი და როგორც ჩანს, ელოდნენ შენობის დანგრევას. საბჭოს წევრები კი მოითხოვდნენ, შანსი მისცემოდა მათ, ვინც სხვაგვარად ფიქრობდა...


ბესო გულაშვილის ფოტო

*ფილარმონიას ახალი პატრონი გამოუჩნდა.*

სალაროში არსებული განუკითხაობა, საშინელი ანტისანიტარია შენობაში, მოუწესრიგებელი მაყურებელთა დარბაზი; გამოსაცვლელი აპარატურა; ახლებური დაცვის სამსახურის შექმნა და რასაკვირველია, რემონტი, - ესაა ის პირველადი სამუშაო, რომლის უპირობო განხორციელებასაც აპირებს დარბაზის ახალი დირექცია. "ამ ეტაპზე ჩვენი ძალებით გვინდა დავიწყოთ მცირედი რემონტი; მოვაწესრიგოთ საპირფარეშოები; გავაკეთოთ ბუფეტი; დაწყებულია ზრუნვა ინვესტორების მოსაზიდად, რომ ნორმალური რემონტი გავაკეთოთ. ფილარმონია რეალურად ცენტრალური საკონცერტო დარბაზია და შესაბამისად უნდა იყოს გამართული", - გვითხრა დარბაზის მარკეტინგის დირექტორმა კახა კანდელაკმა. კანდელაკის თქმით, პირველად სამუშაოებს შორის უპირველესი იმ "ხვრელების" ამოქოლვაა, საიდანაც დარბაზში წლების განმავლობაში უბილეთოები შედიოდნენ. მისივე ინფორმაციით, ფილარმონაიში დაახლოებით ათამდე ასეთი "ხვრელი" არსებობდა. აქედან აიხსნება ის ნონსენსიც, რომელიც ამ ხნის განმავლობაში განუწყვეტლივ მეორდებოდა: სალაროში გაყიდული ბილეთების რაოდენობა არ ემთხვეოდა დარბაზში მაყურებელთა რაოდენობას... ყოფილი დირექცია კი სულ წუწუნებდა, რომ დარბაზს, რომელიც იმის გამო, რომ ყველა მსურველისთვის ხელმისაწვდომი (საარენდო გადასახადის თვალსაზრისით) იყო, და აქედან გამომდინარე, წლის განმავლობაში საკმაოდ დატვირთულიც, თურმე, "მოგება არ ჰქონდა". მართლა ასე რომ ყოფილიყო, ალბათ, უფრო ადრეც გამოიცვლებოდა დარბაზის ხელმძღვანელობა და მეტიც: საკუთარი სურვილით შეელეოდნენ თანამდებობებს. თავის მხრივ კი, არც "ისთერნ პრომოუშენი" მოეკიდებოდა უპერსპექტივო ვალდებულებას.

# კულტურის სამინისტრო ახალგაზრდა შემოქმედთათვის

ნანა ბასილაშვილი

"გადავწყვიტეთ ჩვენს პრესკონფერენციებს შემოქმედებითი დატვირთვაც მივცეთ", - საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული მუსიკალური ხელოვნების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის წარმომადგენლებმა გუშინ პირველი "შემოქმედებითი" პრესკონფერენცია გამართეს.

მუსიკალური ხელოვნების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის პირველი ნაბიჯი წარმატებული აღმოჩნდა. სამგზავრო გრანტი, რომელიც ამ პროგრამის კომისიამ ახალგაზრდა პიანისტს ალექსანდრე ბერიძეს გადასცა, მას პიანისტთა პრესტიჟულ საერთაშორისო კონკურსზე მოხვედრის რეალური შანსი მისცა, შედეგით კი ყველა კმაყოფილი დარჩა. ქართველმა პიანისტმა ნიუ იორკის Piano Sammer-ის მასტერ კლასებსა და იაკობ ფლიერის სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე I პრემია მოიპოვა.

ახალგაზრდა შემოქმედთა ხელშეწყობა და მათი პროფესიული ზრდა მუსიკალური ხელოვნების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ნიჭიერი ახალგაზრდების საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებსა და მასტერ-კლასებში მონაწილეობის მხარდაჭერის მიზნით, კულტურის სამინისტრო სამგზავრო გრანტებს სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში გამოყოფს. ალექსანდრე ბერიძის ამ გამარჯვებას კულტურის მინისტრის მოადგილე თათა ქვარიანი მთელ სამინისტროს ულოცავდა. დამეთანხმებით, რომ ჩვენში ამგვარ მხარდაჭერას საკმაოდ ბევრი, მართლაც, ნიჭიერი შემოქმედი საჭიროებს.

"ჩვენი პროგრამა, რომელიც მუსიკალურ სფეროს აფინანსებს, ზრუნავს ამ სფეროს წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლებასა და მათ დაოსტატებაზე. აქცენტი, რასაკვირველია, ახალგაზრდა შემსრულებლებზე კეთდება, ისევ და ისევ მათი განვითარებისა და შემოქმედებითი წინსვლისთვის", - აღნიშნა თათა ქვარიანმა. კონკურსანტებიდან ღირსეულ კანდიდატს პროგრამის კომპეტენტური კომისია ადგენს და შესაბამისად სამგზავრო გრანტიც მას ეძლევა.


მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*ბერიძე საზოგადოებას მასტერ-კლასების პროგრამას წარმოუდგენს.*

პირველი რჩეული, რომელმაც იმედები გაამართლა, დღემდე მრავალი კონკურსების ლაურეატი და პრიზიორია. ნიუ იორკის Piano Sammer-ის მასტერ კლასებსა და იაკობ ფლიერის სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე ალექსანდრე ბერიძე ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორმა ეთერ ანჯაფარიძემ მიიწვია. "ვფიქრობ, რომ ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი გავაკეთე, რაც ობიექტურად დამიფასდა", - ამბობს ალექსანდრე ბერიძე. ერთთვიან მასტერ-კლასებში კონკურსანტთა შორის მან განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა. I პრემია სწორედ ამის დამამკიცებელი საბუთია. საკუთარ შემოქმედებას ბერიძემ ჟურნალისტებიც აზიარა. სასიამოვნო თემასთან დაკავშირებული პრესკონფერენცია სასიამოვნო ნოტაზე დასრულდა. თათა ქვარიანი ამიერიდან სწორედ ასეთ შეხვედრებს დაგვპირდა.

სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა, რომელიც საქართველოს ბიუჯეტიდან ფინანსდება, მუსიკალური სფეროს გარდა, სახვით ხელოვნების, თეატრალურ და ფოლკლორის სფეროზეც ვრცელდება. თითოეულ დარგში შესაბამისი პროგრამა და პრიორიტეტებია გამოყოფილი. კულტურის სამინისტროს მიზნობრივი კომისიის მიერ გამოცხადებულ პროგრამებს ჩვენივე გაზეთის ფურცლებზე იხილავთ.

# მუსიკალური მეტამორფოზები

სოფიო პეტრიაშვილი



ჟერომ პერნო მასტერკლასს ატარებს.

ერთი წელია, რაც საქართველოს ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან საფრანგეთის საელჩოს უშუალო მხარდაჭერითა და ხელშეწყობით თანამშრომლობს ცნობილი ფრანგი ვიოლონჩელისტი **ჟერომ პერნო**. ამ დროის მანძილზე მისი ხელმძღვანელობით კონსერვატორიის სტუდენტებს უტარდებოდათ მასტერ-კლასები, რის შედეგადაც ისინი მომავალ შემოდგომაზე პროფესიული სრულყოფისა და დახელოვნების მიზნით საფრანგეთში გაემგზავრებიან. სხვა უამრავ პროექტთან ერთად, უახლოეს მომავალში ერთობლივი ძალისხმევით ოფიციალურად ჩამოყალიბდება კონსერვატორიასთან არსებული სიმებიან საკრავთა აკადემია.

**- ბატონო პერნო, როგორ ჩაეყარა საფუძველი თქვენს თანამშრომლობას?**

- საფრანგეთის საელჩომ საქართველოში და თბილისის კონსერვატორიის რექტორმა ქალბატონმა მანანა დოიჯაშვილმა მომიწვიეს. მოგეხსენებათ, საერთო პროექტი, რომლის განხორციელებაც ჩვენ წამოვიწყეთ, ერთი ვიზიტით არ კეთდება, ასე რომ, პერიოდულად კონსერვატორიის სტუდენტებს მასტერ-კლასებს ვუტარებ, ასევე ხშირად გამოვდივარ კონცერტებით როგორც თბილისში, ასევე საქართველოს სხვა ქალაქებში. მაყურებელი თქვენს ქვეყანაში უზადო გემოვნებითა და განსაკუთრებული ემოციურობით გამოირჩევა, რაც ყოველი გამოსვლისას დიდ სტიმულს მაძლევს. თუმცა, არ დაგიმალავთ, რომ ამჟამად ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კონსერვატორიასთან თანამშრომლობაა. ვცდილობ, საქართველოში გატარებული ყოველი წამი ჩემს ქართველ სტუდენტებს დავუთმო.

**- საქართველოში პირველად არ ბრძანდებით, ალბათ, გარკვეული შთაბეჭდილებები უკვე შეგექმნათ.**

- პირველ რიგში, მინდა ავღნიშნო, რომ ბუნების მშვენიერებამ აღფრთოვანებაში მომიყვანა. ახლახან, ივლისის დასაწყისში დასავლეთ საქართველოში გასტროლების დროს შესაძლებლობა მომეცა, ამ საოცრებით დავმტკბარიყავი. ბათუმი დავათვალიერე, ზღვის სანაპიროზე გავისეირნე და პეტრას ციხეც კი მოვინახულე. ხოლო ღამით გაჩახჩახებულმა ქალაქმა შთაბეჭდილებები კიდევ უფრო გამიმძაფრა. საერთოდ, სინათლე ჩემთვის არა მარტო ფიზიკური, არამედ სულიერი მოვლენაცაა. ქუთაისშიც გახლდით, ბაგრატის ტაძარი და გელათი დავათვალიერე. ვუყურებდი და მეჩვენებოდა რომ უძველესი სალოცავების ქვები მუსიკალურ ჰანგებს გამოსცემდნენ. როგორც ჩანს, წარმოსახვის ოინებია, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია - საქართველოს ბუნება და ისტორია შთაგონების უშრეტი წყაროა.

**- თქვენ, როგორც მუსიკოსი ქართულ ფოლკლორს თუ გაეცანით?**

- ბუნებრივია, თანაც სწორედ დღეს ანსამბლ "რუსთავის" ქართული ხალხური სიმღერების კომპაქტ-დისკი მივიღე საჩუქრად... სასიამოვნოა მოულოდნელად ასეთი ძვირფასი საჩუქრის მიღება... საერთოდ, შესაძლებლობა ქართული ხალხური სიმღერები მომესმინა არასოდეს გამიშვია, ეკლესიაშიც კი ხშირად დავსწრებივარ გალობას, სიტყვებს ვერ ვპოულობ, იმდენად შთამბეჭდავია, თუმცა მთავარი ისაა, რომ ქართულმა სიმღერებმა კორსიკული პოლიფონია მომაგონა და ეს ფაქტი ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა გახდა. მათ შორის ნამდვილად არის რაღაც საერთო, მერწმუნეთ, ეს მსგავსება ცალკე შესასწავლი საგანია და კვლევასაც საჭიროებს.

**- თქვენი ქართველი სტუდენტების შესახებ რას იტყოდით?**

- ყოველ სტუდენტს, პირველ რიგში, ვუყურებ როგორც პიროვნებას. საკუთარი შინაგანი რიტმით, მანერით, მუშაობისადმი დამოკიდებულებით. მათდამი ლოიალური ვარ, ეს ჩემი პოზიციაა. მე მათ ვეხმარები, წარმოაჩინონ საკუთარი თავი მუსიკის საშუალებით, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია თითოეული მათგანის როგორც პროფესიული, ასევე პიროვნული განვითარებისათვის. მთავარია, ისინი ატარებდნენ საკუთარ, ინდივიდუალურ ანაბეჭდს. თვით უმნიშვნელო ნიუანსზეც კი ყურადღების გამახვილებაა საჭირო. მუსიკა და საერთოდ, ხელოვნება უდიდეს სამამაცესა და შეუპოვრობას მოითხოვს. რაც შეეხება გეგმებს, როგორც გითხარით, ვცდილობ ჩემი მოკრძალებული წვლილი შევიტანო სამომავალო პროექტის, კონსერვატორიასთან არსებული სიმებიან საკრავთა აკადემიის ჩამოყალიბებაში. მიხარია, რომ სტუდენტები მეტად დაინტერესებულნი არიან. ამავე პროექტის თანახმად განზრახულია ჩვენი მუშაობა ბაროკოს ეპოქის მუსიკის შესრულების სტილზე, რასაც ამ ბოლო დროს მთელ ევროპაში დიდი ყურადღება ეთმობა. ამჟამად, მათთან ვმუშაობ ავსტრიელი კომპოზიტორის, ვენის ახალი მუსიკის სკოლის მამამთავრის არნოლდ შენბერგის ადრინდელ ნაწარმოებზე. ეს გახლავთ სიმებიანი სექსტი "გასხივოსნებული ღამე." მიუხედავად იმისა რომ, შენბერგის შემოქმედებაში მოგზაურობა ადვილი არ არის, ყოველმა მათგანმა სიძნელეებს თავი ბრწყინვალედ გაართვა. მომავალი სეზონისათვის ამ შესანიშნავ ნაწარმოებს კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში შევასრულებთ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი გახლავთ ის ფაქტი, რომ საფრანგეთის საელჩოს დახმარებით ეს სტუდენტები გაიგზავნებიან საფრანგეთში პროფესიული სრულყოფისათვის, მათ ასევე შესაძლებლობა ექნებათ, დაესწრონ სხვადასხვა ცნობილი მუსიკოსების რეპეტიციებსა თუ კონცერტებს, დააკვირდნენ მათი შესრულების მანერას. რადგან ყოველი ხელოვანი საკუთარი შინაგანი სამყაროდან გამომდინარე, სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგენს ამა თუ იმ ნაწარმოებს...დარწმუნებული ვარ, კონსერვატორიის სტუდენტები საფრანგეთში უდიდეს გამოცდილებას შეიძენენ, გამიხარდება, თუ ეს წამოწყება ტრადიციად გადაიქცევა. ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს...

**- იმედია, თქვენი თანამშრომლობა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან ასევე ნაყოფიერად წარიმართება.**

- სანამ ჩემს სტუდენტებსა და კონსერვატორიას ვჭირდები, მუდამ მათ გვერდით ვიქნები. მე მხოლოდ მუსიკოს-შემსრულებელი კი არა, პედაგოგიც ვარ და მინდა ის გამოცდილება, რაც წლების მანძილზე დიდი შრომის ფასად დამიგროვდა, სხვას გადავცე, მას, ვინც მთელ ჩემს ცოდნას აიტაცებს, მიიღებს და შეისისხლხორცებს. ბედნიერი ვარ, რომ ჩემს ქართველ მოსწავლეებს შემიძლია ეს ყველაფრი გავუზიარო. თუმცა, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მუშაობის პროცესში მე მათგანაც ბევრ რამეს ვსწავლობ. ჩვენ შორის მუსიკა გახლავთ ის უნივერსალური ენა, რომელსაც არც თარგმნა, არც ახსნა და არც გამოცნობა არ სჭირდება. მისი დახმარებით მინდა მათ თავად შეიცნონ, თუ როგორ მელოდიას ატარებს თითოეული მათგანი საკუთარ გულში.

შოუ-ბიზნესი

# სულ ნაირ-ნაირი კაცები და ქალები



მერლინ მონროს ხანმოკლე სატრფო, ჯოან კოუფორდი.

შეერთებულ შტატებში დონალდ ტრამპი საკულტო ფიგურაა. შესაბამისად, ტრამპის ახალ წამოწყებასაც წარმატება გარანტირებული აქვს - მრავალ მამაკაცს მოუნდება, მის მსგავსად გამოიყურებოდეს.

იმის შემდეგ, რაც მის სატელევიზიო შოუს The Apprentice მილიონობით მაყურებელი ჰყავდა, ისედაც მილიონერი დონალდ ტრამპი ერთიათად პოპულარული გახდა. მისმა წარმატებამ როგორც ბიზნესში, ასევე ქალებთან, ტრამპს ბევრი მიმბაძველი გაუჩინა. 58 წლის უძრავი ქონების მაგნატი მაინცდამაინც ანტიკურ გმირს არ ჰგავს, მაგრამ ზოგიერთებისთვის ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მართლაც, ამას ტრამპისთვის ხელი არაფერში შეუშლია - აი, ახალ საქმესაც მიჰყო ხელი, მამაკაცის ტანსაცმლის გამოშვება დაიწყო. ამ წამოწყებაში ტრამპის საქმიანი პარტნიორი შელდონ ბროდია, ფირმა Marcraft Clothes-ის პრეზიდენტი.

ტრამპი თავის პირმშოს საკუთარ სახელს აძლევს. "ნიუ იორკ დეილი ნიუსის" ცნობით, ეს კოსტიუმები, პალტოები, სპორტული შარვლები და გოლფის თამაშისთვის საჭირო ტანსაცმელი იქნება. ეს სიამოვნება მაინცდამაინც იაფი არ ღირს, მაგალითად, კოსტიუმის ფასი - 575 დოლარი. სწორიცაა: სხვა თუ არაფერი, ტრამპის სახელი ჰქვია, და მასში გამოწყობილ მამაკაცს შეიძლება ილუზია შეექმნას, რომ მასაც ელირსება დიდი ფული და ლამაზი ქალები.

იქნებ ისეთი ქალებიც კი, ამერიკელი რეჟისორის, რას მეიერის ფილმებში რომ თამაშობენ. ხომ გახსოვთ რას მაიერი, 60-70-იანი წლების რეჟისორი, "სექს-ინდუსტრიის ფელინიდ" რომ იხსენიებენ ხოლმე? თავიდან ის ფოტოგრაფი იყო, პირველი რამდენიმე "ფლეიბოის" გარეკანისთვის სურათები სწორედ მან გადაიღო. მეიერს ქალები ძალიან უყვარდა და მათ სხეულს ფილმებშიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მან თავადაც თქვა, რომ პაწია და თხელ ქალებს კამერას არც კი აკარებს.

ამ ჟანრის სხვა ფილმებისგან განსხვავებით, მეიერის გმირი ქალები მხოლოდ სექს-ობიექტები არ ყოფილან. უბრალო, სუსტი მამაკაცი მათთან საქმეს ვერ დაიჭერდა - მარტო ტარა სატანა რად ღირს 1965 წელს გადაღებულ ფილმში Faster, Pussycat! Kill! Kill!.

როგორც ჩანს, მაყურებელს მისი ჯანმრთელი დედაკაცები ძალიან მოენატრა, რადგან "რას მაიერის" კოლექცია ახლა DVD-ზეც გამოვიდა - მეორე ნაწილი აგვისტოს ბოლოდან გაიყიდება.

მეიერის სახელი მსოფლიომ 1959 წელს გაიგონა - The Immoral Mr. Teas-ს დიდი კომერციული წარმატება ხვდა წილად. თითქოს მშვიდობიანი ფილმი იყო, თვალშისაცემი, ლამის სიურეალისტური, სექსის გარეშე. ეს მერე "აუშვა" მეიერმა, 60-ანებში, როცა შავ-თეთრი, სასტიკი ფილმების გადაღებას მიჰყო ხელი. ჯერ სად იყვნენ როკერები და თავზეხელაღებული მოტოციკლეტისტები, როცა რას მეიერის ძლიერი და დაუნდობელი ქალები მაყურებლის ვნებას აღძრავდნენ და შიშის ზარსაც სცემდნენ.

არადა, იმხანად სულ სხვანაირი ქალები იყვნენ "მოდაში". მართალია, ძალიან გამხდარი და გაურკვეველი ასაკის ქალები უკვე გამოჩნდნენ, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ კარგად ახსოვდათ, რომ ყველაზე ლამაზი გოგოები ქერათმიანები, რბილები და ფაფუკები არიან - აი, როგორიც მერლინ მონრო იყო.

ისე, მერლინ მონროსაც ჰქონია საკუთარი აზრი იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს ქალი. რაც არ უნდა დაუჯერებლად გეჩვენოთ, ამ თვინიერ ქალს ერთხელ ქალი ჰყვარებია.

ბრიტანულ გაზეთ "ივნინგ სტანდარტში" გამოქვეყნდა მასალა, რომლის თანახმადაც მონროს ბიოგრაფ მეთიუ სმიტს აუდიოჩანაწერები ჰქონია, სადაც მერლინ მონრო ერთ მშვენიერ ქალთან, ასევე მსახიობ ჯოან კროუფორდთან ხანმოკლე სასიყვარულო ისტორიას გადმოგვცემს. ეს კასეტები გასაიდუმლოებული არ ყოფილა - ისინი მსახიობის ფსიქოთერაპიის ნაწილია.

სმიტი მერლინის ციტირებას ახდენს: "წვეულების შემდეგ მასთან სახლში წავედით. საძინებელ ოთახში შევცვივდით და ერთმანეთს დავემხეთ. კროუფორდს ფანტასტიკური ორგაზმი ჰქონდა, შეშლილივით კვნესოდა. შემდეგ შეხვედრაზეც იგივე განმეორდა". მაგრამ შემდეგ მერლინმა დაასკვნა, რომ ქალები არ მოსწონს, და ორი ვარსკვლავის სასიყვარულო ურთიერთობა ამით დამთავრდა - არც მერლინს უდარდია და არც ჯოანს მოუკლავს თავი.

სამაგიეროდ, "ფლეიბოის" დამაარსებლის, ამჟამად უკვე 78 წლის ჰიუ ჰეფნერის ყოფილი ქალები ძალიან დაჩაგრულან. მიუხედავად იმისა, რომ თავის ქალებს არც ალერსს აკლებდა და არც ფულს, მისმა ყოფილმა "გოგონამ", ჯილ ენ სპოლდინგმა განაცხადა, "ფლეიბოის" შეფს თორმეტი "სექს-მონა" ჰყავდაო!

ამჟამად ამ ქალბატონმა წიგნი გამოსცა, 168 გვერდიანი, Jill Ann: Upstairs. ის წერს - გასაოცარია, ღმერთმანი! რომ "ფლეიბოი" ბარბის სახლი არაა, რომ იქ სახელისა და დიდების სამაგიეროდ ქალებს სექსს სთხოვენ. წარმოგიდგენიათ? "იქ უსაფრთხო სექსი არ არსებობს, არცერთი გოგონა არ გადის სამედიცინო შემოწმებას. ჰეფნერს ეს არ ადარდებს, გოგონები კი კვირაში 2 ათას დოლარს იღებენ". მეტსაც მოგახსენებთ: თურმე ეს დაჩაგრული გოგოები ხანდახან თავად ჰიუსაც ემსახურებიან - დეტალები ჯილმა გულმოდგინედ აღწერა, მაგრამ მათი გადმოცემით ნერვებს აღარ მოგიშლით - გულისამრევია. ჰიუ ჰეფნერი ამბობს: "მე კი არ წამიკითხავს, მაგრამ ჩემმა გოგოებმა წაიკითხეს და მიამბეს, ბევრი ვიცინეთ. გონებასუსტის დაწერილია". ჰეფნერი თვლის, რომ ჯილმა ამ წიგნით შურისძიება განიზრახა: "ერთხელ თავისი სურათი გამომიგზავნა, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში სულ სხვანაირი იყო, და აღარ დამაინტერესა. შედეგი ეს წიგნია - ინებეთ".

შურისძიებაა ეს წიგნი თუ არა, ვერ გეტყვით. მდაბიური ენით და ბრიყვულად დაწერილი კია. მართალია, თავად ჯილ ენი ახლა ანგელოზივით იქცევა და ვერცხლთმოყვარეებას ვერ დავწამებთ: მან განაცხადა, რომ წიგნის გაყიდვის შედეგად მიღებულ ფულს მთლიანად დაჩაგრულ ქალებს და უსახლკარო ბავშვებს გადასცემს.

ლიტერატურა

# უცნობი ვირჯინია ვულფი

შეგახსენებთ: ვირჯინია ვულფი მწერალია და არა კინოდრამა "საათების" მოქმედი გმირი. ვირჯინია ვულფს თავისი სახე ჰქონდა და არა ნიკოლ კიდმანისა. მიუხედავად ამისა, ეს ლეგენდარული ავტორი, რომელმაც თავის დროზე რომანები "ქალბატონი დოლვეი", "მოგზაურობა შუქურასკენ" და "ტალღები" დაწერა, ლიტერატურული მოდერნის "პიონერი" იყო და 1941 წელს თავი მოიკლა, გარდაცვალებიდან 63 წლის შემდეგ დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობისთვის კინოგმირია. გულდასაწყვეტია, მაგრამ რა გაეწყობა.

ამჯერად ვირჯინია ვულფი კვლავ ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა, თუმცა "ოსკარის" გადაცემასთან შედარებით ეს ამბავი სახსენებელიც არაა: სასექსში მისი დღემდე უცნობი ესე აღმოაჩინეს.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში მუშაობის დროს ლონდონელმა გამომცემელმა, ემა კაპილმა "ლონდონელის პორტრეტს" მიაგნო, ხოლო "დეილი ტელეგრაფი" დაგვპირდა, რომ წელს, სექტემბერში, "ლონდონელის პორტრეტს" ბრიტანული გამომცემლობა Snowbooks გამოსცემს. მასში ვირჯინია 30-იანი წლების დასაწყისის ლონდონის ცხოვრების შესახებ გვიამბობს.

თხზულება 1931-1932 წლებში დაწერილი ექვსი მცირე პროზაული ნაწარმოებისგან შედგება. მათგან ხუთი სამოცდაათიან წლებში უკვე ცნობილი იყო (გამოქვეყნდა სათაურით The London Scene). მათი წყალობით ვიცით, როგორ სეირნობდა ვულფი ოქსფორდ-სტრიტზე, ტემზის გასწვრივ.

ქალბატონი ემა ისედაც აპირებდა ხელახლა გამოცემას, ხოლო როცა მეექვსე უცნობი ესე აღმოაჩინა, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. "ძალიან გამიხარდა, როცა არქივებში ამ ტექსტს მივაკვლიე," თქვა ქალბატონმა კაპილმა. "ახლა წიგნი სრული სახით გამოქვეყნდება".

რატომ დაიბეჭდა თავის დროზე "ლონდონელის პორტრეტი" არასრული სახით, ძნელი სათქმელია. გამომცემელი ვარაუდობს, რომ ამის მიზეზი შეიძლება მეექვსე ტექსტის გმირი იყოს - დანარჩენი ხუთისგან განსხვავებით, ის გამოგონილი პერსონაჟია.



# პორნოგრაფია, როგორც ცივილიზაციის სიმბოლო

ამჟამად მწერალი სალმან რუშდი 57 წლისაა. ათი წლის განმავლობაში ის იძულებული იყო, დამალულიყო, რადგან 1989 წელს მას ირანის სახელმწიფო მეთაურმა, ჰომეინიმ, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ამის მიზეზი რუშდის წიგნი, "სატანური სტროფები" იყო, რომლითაც მან, მრავალი მუსულმანის აზრით, წინასწარმეტყველ მუჰამედს შეურაცხყოფა მიაყენა.

ახლა სალმან რუშდი, ალბათ, ახალ გაუგებრობაში ამოჰყოფს თავს. თურმე, ის დარწმუნებულია, რომ ისლამურ საზოგადოებაში პორნოგრაფია განსაკუთრებითაა გავრცელებული. "ცხადია, პორნოგრაფია ყველგან არსებობს," წერდა ბრიტანელი ავტორი თავის მოხსენებაში წიგნისთვის XXXX:30 Porn Star. "მაგრამ აკრძალვის დროს, ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს".

მწერალი თავის სიტყვებს ამგვარად განმარტავს: "როცა საქმე ეხება ისეთ საზოგადოებას, სადაც ახალგაზრდა მამაკაცებისა და ქალებისთვის ერთად ყოფნა და იმის გაკეთება, რასაც ახალგაზრდა მამაკაცები და ქალები აკეთებენ ხოლმე, სირთულესთანაა დაკავშირებული, მაშინ ის (პორნოგრაფია) საყოველთაო მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. ამ ფუნქციის ქონის შემთხვევაში ის თავისუფლების სიმბოლო ხდება, ცივილიზაციის სიმბოლოც კი," ეს ციტატა "სანდი თაიმში" იყო მოყვანილი.



ფეხბურთი

# თუ ყიდვაა, ყიდვა იყოს

პაატა თოთაძე

პატრონიც ასეთი უნდა ინატრო; ვისაც გინდა დაადე ხელი, ყველა შენი გახდება - დაახლოებით ამგვარადაა "ჩელსის" და მისი მეპატრონის რომან აბრამოვიჩის საქმე.

"ახალი მოთამაშეების ყიდვა დასრულებულია. ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, გუნდი სრულად დაკომპლექტებულია. მაურინიოს სურდა, 23-24 მოთამაშესთან ჰქონოდა საქმე. ახლა მის განკარგულებაში 25 მოთამაშეა. ჯერი მწვრთნელზეა. მთავარია, რომ მაურინიო კმაყოფილია შენაძენებით ანუ კლუბში მოვიდნენ ის მოთამაშეები, რომელთა მოსვლაც მწვრთნელს სურდა", - ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა "ჩელსის" აღმასრულებელმა დირექტორმა პიტერ კენიონმა.

"ძალიან მახარებს ის ამბავი, რომ ჩვენ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი გვყავს. ჟოზე დარწმუნებულია წარმატებაში და მის ოპტიმიზმს ჩვენც ვიზიარებთ. ის ჩვენთან დიდიხანს დარჩება, ამაში უკვე მე ვარ დარწმუნებული. გეგმა, რომელიც უნდა განვახორციელოთ, რამდენიმეწლიანია", - ესეც კენიონის სიტყვებია. სხვათა შორის, იქვე მან დაამატა, რომ მწვრთნელისგან მალევე ელის წარმატებებს, ის კი არ დაუკონკრეტებია, რა მოხდება იმ შემთხვევაში, არისტოკრატებმა წარმატება პირველივე სეზონში რომ ვერ მოიპოვონ. საერთო ჯამში, რომან აბრამოვიჩმა კლუბში მოსვლის შემდეგ ახალი მოთამაშეების შესაძენად 210 მილიონი გირვანქა დახარჯა. ბუნებრივია, როცა კაცი ამხელა თანხას იხდის, შედეგიც მალევე უნდა, რომ მიიღოს.

აბრამოვიჩის პირველი შენაძენები უეინ ბრიჯი (7 მილიონი გირვანქა), გლენ ჯონსონი (6 მლნ.), დამიან დაფი (17 მლნ.), მარკო ამბროზიო (უფასოდ) და ჯერემი (7 მლნ.) იყვნენ. სულ მალე ამას ჯო კოულის (6,6 მლნ.) და ხუან სებასტიან ვერონის (15 მლნ.) ყიდვა მოჰყვა. მცირე შესვენება და... კლუბში ადრიან მუტუ (15,8 მლნ.), ერნან კრესპო (16,8 მლნ) გამოჩნდნენ. ამის შემდეგ, ყველას გასაოცრად, აბრამოვიჩმა რუსი ალექსეი სმერტინი გადაიბირა (3,3 მლნ). ეს უფრო მისი პირადი ინტერესი იყო, ვიდრე - კლაუდიო რანიერის. საზაფხოლო "შოპინგი" კლოდ მაკელელეს ყიდვით (16 მლნ.) დასრულდა.

თითქოს, მეტი არც არავინ იყო საჭირო - კლაუდიო რანიერიმ ვისაც კი თითი დაადო, აბრამოვიჩმა ყველა იყიდა, მაგრამ, - მადა ჭამაში მოდისო, - და სამთვიანი შესვენების შემდეგ "აბრამოვიჩის რევოლუციად" წოდებული ყიდვა-გაყიდვა გაგრძელდა. ზამთარში პირველი სკოტ პარკერი (8 მლნ.) გაარისტოკრატდა. მას ჩეხეთის ნაკრების კარის დარაჯი პეტრ ჩეჰი (7 მლნ) მიჰყვა. აბრამოვიჩის და კენიონის ყველაზე ჭკვიანურ ნაბიჯად "პორტუს" მწვრთნელის ჟოზე მაურინიოს გადაბირება ითვლება. საამისოდ რუსს 20 მილიონი გირვანქის გაღება მოუხდა. რამდენი



პატრიკ ვიეირა "რეალის" მორიგი შენაძენია.

მოთამაშეც უნდა შეეძინა აბრამოვიჩს რანიერისთვის, იტალიელი სპეციალისტი არ იყო იმ დონის მწვრთნელი, რუსი ოლიგარქის მოთხოვნილებები დაეკმაყოფილებინა. მაურინიო კი სულ სხვაა. თუ კარგი გუნდის გაკეთება გინდა, პირველ რიგში, კარგი მწვრთნელი უნდა იშოვო; ფეხბურთელები მოიძებნებიან.

"აბრამოვიჩის რევოლუცია" მაურინიოს მოსვლის შემდეგაც გაგრძელდა. მცველი პაულუ ფერეირა (13,2 მლნ.) იყო პირველი, ვინც აბრამოვიჩმა მაურინიოს სურვილით იყიდა. ამას მოჰყვა მატეია კეჟმანის (5 მლნ) და არიან რობენის გადაბირება "ეინდჰოვენიდან". ცოტა ხნის წინათ კი "ჩელსიმ" საკუთარი სატრანსფერო რეკორდი დაამყარა - "მარსელიდან" თავდამსხმელი დიდიე დროგბა იყიდა 24 მილიონად. პორტუგალიის "ბენფიკადან" ტიაგუს ყიდვის შემდეგ აბრამოვიჩის დანახარჯებმა 190 მილიონს მიაღწია, 210-მილიონიანი ბიუჯეტი კი რიკარდუ კარვალიუმ შეავსო.

და მაინც, ამდენი ტრანსფერის მიუხედავად, ინგლისელების მთავარი სალაპარაკო "არსენალიდან" პატრიკ ვიეირას წასვლაა. ადვილი მისახვედრია, სადაც წავიდოდა ფრანგი ნახევარმცველი. რა ხანია, მას მადრიდის "რეალი" ნატრობს, ფლორენტინო პერესი კი ისეთი კაცია, სეზონებს შორის ერთ იმისთანა ფეხბურთელს იყიდის, მთელ საფეხბურთო სამყაროს აალაპარაკებს.

ინგლისური წყაროების მიხედვით, თითქოს, არაფერია გადაწყვეტილი, მაგრამ ესპანური Diario ამტკიცებს, - ვიეირა მადრიდში "რეალის" პოლონეთიდან დაბრუნებისთანავე ჩამოვაო. ეს კი ხუთშაბათს მოხდება.

კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელიც მადრიდელთა თვალთახედვის არეში მოხვდა, ლივერპულელი მაიკლ ოუენია. ინგლისის ნაკრების თავდამსხმელს ბოლო პერიოდში კლუბის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა მთლად კარგად ვერ მისდის და ესპანეთისკენაც ამიტომ იმზირება. ცეცხლზე ნავთი დაასხა კლუბის ხელმძღვანელობის უარმა, კონტრაქტი გაეგრძელებინა ფეხბურთელთან, იმ პირობებით, რომელიც ოუენმა შესთავაზა. ამჟამად მოქმედი კონტრაქტის მიხედვით კი, ოუენი სეზონის ბოლომდე ეკუთვნის "ლივერპულს", თუმცა მისი გასვლის შემდეგ თავდამსხმელს უფასოდ შეეძლება გადასვლა ნებისმიერ კლუბში. ასეთი რამ კი ინგლისელებს ხელს არ აძლევთ. ამდენად, არაა გამორიცხული, "ლივერპული" მადრიდელთა წინადადებას დასთანხმდეს და, ოუენის სანაცვლოდ, 10 მილონი გირვანქა და, საკუთარი სურვილისამებრ, ფერნანდო მორიენტესო ან სამუელ ეტოო მიიღოს.

# "რეინჯერსი" მოსკოვში დამარცხდა

## თუმცა, შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსს არ კარგავს

ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩების ერთი ნაწილი გუშინ გაიმართა, მათ შორის მპსკოვის "ცსკ"-სა და "გლაზგო რეინჯერსის" შეხვედრა. ცხადია, იმის გამო, რომ "რეინჯერსის" რიგებში შოთა არველაძე და ზურაბ ხიზანიშვილი თამაშობენ, ეს შეხვედრა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ქართველ გულშემატკივრებს შორის.

ეს მატჩი ჩერკიზოვოში მდებარე "ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა. გუნდები საკმაოდ უჩვეულო შემადგენლობებით წარდგნენ მოსკოველი ქომაგების წინაშე. არმიელთა სასტარტო შემადგენლობაში არ იყო გუნდის გამოცდილი კაპიტანი სერგეი სემაკი. ვალერი გაზაევმა მას სათადარიგოთა სკამზე მიუჩინა ადგილი. თუმცა, არმიელთა მთავარი მწვრთნელის ამ გადაწყვეტილების ახსნა იმ ფაქტით შეიძლება, რომ "ცსკ"-მ ბრაზილიელი თავდამსხმელი ვაგნერ ლავი შეიძინა. ამ ფეხბურთელმა ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზეც გამოიჩინა თავი, გაუტანა რა გოლი ბაქოს "ნეფტჩის". ცხადია, შემადგენლობიდან ვაგნერ ლავის ამოგდება გაზაევმა ველარ გარისკა, რასაც შეეწირა კიდეც სემაკი. კიდევ ერთი სიურპრიზი ის გახლდათ, რომ სემაკის მსგავსად, მოედანზე არ გამოჩნდა ევგენი ალდონინი. გაზაევმა ოთხი მცველით თამაში გადაწყვიტა და ნახევარდაცვის ხაზში ალდონინის ადგილი აღარ დარჩა.

"რეინჯერსის" კი კრის ბურკი აკლდა. ამ ფეხბურთელმა გასულ შაბათს, "აბერდინის" წინააღმდეგ შოტლანდიის ჩემპიონატის შეხვედრისას გონება დაკარგა. სამედიცინო შემოწმების შემდეგ ექიმებმა დაასკვნეს, რომ ბურკს სერიოზული არაფერი ჭირდა და მოსკოვში გამგზავრების უფლება მისცეს. მიუხედავად ამისა, მოსკოვში ჩასული ბურკმა კვლავ შეუძლოდ იგრძნო თავი. იმის გამო, რომ ავადმყოფობის მიზეზის დადგენა ვერ ხერხდება, ბურკს სრული იზოლაცია გაუკეთეს.

ალბათ, ამითაც იყო გამოწვეული, რომ გლაზგოელთა სასტარტო შემადგენლობაში შოთა არველაძე გამოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ მან სულ ახლახანს მოირჩინა მუხლის ტრავმა.



არმიელთა კარში გატანილი ერთადერთი გოლის ავტორი ესპანელი ნაჩო ნოვოა.

სტადიონზე შეკრებილი ქომაგები ჯერ კიდევ მოედანზე გამოსული ფეხბურთელების გარჩევით იყვნენ დაკავებული, როდესაც მასპინძლებმა ანგარიში გახსნეს. მე-4 წუთზე გოლი სწორედ ვაგნერ ლავმა გაიტანა. გაშვებულმა გოლმა ძალიან დააბნია "რეინჯერსი", თანაც ისე, რომ კინაღამ მეორე გოლიც მიიღო საკუთარ კარში. გონს მოსასვლელად შოტლანდიელებს მთელი თხუთმეტი წუთი დასჭირდათ. ამის შემდეგ "რეინჯერსმა" გვარიანად შეუტია. შოტლანდიელთა გოლი ვასილი ბერეზუცკის უხეშ შეცდომას მოჰყვა. არმიელთა მცველმა პირდაპირ ლანგარზე მიართვა ბურთი დადო პრსოს, ამ უკანასკნელმა ესპანელ იგნასიოს ნოვოს გადააწოდა. ნოვოს დარტყმული ბურთი მცველს მოხვდა, ამის შემდეგ პრსომ დაარტყა. საბოლოდ ბურთი ისევ და ისევ ნოვოს მოხვდა და ისე შევარდა კარში - 1:1.

გატანილი გოლის შემდეგ ინიციატივა აშკარად "რეინჯერსის" ხელში გადავიდა. არმიელებმა დიდი ძალისხმევა მოანდომეს იმას, რომ შესვენებამდე კიდევ ერთი გოლი არ გაეშვათ.

მეორე ტაიმში გაზაევმა ბერეზუცკი შეცვალა და მის ნაცვლად სემაკი გამოიყვანა მოედანზე. არსანიშნავია, რომ არმიელებმა მეორე ტაიმშიც სწრაფი გოლის გატანა მოახერხეს. შტეფან კლოსის კარში ულამაზესი გოლი გაიტანა იაროშიკმა - 2:1. მასპინძლები კვლავ გააქტიურდნენ და მესამე გოლის გატანის კარგი შანსებიც ჰქონდათ, თუმცა "რეინჯერსი" კარგად იცავდა თავს და საკმაოდ ეფექტურად თამაშობდა კონტრშეტევებზე.

ასეა თუ ისე, გოლის გატანა ვერცერთმა გუნდმა ველარ მოახერხა. არმიელებმა მოიგეს და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლის იმედიც მიეცათ. თუმცა, წინ კიდევ ერთი მატჩია...

# რონალდო: "ჩვენ არ გვაინტერესებს მეტოქის შესაძლებლობები"

*მადრიდის "რეალის" წინასასეზონო მზადება დასრულდა. სამეფო კლუბს წინ მეტად მნიშვნელოვანი მატჩები ელის. დღეს, ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე "რეალი" კრაკოვის "ვისლას" შეხვდება. გთავაზობთ ინტერვიუს რონალდოსთან, სადაც ის "ვისლასთან" მომავალ მატჩებზე და მადრიდის "რეალში" არსებულ ვითარებაზე საუბრობს.*

**- რონალდო, სულ ცოტა ხანში სერიოზული მატჩები დაგეწყებათ.**

- დიახ, სერიოზული მატჩები გველის. მომავალი სეზონი ჩვენთვის უფრო ადრე იწყება, ვიდრე სხვა გუნდებისათვის, მაგრამ რას იზამ, რაც არის, არის. ახლა ჩვენ "ვისლას" წინააღმდეგ შეხვედრებზე კონცენტრირება უნდა მოვახერხოთ, რათა ჩემპიონთა ლიგაში გავიდეთ.

**- "ვისლას" წინააღმდეგ მატჩებში დამარცხება კატასტროფა იქნება...**

- დიახ, ეს ორი შეხვედრა უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენთვის. სასწორზე ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობა დევს, ჩვენ კი ამ ტურნირზე თამაში გვსურს. თითოეული ჩვენთაგანი ყველაფერს გააკეთებს, რათა ამ მიზანს მივაღწიოთ.

**- ხალხი ფიქრობს, რომ ამ მიზნის მიღწევა ადვილი იქნება.**

- ჩვენ არ გვაღელვებს ის, თუ რას ლაპარაკობენ; ის უფრო გვაინტერესებს, დაკისრებულ მოვალეობას წარმატებით გავართვათ თავი.

**- მეტოქეს კარგად იცნობთ?**

- ყოველთვის ვამბობ, რომ ისეთი კლასის გუნდი, როგორიც "რეალია", ნაკლებად უნდა ინტერესდებოდეს მოწინააღმდეგის შესაძლებლობებით, რადგან ჩვენ მსოფლიოს ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეგვიძლია. "ვისლას" ნაკლებად ვიცნობთ, მაგრამ უნდა ჩავიდეთ მათთან, ჩვენი ფეხბურთი ვითამაშოთ და მოვიგოთ ეს მატჩი.

**- როგორ შეაფასებდი გუნდის ამჟამინდელ მდგომარეობას?**

- ჩვენ სრულ წესრიგში ვართ და მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, ვნახოთ, თუ როგორ "მოიქცევიან" ჩვენი ფეხები. საკმაოდ კარგად ვართ მომზადებულები და დასახული ამოცანის შესრულების უნარი შეგვწევს.

**- უკვე დაიწყე ფიქრი იმ გოლების რაოდენობაზე, რომელთაც მომავალ სეზონში გაიტან?**

- ჯერ არა. წინასასეზონო მზადების პერიოდში ჩვენ ბევრს ვვარჯიშობდით და ბევრს დავფრინავდით. ამიტომაც, აქამდე არ მქონია იმის დრო, რომ გოლების რაოდენობაზე დავფიქრებულიყავი. მაგრამ, ჩემპიონატის დაწყებამდე ამ ციფრს აუცილებლად დავასახელებ.



რონალდო "ვისლასთან" შესახვედრად ემზადება.

**- ასეთ შემთხვევაში, გოლები, რომელთაც შენ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე გაიტან, არ ჩაითვლება?**

- ცხადია, ჩაითვლება! *(იცინის)* ჩემი გოლების საერთო რაოდენობაში ეს ორი ოფიციალური მატჩიც შევა.

**- წელს შენ გაცილებით სერიოზულ კონკურენციასთან გექნება საქმე.**

- მე მომწონს კონკურენცია. რაც ვარსებობ, ჩემთვის არავის არაფერი უჩუქებია. მუდამ ვიბრძოდი, რომ მიზნისათვის მიმეღწია. კონკურენცია მოტივაციას მმატებს. მორიენტესი დიდი ფეხბურთელია და ამ სეზონში მას ხშირად მიეცემა თამაშის საშუალება.

**- ამბობენ, რომ გუნდი კიდევ ერთი თავდამსხმელის შეძენას აპირებს... არის კი ის საჭირო?**

- ჩვენი კარი ყოველთვის ღიაა დიდი ფეხბურთელებისათვის. კონკურენციას მუდამ მოაქვს სარგებელი.

**- ვიეირა გააძლიერებს თქვენს გუნდს?**

- დიახ, ის შესანიშნავი ფეხბურთელია და ჩვენს გუნდში მისი თამაში ძალიან საინტერესო იქნება.

**- მისი მოსვლით, თქვენ - თავდამსხმელებს, ნაკლებად მოგიწევთ დაცვაში თამაში.**

- როდესაც საქმე დაცვას ეხება, მხოლოდ მცველები არ იგულისხმებიან; და არც გოლების გატანაა თავდამსხმელების ექსკლუზიური ამოცანა. ყოველი ჩვენგანი ვალდებულია, სწორად გადაადგილდეს მოედანზე. ამ შემთხვევაში, საკუთარი კარის დაცვაც უფრო ადვილი იქნება.

**- კამაჩო ამბობს, რომ გუნდი კარგ ფიზიკურ ფორმაშია, მაგრამ მომავალ მატჩში მთავარი ფსიქოლოგიური განწყობა იქნება.**

- ჩვენ კარგად ვიცით, რომ "რეალი" მსოფლიოს უდიადესი გუნდია. მაგრამ, საქმე ისაა, რომ სეზონისათვის მზადება სულ ახლახან დავიწყეთ. მომავალ მატჩებში ძალიან კონცენტრირებულები უნდა ვიყოთ.

**- 18 აგვისტოს ბრაზილიის ნაკრებთან ერთად ჰაიტიზე მიფრინავ. "რეალის" შეშფოთებას არ იზიარებ?**

- ყველაზე მეტად მე ვნერვიულობდი, მაგრამ ყველანაირი გარანტიები მოგვცეს. მითხრეს, რომ დიდი სანახაობა გველის, და რომ მაქსიმალურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ. ასე რომ, მშვიდად ვარ. 18 აგვისტო ფიფა-ს მიერ დადგენილი თარიღია და იმის მიზეზს ვერ ვხედავ, რომ "რეალმა" ჰაიტიზე არ გაგვიშვას.

ოლიმპიადა

# ორი დღე ოლიმპიადამდე



სტადიონი, რომელზედაც ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნა შედგება.



ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტაში ნაომიც მიიღებს მონაწილეობას.

სამშაბათს საღამოს გაიმართა ზაფხულის 28-ე ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნის ცერემონიალის რეპეტიცია. მიუხედავად იმისა, რომ ტურნირის ორგანიზატორები, ჩვეულებრივ, ცდილობენ, ბოლომდე საიდუმლოდ შეინახონ ცერემონიალის დეტალები, ზოგი რამ საზოგადოებამ უკვე შეიტყო.

ყოველ შემთხვევაში, ცნობილია, რომ საზეიმო ცერემონიალში 70 000 მოხალისე მიიღებს მონაწილეობას. ეს კი ადასტურებს ადრე გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ შოუში, 8 ათასი მსახიობის გარდა, ოლიმპიური სტადიონის გაზონზე გულშემატკივარიც გამოჩნდება, რომელიც გახსნის საზეიმო ზერემონიალის საყურებლად ჩამოვიდნენ.

თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, თუ როგორ აპირებენ ორგანიზატორები მაყურებელთა გამოყენებას. სამაგიეროდ, უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ყველა მაყურებელი მიიღებს ჩანთას რეკვიზიტებით. ამ რეკვიზიტების ნაწილი უკვე გაშიფრულია. სხვა ნივთებთან ერთად ჩანთაში მოთავსდება ფერადი შუშები და ზარი. როგორ გამოიყენებენ პარასკევს ამ ნივთებს, ვნახავთ. აკრედიტირებულ ჟურნალისტებს კი, რომლებიც უკვე ათენში იმყოფებიან, შეუძლიათ საკუთარი თვალით იხილონ ცერემონიის დეტალები. ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, რომ, ამდენი ხალხის გარემოცვის ფონზე, რაიმე დეტალის საიდუმლოდ შენახვა უაღრესად რთული იქნებოდა და ამიტომ, გადაწყვიტეს საზეიმო ცერემონიალზე ჟურნალისტები დაეშვათ.

სწორედ ჟურნალისტები გახდებიან პირველი მოწმენი იმ ზეიმისა, რომელიც ცერემონიის რეჟისორმა ლუი იაკობსმა დადგა. "ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი სამი საათი იქნება, - ამბობს იაკობსი, რომელიც ათენური შოუს დამდგმელ 850 ადამიანს ხელმძღვანელობს, - რა თქმა უნდა, ბოლო დღეებში დავივიწყე, თუ რას ნიშნავს ღრმა ძილი. ღამ-ღამობით ხშირად ვხტები ლოგინიდან. ვერ ვისვენებ. რასაკვირველია, ეს უზარმაზარი პასუხისმგებლობაა, რომელსაც არაფერი შეედრება. თუმცა, საბოლოო ჯამში, ვიმედოვნებ, რომ ჩემი შოუთი მსოფლიოს, ბერძენი ხალხის წარსულისა და აწმყოს ამსახველ ობიექტურ სურათს დავანახებ. საბერძნეთი დემოკრატიის, სპორტის, თეატრის, ფილოსოფიის სამშობლოა და ამდენად ის იდეალურ პლატფორმად გამოდგება სცენარისტისთვის, მასობრივი სცენის დასადგმელად".

49 წლის იაკობსს დაუდგამს ჰონკონგის საერთაშორისო გამოფენის საზეიმო ცერემონიალი და მანჩესტერში 2002 წელს ბრიტანული თანამეგობრობის თამაშების საზეიმო გახსნის ცერემონიალი.

ჯერჯერობით კი ის აზუსტებს თავისი შოუს ფინალურ დეტალებს. ცნობილი ხდება იმ ადამიანების სახელები, ვინც ჩირაღდნის გადაცემის მრავალთვიან ესტაფეტას დაასრულებს და ოლიმპიურ სტადიონზე ოლიმპიურ ცეცხლს აანთებს. გაირკვა, რომ ნაომი კემპბელი და სოკ-ის პარტნიორული ფირმა Swatch-ის დამფუძნებელი ნიკოლას ჰაეკი იმ 100 მეჩირაღდნეს შორის იქნებიან, ვინც ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტას დაასრულებს.

ამას გარდა, ბოლო ეტაპზე ოლიმპიურ ცეცხლს წაიღებენ ოპერის პოპულარული მომღერლები, მოქანდაკეები და ბიზნესმენები. ეტაპი კუნძულ პირეოსზე დაიწყება. გაგრძელდება აკროპოლში და ოლიმპიურ სტადიონზე დასრულდება. ოლიმპიადის ემბლემას ცნობილი ათლეტი კარლ ლუისი წაიღებს. ხოლო იმ პიროვნების სახელი, რომელიც ოლიმპიურ ცეცხლს ააგიზგიზებს, ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახება, თუმცა, ბერძნული პრესის ინფორმაციით, ეს პატივი ლეგენდარულ ბერძენ კალათბურთელ ნიკოს გალისს ერგო.

# ბოიკოტი არ იქნება

მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა მხრიდან ათენის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტი არ მოხდება. ამის გარანტია ქალთა ჩოგბურთის ასოციაციის დირექტორმა ლერი სკოტმა გამოთქვა.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ გერმანიის ოლიმპიურმა კომიტეტმა უარი განაცხადა ათენში ანკა ბარნასა და მარლენ ვაინგარტნერის მივლინებაზე. ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის წესდების თანახმად, ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება, რეიტინგის მიხედვით, პირველ 56 ადგილზე მყოფ ჩოგბურთელებს აქვთ. ამ მოთხოვნას ორივე სპორტსმენი ესადაგება. ბარნა 46-ეა, ხოლო ვაინგარტნერი - 52-ე.

თუმცა, გერმანიის ოლიმპიურმა კომიტეტმა ჩოგბურთელთა შერჩევის სხვა კრიტერიუმები წამოაყენა: ბარნა და ვაინგარტნერი ან WTA-ის ტურნირის ფინალში უნდა გასულიყვნენ, ან - "დიდი სლემის" ტურნირის ნახევარფინალში მაინც. ეს კრიტერიუმები კი გერმანელმა ჩოგბურთელებმა ვერ დააკმაყოფილეს.

ამის პასუხად, მსოფლიოს წამყვანმა ჩოგბურთელებმა, რომლებმაც მონრეალის ტურნირში მიიღეს მონაწილეობა, განაცხადეს, რომ არ წავიდოდნენ ათენში, თუ გერმანიის ოლიმპიური კომიტეტი თავის ჩოგბურთელებს ოლიმპიადაზე თამაშის უფლებას ჩამოართმევდა.

WTA-ს შეფმა ლარი სკოტმა განაცხადა, რომ, ამ პრობლემის გამო, საქმის კურსში ჩააყენა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჟაკ როგე. "არ შეიძლება, დავუშვათ უსამართლობა ჩოგბურთელთა მიმართ. ვიმედოვნებთ, რომ გერმანიის ოლიმპიური კომიტეტი სპორტის ინტერესებისთვის თავის გადაწყვეტილებას შეცვლის", - განაცხადა სკოტმა, რომელმაც დაამატა, რომ ბოიკოტის ალბათობა ძალიან მაღალია.

თუმცა, სოკ-თან კონსულტაციის შემდეგ WTA-მ ჩოგბურთელთა ბოიკოტს მხარი არ დაუჭირა. ამჯერად სკოტმა აღნიშნა, რომ მისი ორგანიზაცია ძალიან წუხს გერმანიის ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილების გამო, მაგრამ ამჯერად WTA არ მიმართავს პროტესტს და ბოიკოტის ინიციატივას.

უფრო მეტიც, სკოტმა თქვა, რომ WTA ახალ ოლიმპიურ შეთანხმებას გააფორმებს. იქ აღნიშნული იქნება, რომ უნდა არსებობდეს ასპროცენტიანი გარანტია, რომ ჩოგბურთელი ოლიმპიურ თამაშებზე შეირჩევა რეიტინგის შესაბამისად. გერმანიის ოლიმპიურმა კომიტეტმა ჯერჯერობით არავითარი რეაგირება არ მოახდინა ოლიმპიური თამაშების ბოიკოტირებასთან დაკავშირებით. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ ბარნაც და ვაინგარტნერიც გერმანიის ოლიმპიურ ნაკრებში შევიდნენ. საკითხავი კი ის არის, ამ დავიდარაბის შემდეგ თვითონ ჩოგბურთელები მოისურვებენ თუ არა გერმანიის სახელით გამოსვლას?!

# ოლიმპიურ ტალღაზე

კახა ფაჩუაშვილი

ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე, დღეები და თვეები კი არა, საათები დარჩა. საბერძნეთი უკვე გადაერთო ექსტრემალურ სამუშაო რეჟიმზე - კერძოდ, ბანკები და მაღაზიები, რომლებიც, ჩვეულებრივ, მხოლოდ სადილამდე მუშაობენ, და ისიც - კვირაში სამჯერ. დღის ყველაზე ცხელ პერიოდში დასვენება ბერძნებისთვის წმინდა საქმეა, მაგრამ რას არ გააკეთებ ოლიმპიადისთვის. ბერძნებს ამ "სიწმინდეზე" უარის თქმა მოუხდათ.

ათენისთვის უჩვეულო რეჟიმში მუშაობს ტრანსპორტიც. საერთოდ, შუაღამის შემდეგ მეგაპოლისის ერთი რაიონიდან მეორემდე მხოლოდ ტაქსით მისვლა თუ შეიძლება; თანაც, რა თქმა უნდა - ორმაგ ფასად. ახლა კი ყველაზე პოპულარულ მარშრუტებზე ავტობუსები დღედაღამ მუშაობენ. ამ ფერხულში ჩართულია მეტრო, რომელიც ახალ აეროპორტამდე გაიჭიმა, და ათენელთათვის ტრანსპორტის ახალი სახეობა - ტრამვაი.

ადრე ტრამვაის ვაგონები, რომლებიც ერთ დროს თბილისშიც დაგრიხინებდნენ, ათენშიც იყო. ტექნიკის ეს სასწაული სპეციალურ ყურადღებას იმსახურებს. ასეთი ვაგონები თბილისში ნამდვილად არ გამოჩენილა - თანამედროვე დიზაინი, შიგნით უაღრესად კომფორტული...მისი მართვა კი, როგორც ამბობენ, ერთი სიამოვნება ყოფილა. ყველაფერს კომპიუტერი აკეთებს. მემანქანეს კი ისღა დარჩენია, მის მოქმედებას თვალი ადევნოს. ამას გარდა, თანამედროვე ტექნიკა დროულად ატყობინებს მგზავრებს უახლოესი ტრამვაის განრიგს. ყოველ გაჩერებაზე დამონტაჟებულ ტაბლოზე ჩნდება ტრამვაის ნომერი და ინფორმაცია მის შესახებ. ყველაფერი იდეალურთან ახლოს არის. მაგრამ, ბერძნები ბერძნები არ იქნებოდნენ, თავიდანვე ყველაფერი კარგად რომ აწყობოდათ. სამივე მარშრუტის ძირითადი ნაწილი სამ მსხვილ ოლიმპიურ ობიექტთან არის განლაგებული. მაგრამ, ტრამვაი რომ არა, ალბათ, იმის შესაძლებლობაც არ იქნებოდა, გულშემატკივრები და თამაშების მონაწილენი უპრობლემოდ მისულიყვნენ ობიექტებთან. მოძრაობა იმდენად გადატვირთულია, რომ ღამის სამ საათზე (!) სამსაათიანი საცობი შეიქმნა. პიკის საათზე კი ლაპარაკიც არ ღირს.

თუმცა, ათენელებს ეს არ აცბუნებთ; ტრამვაის ბილეთები ხომ დანარჩენ ტრანსპორტზე ბევრად იაფია - სულ რაღაც 0.60 ევრო; და დარწმუნებულნი არიან, რომ ოლიმპიადის შემდეგ ტრანსპორტზე ფასებს აწევენ, ამიტომ იმაზე მსჯელობას ამჯობინებენ, თუ ვის სახელს დაარქმევენ ჯერ კიდევ უსახელო ტრამვაის ერთ-ერთ ხაზს. ორ ხაზს სახელები უკვე შეურჩიეს. ერთი - ლეგენდად ქცეული ძალოსანის, პიროს დიმასის სახელს ატარებს (გიორგი ასანიძის უმთავრესი მეტოქე), მეორე კი - მძლეოსნის, კონსტანტინას კენტერისის (წარმოგიდგენიათ? საგარეჯოში ავტობუსის ხაზი ლევან თედიაშვილის სახელს რომ ატარებდეს, ხოლო ფოთში ტროლეიბუსის ხაზი - ბორის პაიჭაძისას. (კ.ფ)).

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატზე ბერძნების ტრიუმფის შემდეგ საზოგადოებამ გამოთქვა ინიციატივა, ტროლეიბუსის იმ უსახელო ხაზს ოტო რეჰაგელის სახელი ეწოდოს. თუმცა, მისდამი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, ბერძნებმა მოცდა ამჯობინეს. როგორც ჩანს, ბერძნებს სურთ, ტროლეიბუსის ხაზს მაინც თავისიანის - ოლიმპიური ჩემპიონის სახელი უწოდონ.

საინტერესოა, მოასწრებენ კი ბერძნები, შეაკეთონ გაჩერებებზე დამონტაჟებული საათების ნაწილი, რომლებმაც უკვე მოასწრეს მწყობრიდან გამოსვლა?

TV-სპორტი

## ოთხშაბათი. 11 აგვისტო

**НТВ+ФУТБОЛ**
06:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები
07:00 NBA TV. სეზონი 1983. SAN ANTONIO SPURS - LOS ANGELES LAKERS
09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 რუსეთის თასი. 1/16 ფინალი. ტორპედო - დინამო (ბრიანსკი)
14:00 ჩემპიონთა ლიგა. მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპი. დინამო (კიევი) - ტრაპზონი
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
17:00 სატელევიზიო ჟურნალი FUTBOL MUNDIAL
17:30 სტარტის წინ
18:30 თავისუფალი დარტყმა
18:45 სახვალიო პროგრამა
20:55 ჩემპიონთა ლიგა. მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპი. შახტარი (უკრაინა) - ბრიუგე (ბელგია)
23:20 ფეხბურთი ოლიმიადაზე
01:05 ოლიმპიური თამაშები. ფეხბურთი. ტუნისი - ავსტრალია
03:00 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ
03:30 NBA TV. მიმოხილვა

**НТВ+СПОРТ**
10:00, 13:25, 16:00, 18:40, 21:00, 00:05 ოლიმპიური პრესცენტრი
10:15, 19:15 "ოლიმპის შვილები"
10:20 "ცხელი ქვიშა"
11:15 "საუკუნის ათლეტები"
12:25 ვარსკვლავური სამშაბათი
13:40 სეზონის საუკეთესო ტრანსლაციები. ჰოკეი. სტენლის თასის ფინალი
16:15 სპორტული გლობუსი
16:45 ოლიმპიური ისტორია
17:45 "საუკუნის ათლეტები"
18:55 ოლიმპიური თამაშები. ფეხბურთი. ქალები. ბრაზილია - ავსტრალია
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:25 ოლიმპიური თამაშები. ფეხბურთი. კაცები. საბერძნეთი - კორეა
23:25 ბილიარდი. ევროპის ჩემპიონატი

**EUROSPORT**
10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 ცურვა. ევროპის ჩემპიონატი ესპანეთში
13:00 მძლეოსნობა. სუპერ გრანპრი საბერძნეთში
14:30 სპიდვეი. მსოფლიო თასი
15:20 ფეხბურთი. ევროგოლი
16:00 ოლიმპიური თამაშების ისტორია
18:00 ნიჩბოსნობა. მსოფლიო თასი
19:00 ფეხბურთი. ევროგოლი
19:45 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
20:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი
21:30 კრივი. ევროპის ჩემპიონატი
01:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
01:30 რალი. მსოფლიო თასის ეტაპი
02:00 ავტორბოლა NASCAR
03:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა

24 საათი

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" დანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ევროისტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განუმარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს სახელმწიფო დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმოწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10.
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 26467440.

## მატეოტის მკვლელობა



ჯაკომო მატეოტი

იტალიის პარლამენტში ყველა ერთნაირად როდი იყო თანახმა მუსოლინის აღზევებისა. 1924 წლის 30 მაისს სოციალისტმა დეპუტატმა, **ჯაკომო მატეოტიმ** სიტყვა ითხოვა. ეს სიტყვა ალბათ ერთი საათი გაგრძელდებოდა, რომ არა ფაშისტი დეპუტატების განუწყვეტელი ყვირილი, მუშტების ცემა და სტვენა, რის გამოც მატეოტის სიტყვამ ოთხი საათი დაიკავა. დეპუტატი ფაშისტებს არჩევნების გაყალბებასა და ხმების ძალადობით მოპოვებაში ადანაშაულებდა და სათანადო მტკიცებულებებიც მოჰყავდა.

მიუხედავად წინააღმდეგობისა, მატეოტის განაჩენი ურყევი იყო: "ჩვენ ვამტკიცებთ, რომ უმრავლესობამ, რომელმაც ოთხ მილიონზე მეტი ხმა მოიპოვა, არ მიუღია ეს ხმები ჭეშმარიტად და თავისუფლად". "თქვენ შეურაცხყოფას აყენებთ პარლამენტს!" — უყვიროდნენ მას. "მაშ, დაშალეთ პარლამენტი!" — პასუხობდა მატეოტი. პარლამენტის თავმჯდომარე, **დე ნიკოლა** აფრთხილებდა: "დაასრულეთ, დეპუტატო, ნუ გამოიწვევთ ინციდენტებს". "ეს რა წესია! — არ ცხრებოდა მატეოტი. — თქვენ ჩემი სიტყვის უფლებას უნდა იცავდეთ". "ვიცავ, მაგრამ გონიერებისკენ მოგიხმობთ", — მდგომარეობის განმუხტვას ცდილობდა დე ნიკოლა. "მე არც გონიერ და არც უგუნურ ლაპარაკს არ მოვითხოვ, მე პარლამენტისთვის შესაფერისად ვლაპარაკობ", — თავის პოზიციას იცავდა ტრიბუნაზე მყოფი.

განრისხებულ ფაშისტთა შორის მხოლოდ ერთი იყო მდუმარე — თვით **ბენიტო მუსოლინი**. ოთხი საათის განმავლობაში მას ხმა არ ამოუღია, მაგრამ ფერმკრთალ სახესა და მაგრად შეკრულ მუშტებზე ეტყობოდა შინაგანი აღგზნება. როგორც კი ორატორმა დაასრულა, მუსოლინი მოწყვეტით წამოდგა და პრეზიდენტის სასახლისკენ გაემართა. თავისი კაბინეტის მისაღებში თავის თანაპარტიელ მარინელის წააწყდა და დაუყვირა: "რას მიკეთებს "ჩეკა"?.. მხდალები რომ არ იყოთ, ვერავინ გაბედავდა ასეთი სიტყვის წარმოთქმას!".

"ჩეკა" ფაშისტთა შეიარაღებული დაჯგუფება იყო, ძირითადად კრიმინალებით დაკომპლექტებული, რომელსაც ყველაზე ბინძური ძალადობისთვის იყენებდნენ. ეს სახელი მუსოლინიმ მარინელის — თავისი ყველაზე ჩლუნგი და ცინიკური თანამებრძოლის გასაგონად წარმოთქვა. მარინელიმ თავისთვის ჩვეული აზრი მიანიჭა გაგონილს.

1924 წლის 10 ივნისს, შაბათს, პაპანაქება სიცხეში, ნაშუადღევის ოთხ საათზე მატეოტი შინიდან გამოვიდა და ტიბროსის ნაპირს გაუყვა. დროზე ვერ შეამჩნია იქვე ახლოს მდგომი ავტომობილი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ჭადრების ჩრდილქვეშ ელოდა. იმდენად დიდი ხანი ელოდა, რომ მახლობელი სახლის დაეჭვებულმა კარისკაცმა ნომერიც კი ჩაიწერა ყოველი შემთხვევისთვის. ავტომობილში ხუთი კაცი ისხდა: **დუმინი**, **ვოლპი**, **ვიოლა**, **პოვერომო** და **მალაკრია**. ყველანი ხსენებული "ჩეკას" წევრები იყვნენ. როგორც კი მატეოტი ავტომობილს გაუსწორდა, მასში მსხდომნი თავს დაესხნენ და მანქანაში შეათრიეს. მატეოტი თავგანწირულად იცავდა თავს, ფანჯრიდან თავისი სადეპუტატო წიგნაკიც ისროლა, რომ გამვლელთა ყურადღება მიეპყრო. ბოლოს და ბოლოს, იმდენი მოახერხა, რომ ვიოლას წიხლიც კი უთავაზა საზარდულში. ტკივილით დაბრმავებულმა ვიოლამ ყელში დანა ატაკა და საძილე არტერია გადაუჭრა მატეოტის.

როგორც ეტყობა, თავდამსხმელებს არ ეგონათ, რომ შუა ქალაქში ხელში გვამი შერჩებოდათ. საჭესთან მჯდარმა დუმინიმ მანქანა რომიდან გამოიყვანა და სოფლის გზებზე უგზო-უკვლოდ მოჰყვა მოძრაობას. მიმწუხრისას რაღაც ტყეს მიაგნეს, რის ვაი-ვაგლახით დომკრატით ამოთხარეს ნახევარი მეტრის სიღრმის ორმო და შიგ ჩატენეს მატეოტის მოკუნტული გვამი.

აქედან უკვე ისტორიული ცნობები ვერსიების სიმრავლეში იკარგება. არ ვიცით, როგორ მივიდა მკვლელობის ცნობა მარინელის ყურამდე, როგორ მიიღო ის მუსოლინიმ. ქმრის გაქრობის გამო განგაში მატეოტის ცოლმა ატეხა და მეგობრებს აუწყა. გაზეთებში ინფორმაციამ მხოლოდ ორი დღის შემდეგ, 12 ივნისს გაჟონა, როცა პარლამენტის წევრებმა მუსოლინისაგან განმარტება ითხოვეს. მუსოლინის ალბათ საქმის მიჩქმალვა აძლევდა ხელს, მაგრამ გამოძიებამ ადვილად მიაკვლია გატაცებული ავტომობილის კვალს და მალე მკვლელებიც იპოვა. ისინი ამბობდნენ, რომ მხოლოდ "ჭკუის სწავლება" სურდათ, მაგრამ მატეოტი მოულოდნელად ხელში ჩააკვდათ. თანაც აღარ ახსოვდათ, სად დაფლეს მოკლული დეპუტატი. გვამი 16 აგვისტოს შემთხვევით იპოვა მეტყევემ.

მუსოლინიმ მალევე იპოვა განტევების ვაცი, თანაც, ერთი კი არა, სამი: თვით **მარინელი**, რომელიც ყველას სძულდა, **ფინცი**, რომლის უკანონო ქმედებებზე უკვე ოპოზიციაც იმაღლებდა ხმას, და, განსაკუთრებით, **როსი**, რომელსაც უკვე ამომავალ ვარსკვლავს უწოდებდნენ და ვინ იცის, რა სიმაღლემდე ასვლას აპირებდა ეს ვარსკვლავი.

და მაინც, მუსოლინის წინააღმდეგ ტალღათა მთელი ჯარი აგორდა. იგი მრავალჯერ იყო საბოლოო მარცხის პირას, მაგრამ ცუდად თუ კარგად 1925 წლის 3 იანვრამდე მიაღწია. ამ დღეს მუსოლინი პარლამენტის ტრიბუნაზე ავიდა და განაცხადა: "სტატუტის 47-ე მუხლის თანახმად პარლამენტს აქვს უფლება სამეფო მინისტრები სასამართლოს გადასცეს. არის თუ არა ამ დარბაზში ვინმე, ვისაც 47-ე მუხლის გამოყენება სურს?". დარბაზი გაისუსა. მუსოლინიმ განაგრძო: "მე, მხოლოდ მე ერთი ვიღებ პასუხისმგებლობას ყველაფერზე, რაც მოხდა". დარბაზის დაძაბულობამ მწვერვალს მიაღწია. მუსოლინი კი ორატორულ აზარტში შედიოდა: "თუ ფაშიზმი მხოლოდ ხელკეტი იყო და არა საუკეთესო იტალიელი ახალგაზრდობის უზენაესი ვნება, მე ვარ დამნაშავე! თუ ფაშიზმი მხოლოდ დანაშაულებრივი ბანდა იყო, მე ვარ ამ ბანდის მეთაური! ... იტალიას, ბატონებო, მშვიდობა სჭირდება და ამ მშვიდობას ჩვენ მივცემთ მას სიყვარულით, თუ შესაძლებელი იქნება, და ძალით, თუ ეს აუცილებელი გახდება. დარწმუნებულნი იყავით, რომ აქედან მოყოლებული, ორმოცდარვა საათის განმავლობაში ვითარება გაირკვევა ყველა თვალსაზრისით".

შეწინააღმდეგება არავის უფიქრია, ყველა მოხიბლული დარჩა.

ორმოცდარვა საათის განმავლობაში პარლამენტის სხდომები შეჩერდა და რეგიონებში პრეფექტებს საიდუმლო დირექტივების წვიმა დაატყდა თავს: "**დაიშალოს და გაუქმდეს ყველა ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია ნებისმიერი საბაბით მეამბოხე ელემენტების ინტეგრირება და სახელმწიფო ძალაუფლებისთვის რაიმე ზიანის მიყენება**". ბოლოს და ბოლოს, მიიღეს რეპრესიული ზომები სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ.

მუსოლინი ფაშიზმთან საკუთარ თავს აიგივებდა. ეს აშკარა იყო, მაგრამ 3 იანვარს მაინც ბევრი ვერ ხვდებოდა, რომ ფაშიზმი სახეს იცვლიდა და პოლიტიკური მოძრაობიდან დიქტატურად იქცეოდა.

# დუჩე

## (ძალაუფლების მწვერვალისკენ)

1914 წლის 28 ივნისს, როცა ერცჰერცოგი **ფერდინანდ აუგსბურგი** მოკლეს სარაევოში, **ბენიტო მუსოლინი** სოციალისტური გაზეთის, "ავანტის" რედაქტორი იყო. მისი სტატიები იტალიელ ინტელექტუალებში საოცარ გაღიზიანებას იწვევდა. ფილიპო ტურატი წერდა თავისი ჟურნალის ფურცლებზე: "**რა არის ეს ხმა და ეს სიტყვა, რომელიც ავანგარდში მდგომი პარტიის ხმად და სიტყვად საღდება? — რელიგია? მაგია? უტოპია? სპორტი? ლიტერატურა? რომანი? ნევროზი?**". მაგრამ იტალიელი მუშები ვერ ხვდებოდნენ ტურატის შეკითხვებს, სამაგიეროდ ხარბად ეწაფებოდნენ მუსოლინის სტატიებს და მათ სულებში ფარული დუღილი იწყებოდა. დღევანდელ ქართველ ინტელექტუალებსაც, შესაძლოა, "მფრინავ სპილოებად" მიაჩნიათ ყოველი მხრიდან ზღვასავით მომდინარე მარაზმული ბეჭდვითი პროდუქცია, მაგრამ სოციალური უკმაყოფილების ზრდასთან ერთად ნევროზი და მაგია საოცარ ქმედითობას იძენს...

მაგრამ ისევ მუსოლინის დავუბრუნდეთ. მისი პოლიტიკური სიბეცე იმაში გამომჟღავნდა, რომ ფერდინანდის მკვლელობისთვის მას არავითარი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია. მაგრამ, როცა ავსტრიამ სერბიას ულტიმატუმი გამოუცხადა, მუსოლინიმ დაბეჭდა სტატია "ძირს ომი!", რითაც მთელი იტალიის მემარცხენე საზოგადოება მიიმხრო. ცოტა მოგვიანებით, როცა კონფლიქტში იტალიის ჩაბმაზე დაიწყო ლაპარაკი, მუსოლინიმ განაცხადა: "არც ერთი კაცი, არც ერთი გროში!".

სიტუაცია ელვის სისწრაფით იცვლებოდა: სულ მალე ავსტრიელებმა სერბიაში შეაბიჯეს, გერმანელებმა კი ბელგიასა და საფრანგეთში. აქ გაჩნდა პირველი ბზარი მუსოლინისა და სოციალისტების პარტიულ აპარატს შორის. ეს უკანასკნელი სახტად დარჩა, როცა 18 ოქტომბერს გამოქვეყნდა მუსოლინის ვრცელი დემაგოგიური სტატია: "აბსოლუტური ნეიტრალიტეტიდან აქტიურ და ქმედით ნეიტრალიტეტამდე". სტატიაში ეწერა: "რა გვინდა ჩვენ როგორც ადამიანებსა და სოციალისტებს — პასიური მაყურებლის როლი, თუ ამ გრანდიოზულ დრამაში მონაწილეობა?".

ბენიტოს რედაქტორის პოსტის დატოვება მოუხდა.

სწორედ ამ მძიმე დროს გამოჩნდა ბოლონიელი გამომცემელი **ფილიპო ნალდი** და მუსოლინის ახალი გაზეთის გასახსნელად მოზრდილი თანხა შესთავაზა. მუსოლინი უარზე იყო: პრინციპული ადამიანები ხომ ფულზე არ ჰყიდიან თავიანთ მრწამსს. ნალდი კი არწმუნებდა, რომ ამ ფულით სულაც არ სურდა თავისი ან ვინმეს იდეების გატარება: მუსოლინი მიიღებდა თანხებს საკუთარი მოღვაწეობის თავისუფლად გასატარებლად. ვარაუდობენ, რომ ნალდიმ საფრანგეთის მთავრობისაგან მიიღო ფული, რომლითაც 15 ნოემბერს ახალი გაზეთი გაიხსნა: "იტალიელი ერი". პირველი ნომერი ორ საათში გაიყიდა, რამდენიმე დღეში კი ტირაჟმა ასი ათასს გადააჭარბა.

პირველ ფაშისტურ გაზეთში მონაწილეობდნენ დიდი იტალიელი პოეტი, **უმბერტო საბა** და ბენიტოს ახალი სატრფო, მშვენიერი წითურთმიანი ებრაელი (!) **მარგერიტა სარფატი**. მიუხედავად გაზეთის წარმატებისა, მუსოლინი ფრონტზე წასვლას ესწრაფოდა — სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა ავტორიტეტის შენარჩუნება. მთავრობა არ ენდობოდა სოციალისტ მოხალისეებს, გაწვევამ კი 1915 წლის აგვისტოში მოუწია.

მუსოლინი მამაცი და დისციპლინირებული ჯარისკაცი იყო. დიდი გმირობის ჩასადენად შემთხვევა არ მისცემია. ექვსი თვის შემდეგ მის მახლობლად ბომბდამშენი ჩამოვარდა და მრავალი ნამსხვრევით დაჭრილი ბენიტო ზურგში გაწერეს. ომში გამარჯვება მოულოდნელად დაატყდა თავს და მიუხედავად მოზეიმე განწყობისა, მის სტატიებს ეტყობოდა, რომ ავტორი მოუმზადებელია ომის შემდგომი პერიოდისათვის. ერთხანს ბენიტო ლაშქრის მაძიებელ სარდლად დარჩა.

პირველი რეკრუტები მას ფუტურისტებმა მისცეს: ავანგარდისტ ხელოვანთა რიგებიდან თანდათანობით ყალიბდებოდა ახალი პოლიტიკური მოძრაობა. დანარჩენები კი თითქმის მოუწესრიგებელ ბრბოს წარმოადგენდნენ, სადაც ნაციონალისტებსაც შეხვდებოდით და ანარქისტებსაც, რომელთა დევიზი იყო "მარჩარე, ნონ მარჩირე" — "ვიაროთ, არ დავლპეთ". მიმართულებას დიდად არ დაგიდევდნენ.

მესამე და ყველაზე აქტიური ნაწილი ომიდან ახლად დაბრუნებული ვეტერანები იყვნენ, რომლებმაც სანგრებიდან ძალადობის ნოსტალგია წამოიყოლეს. სწორედ ეს სამი ელემენტი შეიკრა "კონებად" — იტალიურად fascio — და ფაშიზმის პირველ ბირთვად იქცა. 1919 წლის თებერვლისთვის უკვე ოცამდე "კონა" დაარსდა.



წინ რომისაკენ. ფაშისტების მარში.

მაგრამ 1916 წლის 16 ნოემბრის არჩევნებმა ფაშისტებს დამარცხება მოუტანა: 270 ათასი ხმიდან მათ ხუთი ათასიც ვერ მოაგროვეს. სოციალისტებმა მუსოლინის სიმბოლური დაკრძალვა გაითამაშეს და ქუჩაში მისი "კუბო" გამოიტანეს.

მდგომარეობის გამოსასწორებლად ბენიტომ თავისი მოძრაობის კარები ყველას გაუხსნა. მისი ერთ-ერთი პრინციპი იდეოლოგიის ბუნდოვანება იყო: ინსტინქტური ოპორტუნიზმის გამო მუსოლინი ყველას აძლევდა ინტერპრეტაციის თავისუფლებას. ეს თვისება იტალიურმა ფაშიზმმა მაშინაც შეინარჩუნა, როცა რეჟიმად იქცა. მოძრაობის ბირთვს მაინც წვრილი ბურჟუაზია წარმოადგენდა: ეს ფენა ყველაზე მეტად დაიჩაგრა მსოფლიო ომის დროს. პატარა ადამიანი, რომელსაც ტროცკი "გაბრაზებულ მეშჩანს" უწოდებდა, ყველას წინააღმდეგ იყო გაბრაზებული: ერთნაირად არ მოსწონდა მეფე და სოციალისტები, მსხვილი კაპიტალისტები და რევოლუციონერები. მის განსაკუთრებულ რისხვას იმსახურებდა ის ჯგუფი, რომელსაც დღეს ელიტას ან ისტებლიშმენტს უწოდებენ.

საოცარია, მაგრამ თავიდან რევოლუციური ფაშიზმი ახალმოსულმა წვრილმა ბურჟუებმა და გაკოტრებულმა ფერმერებმა, ასე ვთქვათ, რეაქციულად აღიქვეს. მათთვის ფაშიზმი წესრიგის სინონიმი იყო, ხოლო წესრიგი — რეპრესიებისა. რამდენიმე თვეში "კონათა" რიცხვი 88-დან 834-მდე გაიზარდა, ჩაწერილთა საერთო რაოდენობა კი — 20 ათასიდან 250 ათასამდე. 1921 წლის არჩევნებში ფაშისტებმა უმრავლესობა მოიპოვეს.

ამ დროისათვის შინაგან წესრიგს სახელმწიფო უკვე ველარ აკონტროლებდა და ეს საქმე შეიარაღებული ფაშისტური დაჯგუფებების ხელში იყო გადასული. როცა ფერმერებს მუშები დაემატა, ფაშიზმი უკვე მნიშვნელოვან ძალად იქცა. 1922 წლის 24 ოქტომბერს დაინიშნა საყოველთაო კონგრესი, რომელზეც დელეგატებად 30 ათასი "შავი პერანგი" იყო მოწვეული. 23-ში ნეაპოლისკენ მუსოლინიც გაემგზავრა, რომში ერთ-ერთ მინისტრს, **სალანდრას** შეხვდა და განუცხადა, რომ ახალ მთავრობაში ფაშისტებს ხუთი სამინისტრო უნდა გადასცემოდათ. მუსოლინი ამბობდა, რომ თვითონ მთავრობაში არ შევიდოდა, რომ უკეთესად მოეხდინა კონტროლი შეიარაღებულ რაზმებზე.

ნეაპოლში 60 ათასი შავ პერანგში გამოწყობილი ფაშისტი შეიკრიბა. მუსოლინის დირექტივის თანახმად, 26 ოქტომბერს რაზმები საბრძოლო მზადყოფნაში უნდა ყოფილიყვნენ, 27-ში კი მობილიზაცია დაეწყოთ. 28 ოქტომბერს ყველა ქალაქში უნდა დაეკავებინათ საჯარო დაწესებულებები: მერიები, პოლიციის სამმართველოები, რკინიგზის სადგურები, ფოსტა, ტელეგრაფი და ტელეფონი. მეორე დღეს უნდა დაწყებულიყო მარში დედაქალაქისკენ. ამ ზოგად ბრძანებათა გაცემის შემდეგ მუსოლინი მილანს გაემგზავრა.

28 ოქტომბრის ღამეს თანამშრომლებმა გააღვიძეს მთავარი მინისტრი, **ფაქტა** და საწოლზე დეპეშების მთელი გროვა დაუყარეს. ფაშისტების რაზმები რომისკენ მოიწევდნენ: გადასაადგილებლად ლიანდაგებზე აჩერებდნენ მატარებლებს და აძევებდნენ მგზავრებს, სხდებოდნენ მოტაცებულ საბარგო მანქანებზე, მოდიოდნენ ველოსიპედებითა და ფეხით. შეიარაღებითა და აღჭურვილობით უფრო ბანდიტებს ჰგავდნენ, ვიდრე საჯარისო დანაყოფებს. ხელში სანადირო თოფებიც კი ეჭირათ და კოკისპირულ წვიმაში კბილებს აკაწკაწებდნენ. დისციპლინისა არაფერი ეტყობოდათ.

მთავრობა დილის ექვს საათზე შეიკრიბა. რომში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს. რვის ნახევარზე ფაქტა მეფესთან შევიდა ხელმოწერის მისაღებად. ყველას მიაჩნდა, რომ ეს სუფთა ფორმალობა იყო, მაგრამ მეფემ, რომელმაც ღამე თეთრად გაათენა, მთელი თავისი რისხვა მინისტრს დაატეხა თავზე: ასეთი გადაწყვეტილებების მიღება მას თავის პრეროგატივად მიაჩნდა. "ეს მართლაც სამოქალაქო ომია, — იყვირა მეფემ, — ის დრო დადგა, ერთ-ერთმა ჩვენგანმა თავი გასწიროს". ფაქტას ეყო ძალა მოსწრებული პასუხის გასაცემად: "თქვენი უდიდებულესობა თავს ნუ შეიწუხებს იმის თქმით, ვინ უნდა იყოს ეს". და სამუდამოდ დატოვა სასახლე.

დღეს უკვე არავინ იცის დანამდვილებით, რატომ არ მოისურვა იტალიის მეფემ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება. გამოთქმულთაგან ყველაზე დაუჯერებელი იყო ვერსია, თითქოს მუსოლინისთან საიდუმლო გარიგებაში ყოფილიყო გარეული.

ასე თუ ისე, როცა ათის ნახევარზე მთავრობის სხდომაზე გამოცხადდა, ყველამ დაინახა, რომ ფერმკრთალი და ღონემიხდილი იყო. მეფე ტელეფონით დაუკავშირდა პრემიერ-მინისტრს, **ჯოლიტის**, რომელიც მაშინ პიემონტში იყო შეფარებული, და რომში გამომგზავრება სთხოვა. ჯოლიტიმ აღუთქვა, რომ საღამოს მატარებელს გამოჰყვებოდა, მაგრამ სარკინიგზო ხაზები უკვე ფაშისტების ხელთ იყო და ვერ შეძლო. ერთი საათის შემდეგ ფაქტამ ხელი მოაწერა თავის გადადგომას. მეფეს უკვე ჰყავდა მისი შემცვლელის კანდიდატურა.

29 ოქტომბერს, დღის 12 საათზე მუსოლინიმ მიიღო გენერალ **ჩიტადინის** ხელმოწერილი დეპეშა: "მისი უდიდებულესობა მეფე მავალებს მე, გთხოვოთ რაც შეიძლება მალე გამოცხადდეთ რომში, რადგან სურს, რომ თქვენ ჩამოაყალიბოთ ახალი სამინისტრო". აქ კი მუსოლინის ნერვებმა უმტყუნეს: ფერი დაკარგა, ცრემლი წასკდა და იქვე მდგომ ძმას უთხრა მშობლიურ დიალექტზე: "ეჰ, მამა რომ ხედავდეს ამას!".

30 ოქტომბერს დილის 11 საათზე მუსოლინი უკვე რომში იყო. გზადაგზა სადგურებში აჩერებდა მატარებელს და ფაშისტურ მიტინგებზე სიტყვით გამოდიოდა: "სულ რამდენიმე საათში იტალიას ახალი სამინისტრო კი არა, ახალი მთავრობა ეყოლება!".

მატარებელში შეადგინა ახალი მთავრობის სია: მასში სულ სამი ფაშისტი იყო და ისიც ყველაზე ზომიერი. შეიარაღებულ ძალებს კი მეფის ერთგული ორი გენერალი განაგებდა: **დიასი** და **ტაონ დე რეველი**. ამასობაში ათიათასობით შავპერანგიანი იდგა ცივი წვიმის ქვეშ და ელოდა ბრძანებას. ბოლოს და ბოლოს, მუსოლინის ისინიც გაახსენდა და 30 ოქტომბერს მათ რომისაკენ მარშის ბრძანებაც მიიღეს. ამ დროისთვის მუსოლინის უკვე აღებული ჰქონდა სამთავრობო ძალაუფლება. მარში რომისაკენ დაიწყო და თავდაპირველ 30 ათას მონაწილეს გზად კიდევ 40 ათასი შეემატა. სხვები ქალაქშიც დახვდნენ. ჩვეულებისამებრ იტალიელები გამარჯვებულის შესახვედრად მოისწრაფოდნენ.

რომის სან ლორენცოს უბანში მოსულმა ფაშისტებმა მუშების ამბოხებისკენ მოწოდებას მიჰყვეს ხელი. მუშები დაჰყვნენ და ქუჩებში გამოვიდნენ. თორმეტი კაცი დაიღუპა. მუსოლინიმ სასტიკი ბრძანება გასცა სხვა მსგავსი არეულობის თავიდან ასარიდებლად. მაშინ შავპერანგიანები კაფეებს, რესტორნებს, ტავერნებსა და ბორდელებს შეესივნენ, სადაც გათენებამდე ღრეობდნენ მუქთად. დილით კი კვირინალეს ბორცვისკენ გაემართნენ და სასახლის წინ შეგროვდნენ. მეფე აივანზე გამოვიდა ორი გენერლის თანხლებით და შეკრებილებს მიესალმა. ყველანაირად ცდილობდა, დაეფარა ზიზღი ამ უცნაური ბრბოს მიმართ: მის თვალწინ სანადირო თოფებით, ნამგლებით, ფიწლებითა და ხელკეტებით შეიარაღებულ ყაჩაღთა ბრბო იდგა.

რევოლუცია დასრულდა, უფრო სწორად, არც არასოდეს დაწყებულა.

16 ნოემბერს მუსოლინიმ თავისი კლასიკური სიტყვა წარმოთქვა პარლამენტის ქვედა პალატის, ეგრეთ წოდებული კამერის წინაშე: "**სამასი ათასი ფაშისტის დახმარებით, — თქვა და რეალური რიცხვი ათზე გაამრავლა, — შემეძლო დამესაჯა ყველა, ვინც ცდილობდა ფაშიზმის შერცხვენასა და ტალახში ამოსვრას. შემეძლო, ეს ნაცრისფერი და ულიმღამო დარბაზი ჩემი რაზმელების ბანაკად მექცია. შემეძლო დამეშალა პარლამენტი და მხოლოდ ფაშისტებისაგან შედგენილი მთავრობა ჩამომეყალიბებინა**". ამას ხანგრძლივი და მუქარით აღსავსე პაუზა მოჰყვა. შემდეგ კი: "**შემეძლო, მაგრამ არ ვისურვე**".

კამერამ 306 ხმა მისცა 116-ის წინააღმდეგ. ორი კვირის შემდეგ მის მაგალითს სენატმაც მიჰბაძა 196 ხმით 19-ის წინააღმდეგ. მუსოლინიმ სრული ძალაუფლება მიიღო ერთი წლის ვადით.

*ნოდარ ლადარია*
*ლეილა ბეჟარაშვილი*




მუსოლინი მატეოტის კუბოზე - პოლიტიკური კარიკატურა.

# რომს ბარბაროსები შეესივნენ

პირველად ვანდალებმა მარადიული ქალაქი - რომი 452 წელს დაანგრიეს. XXI საუკუნის დასაწყისში რომში ვანდალები კვლავ გამოჩნდნენ. საზოგადოებამ განგაში ატეხა. ამოუცნობი ხულიგნები ისტორიულ ძეგლებს - უნიკალურ მარმარილოს ქანდაკებებს ემტერებიან. ამ დღეებში იტალიის დედაქალაქში მორიგი სკანდალი მოხდა. როდესაც ერთი დასიცხული გამვლელი ვია ვენეტოზე ცნობილ ფუტკრების შადრევანთან შეჩერდა გასაგრილებლად და წყლის დასალევად, დაინახა, რომ სამი გიგანტური მარმარილოს ფუტკრიდან ერთს თავი ჰქონდა მოგლეჯილი. ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის მოანგრიეს ეს სკულპტურა, რომელიც დიდი იტალიელი მოქანდაკის - ბერნინის ნამუშევარია. ერთი თვით ადრე ასევე უცნობმა პირებმა დააზიანეს სამი ქანდაკება პიაცა დელ პოპოლოზე, ერთ-ერთი მათგანი ძველი რომაული ორიგინალი იყო. ქალაქის ნამდვილ უბედურებად კი გრაფიტი იქცა. ფერადი საღებავებით მთელი კედლები გადაჯღაბნილია. რომის ცენტრში უკვე ძნელად თუ იპოვით შენობას ან ძეგლს, რომელზეც ეროტიკული ლოზუნგები, ჯორჯ ბუშის ან იტალიის ხელისუფლების გინება, პოლიციელთა წინააღმდეგ მიმართული ფრაზები და ათასგვარი სხვა სისულელე არ იყოს მიჯღაბნილი. ქალაქის ხელისუფლებამ სისუფთავის დამცველთა ორი ჯგუფი გამოყო. ამ ჯგუფების წევრები ჯაგრისებით, გამხსნელი ნივთიერებით და წყლის შლანგებით არიან შეიარაღებულნი, მაგრამ, როგორც ჩანს, ძალთა რაოდენობა თანაბარი არ არის.






*ვილა ბორგეზეს ბაღი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილად იქცა, რომის კედლები კი ფერადი საღებავებით ააჭრელეს.*

არქიტექტურის მართვის სამსახურის ერთ-ერთ თანამშრომელს ასეთი იდეა დაებადა. ის მიიჩნევს, რომ ხულიგნები, შესაძლოა, დაფრთხნენ, თუ ქალაქში ვიდეოკამერები დაიდგმება და ძეგლებს პროჟექტორებით გაანათებენ.

იტალიელთა უმრავლესობის აზრით, მთავარი მიზეზი ადგილობრივი კანონების უმოქმედობა და ადგილობრივი მმართველობის გულგრილობაა.

ვანდალებს თითქმის არასდროს არ იჭერენ. და თუ მოხდა ისე, რომ რომელიმე ხულიგანი დააკავეს, მას მხოლოდ უმნიშვნელო ჯარიმას გადაახდევინებენ და ათავისუფლებენ. ციხეში ამის გამო ჯერ არავინ მოხვედრილა.

საზოგადოების აზრი ასეთია: "აბა, გაბედე და ამსტერდამში დაწერე რამე რომელიმე შენობის კედელზე, - ამბობს ახალგაზრდა იტალიელი სკეიტბორდისტი პაპიკ როსი, - ჩვენთან კი რაც გინდა, იმას ამოჩხაპნი, გადასასვლელზეც როცა გინდა, მაშინ გადახვალ. მოტოციკლისტები წითელზე დადიან და ამისთვის არავინ არ ისჯება."

მილტონ ჰენდელი ამერიკელი ხელოვნებათმცოდნეა. ის უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც რომში ცხოვრობს. მისი ბინის ფანჯრები შესანიშნავ კუს შადრევანს გადაჰყურებს და გული სტკივა, როცა ხედავს, როგორ ბანაობენ ამ უნიკალურ შადრევანში, რომელიც მარმარილოსა და ბრინჯაოსაგან არის დამზადებული. ადრე ასეთი რამ არ ყოფილა, - ამბობს შეწუხებული.

"ხელისუფლების უუნარობის კლასიკური მაგალითი ის გახლავთ, რომ მას არ ძალუძს ისტორიული მემკვიდრეობის დაცვა. თუნდაც ვილა ბორგეზეს მაგალითი ავიღოთ. აქ საუკუნეების მანძილზე დაგროვილი სიმდიდრეა შენახული, მისი ბაღი კი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილად აქციეს," - აღშფოთებას ვერ მალავს ჰენდელი.

ამერიკელ ხელოვნებათმცოდნეს სასაცილოდ არ ჰყოფნის ის ფაქტი, რომ გრაფიტი თვითგამოხატვის ფორმაა და ხელოვნების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს: "ეს ადამიანები ნამდვილი ვანდალები არიან. რომის მოთმინების ფიალა ამოიწურა."

# ნაომის პროტესტი

ბრიტანელი მოდელი, ნაომი კემპბელი, მონაწილეობას იღებს ანტიდიფამაციური ლიგის (Anti-Defamation League) კამპანიაში "ანტისემიტიზმი ანტი-მეა", რომელიც - სახელწოდებითაც მიხვდებოდით - ანტისემიტიზმის წინააღმდეგაა მიმართული.

"ახალმა კამპანიამ, რომლის მიზანიც ფართო და მრავალფეროვანი აუდიტორიის მიზიდვაა, უნდა შეცვალოს ის აზრი, რომ ანტისემიტიზმის პრობლემა მხოლოდ ებრაელებს ეხება," - ამბობს აბრაჰამ ფოქსმანი, ლიგის ნაციონალური დირექტორი. "ანტისემიტიზმის პრობლემა საყოველთაო პრობლემაა. საზოგადოებაში ანტისემიტიზმი სიძულვილის გამოხატულებაა, ეს კი ჩვენს ფასეულობებს - დემოკრატიას, მრავალფეროვნებას და მიმტევებლობას ეწინააღმდეგება".

ანტიდიფამაციული ლიგა 1913 წელს დაარსდა. ნაომი პირველი ვარსკვლავია, რომელმაც ლიგის კამპანიისთვის სურათი გადაიღო.



# ახალი "ამარკორდი"



ესპანელმა მსახიობმა, პენელოპა კრუზმა, მადრიდის უბან სალამანკაში საკუთარი მოდური ნაწარმის მაღაზია გახსნა. მაღაზიის სახელწოდებაა "ამარკორდი". მისი ოფიციალური პრეზენტაცია წელს, შემოდგომაზე გაიმართება.

მაღაზიაში ყოველდღიური და სავსებით ხელმისაწვდომი ტანსაცმლის ათი მწარმოებელია წარმოდგენილი. ისინი თავად მსახიობმა გადაარჩია. მაღაზიის გამგებელი პენელოპას ძველი მეგობარია, ვინმე მარიუ ალვარეზი. "მაღაზიის სახელწოდება პენელოპამ მოიგონა," - თქვა მან ამასთან დაკავშირებით Women`s Wear Daily-სთვის მიცემულ ინტერვიუში. "მას ეს ფილმი ძალიან მოსწონს".

სულ ცოტა ხნის წინათ ამერიკულმა ჟურნალმა "ფიფლმა" პენელოპა კრუზი ყველაზე მოხდენილ ქალად შერაცხა და ბრძანა, რომ ჯენიფერ ლოპესი, სარა ჯესიკა პარკერი, შარლიზ თერონი თუ ანჯელინა ჟოლი მასთან ახლოსაც ვერ მივლენ.

## სკანვორდი



## TV პროგრამა

*11 აგვისტო*

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.10** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.20** მხ. ფილმი "სიყვარულის მონა" **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელელიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "უკვდავი" **23.00** სერიალი "სოპრანოს კლანი". **00.00** მხ. ფილმი "კორდებალეტი". მთ. რ-ში: მაიკლ დუგლასი, ელისონ რიდი (გ)ყ

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **11.05** ზიგ ზაგ კაფე. **16.30** თითქმის **19.05** გადაცემა: ახალგაზრდობა არ არის მარადიული. **20.25** ივ სენ ლორანი. დოკ. ფილმი. **22.05** ფრანკოფონური ფილმების ფესტივალი ათენში. საიდუმლო აგენტი. **23.00** ჯვაროსნობის ეპოქაში. დოკ. ფილმი. **24.25** გადაცემა: პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება. **04.20** კრიმინალი. ტელესერიალი.

### პირველი არხი

**07.55** მოამბე **08.10** "ღამის მოამბე" გამეორება **09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **09.10** მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" **09.40** იმღერე რამე **10.10** სერიალი "მორიგი მსხვერპლი" **11.00** "ქიმერიონი" **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** სერიალი "ფორსაიტების საგა" **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "დიდი ნახტომი" მე-2ნაწ. **15.20** სერიალი "ზაფხულის საიდუმლო" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალის გაგრძელება **16.30** დოკ. ფილმი "ექსცენტრიკოსები" **17.00** მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი" **17.25** "მუსიკალური არჩევნები" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "სენ-ტროპე" **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "სოლედადი" **22.00** "მიამბეთ თქვენზე"-თამაზ ჩხენკელი **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** მხ. ფილმი "ლამაზი ჯონი" (15)

### 202

**10.00** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "სიმართლე ჩარლიზე" (15) **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "გამოსასყიდი" (მელ გიბსონი) (გ) **17.00** მულტფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "დედამიწის ბირთვი" (აარონ ეკჰარტი) (გ) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **22.45** დებატები 202-ზე **00.00** მხ. ფილმი "სპეციალისტი" (შერონ სტოუნი) (18)

### მზე

**09.00** მზერა დღის ბოლოს **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი "შტრაუსების დინასტია" **12.10, 21.45** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **13.10** მხ. ფილმი "ხელშეუხებელნი" (12) (კ. კოსტნერი) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "დრაკონის ბეჭედი" **17.10** მულტსერიალი "რედვოლი" **17.35** მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" **18.10** დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" **22.45** მზერა დღის ბოლოს **00.00** მხ. ფილმი "მეოთხე ფაზა" (18) (დეან სეინი)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "პაპირუსის თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა"(გ) **21.00** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **22.00** მხ. ფილმები "წინააღმდეგობა" (15)

### იმედი

**07.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 11.05, 13.15, 17.20, 01.50** იმედის მელოდიები **08.30** ანიმაც. ფილმი "მითიური მეომრები" **09.10** სერიალი "რელიკვიების მაძიებელი" **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.25** "ათენიდან ათენამდე" (მე-10 გადაცემა) **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.20** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "შერლოკ ჰოლმსის მემუარები" **15.15** მხ. ფილმი "შიში ქალაქის თავზე" (გ) **17.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.00** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "შერლოკ ჰოლმსის მემუარები" **21.30** "პირველი ნახევარი" **23.00** "ათენიდან ათენამდე" (მე-11 გადაცემა) **23.30** მხ. ფილმი "ადამიანი მოკვდავია" (ი. ჟაკობი) (გ)

### იბერია

**18.00** დოკ. ფილმი **19.00** კონცერტი **20.30** მხ. ფილმი "მწვანე მილი" (15) ხუთშაბათი **18.00** მხ. ფილმი "ურიგა" **19.50** დოკ. ფილმი **20.50** კონცერტი **22.00** მხ. ფილმი "კანონი" (12)

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости **09.20, 21.30 Сериал "Улицы разбитых фонарей" 10.20, 19.00 Сериал "Клон" 11.20** Мультсериал "Кошки-мышки" **11.40** Дисней-клуб. "Лило и Стич" **12.10** Людмила Гурченко в комедии **"Девушка с гитарой" 14.00 Сериал "Женщины в любви" 15.20 Сериал "Следствие ведут знатоки. Пуд золота". 3-я серия 16.20** Криминальная Россия. "Казаки-разбойники". 1-я серия **17.00** "Слабое звено" с Марией Киселевой **18.20** Просто смех! **20.00 Сериал "Черный ворон" 21.00** Время **22.40** Премьера. "Допинг. Ловушка для чемпионов" **23.30** "Формула власти". Премьер-министр Греции **00.00 Майкл Паре в боевике "Смертельно опасные герои" 01.50 Детективный сериал "24 часа" 02.40 Триллер "Призрак в машине" 04.30 Сериал "Уровень 9" 05.15** Сериал "Все путешествия команды Кусто". "Милый враг"

### НТВ

**06.00** Утро на НТВ. **08.50 Сериал "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ-2". 10.00** Сегодня утром. **10.25** Кулинарный поединок**. 11.20** Ток-шоу "Страна советов". **12.00, 15.00, 17.00, 19.00** "Сегодня" **12.30 Сериал "ЗА КУЛИСАМИ..." 14.25** Время есть. **14.35** Протокол. **15.35** Ток-шоу "Принцип домино". **17.30 Сериал "ОХОТА НА ЗОЛУШКУ". 13-я серия. 18.35** Протокол. **19.40 Сериал "МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ". 11-я серия. 20.50 Сериал "Я ВСЕ РЕШУ САМА". 3-я серия. 22.00** "Страна и мир" **22.35 Брайан Браун в боевике "ИЛЛЮЗИЯ УБИЙСТВА" 00.50 Джулия Стайлз в фильме "ЗА МНОЙ ПОСЛЕДНИЙ ТАНЕЦ"**

# "მეიბილინის" ახალი სახე



პოპულარული მსახიობი, კრისტინ დევისი, რომელიც სატელევიზიო პრემიის, "ემის" ნომინანტიცაა, კოსმეტიკის კომპანია "მეიბილინის" ახალი სახე გახდა. მისი მონაწილეობით ფირმის პროდუქციის სარეკლამო კლიპებსა და ფოტოსურათებს შეერთებული შტატების მცხოვრებლები წელსვე იხილავენ.

"კრისტენი ნიუ იორკის "მეიბილინის" სულის იდეალური გამოხატულებაა - მხიარული, კეკლუცი, დახვეწილი და თავხედი," - ამბობს Women`s Wear Daily-სთვის მიცემულ ინტერვიუში ჩერი ვიტალი, ფირმის მარკეტინგის უფროსი ვიცე-პრეზიდენტი. "მეიბილინს" მყიდველთა ძალიან ფართო წრე ჰყავს, ყველა ასაკის ქალები, ყველა ტიპისა. კრისტინი, ისევე როგორც ჩვენი ბრენდი, ენერგიულია, გონებაგახსნილი და... ხელმისაწვდომი. მომხმარებლის თვალში ის ნიუ იორკს სავსებით შეესაბამება - ქალაქის სულს, სტილს და შესაძლებლობებს, რომლებსაც ნიუ იორკი ყველას აძლევს".

ჯერჯერობით მრავალწლიანი კონტრაქტის თანხა არ დაუსახელებიათ, მაგრამ ექსპერტები ვარაუდობენ, რომ დაახლოებით ერთ მილიონ დოლარზეა საუბარი.

"მეიბილინის" პროდუქციის სარეკლამო სახე აქამდე ადრიანა ლიმა და ერინ უოსონი იყვნენ.

# თანხას გაარჩნია

გამოჩენილი მწერალი, გაბრიელ გარსია მარკესი, მრავალი წლის განმავლობაში ამბობდა უარს ჰოლივუდთან თანამშრომლობაზე. ახლა ის თანახმაა, რომ მისი წიგნი, "სიყვარული ჟამიანობის დროს", ფილმად იქნეს გადაღებული. გაზეთი "გარდიანი" იუწყება, რომ ეკრანიზაციისთვის უფლებების მიყიდვაზე მას ერთ-ერთ ამერიკულ კინოკომპანიასთან აქვს საუბარი. კომპანია "სტოუნ ვილიჯ ფიქჩერსი" ნობელის პრემიის ლაურეატს ერთიდან სამ მილიონამდე დოლარს გადაუხდის.

76 წლის მწერალმა ეს ნაბიჯი იმით ახსნა, რომ ამ ბოლო დროს მას თავისი ოჯახის წევრების - მეუღლე მერსედესის და ვაჟების, გონსალიოსა და როდრიგოს მომავალი კეთილდღეობის ამბავი განსაკუთრებით აწუხებს. მიუხედავად იმისა, რომ წიგნებს არცთუ მცირე შემოსავალი მოაქვს, თავისი კაპიტალის დიდი ნაწილი მან ჟურნალ Revista Cambio-ს გამოცემისთვის დახარჯა. ეს ჟურნალი კოლუმბიასა და მექსიკაში გამოდიოდა, მაგრამ ბოლო დროს მარკესის გამომცემელს საქმე მაინცდამაინც კარგად არ მისდის.

ამ ინფორმაციის კომენტირებისას პროდიუსერმა სკოტ შტეინდორფმა ბრძანა, რომ "სიყვარული ჟამიანობის დროს" სიყვარულის შესახებ დაწერილი ყველა დროის საუკეთესო წიგნია - "რომეო და ჯულიეტას" შემდეგ.

რომანის შინაარსს მისი ქვესათაური საუკეთესოდ გადმოსცემს: "ამბავი იმისა, თუ როგორ შეუყვარდა საწყალ ტელეგრაფისტ ფლორენტინო არისას მზეთუნახავი ფერმინა დასა, და როგორ ელოდა მის პასუხს ორმოცდათერთმეტი წელი, ცხრა თვე და ოთხი დღე".

# მოდელს წარმოშობა გამოადგა

17-22 აგვისტოსთვის დაგეგმილი კეიპტაუნის მოდის კვირეულის სახე ალეკ ვეკი იქნება. "ამქვეყნად მრავალი მოდელია, რომლებისთვისაც შეეძლოთ მიემართათ. მე ძალიან მესიამოვნა, რომ სწორედ მე ამირჩიეს," - ამბობს 27 წლის ალეკი. "თუკი აფრიკელი დიზაინერების მხარდაჭერას შევძლებ, ამას სიამოვნებით ვიზამ".

ვეკი საზეიმო გახსნის ცერემონიაში და Anglo Gold Ashanti-სა და South African Airways Designer Collection-ის ჩვენებებში მიიღებს მონაწილეობას. მეორე დეფილეს ფარგლებში 43 მონაწილე დიზაინერის საუკეთესო ნამუშევრები იქნება წარმოდგენილი.

იმას, რომ არჩევანი სწორედ ვეკზე იყო შეჩერებული, პროექტის კოორდინატორი, დიზაინერი გავინ რაჯა ასე ხსნის: "ეს გოგონა თავისთავადაც მშვენიერი მოდელია. მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი ჩვენი ფავორიტის აფრიკული წარმოშობაა, რომელმაც ამის მიუხედავად დასავლეთში წარმატების მიღწევა შეძლო".






საინფორმაციო ტექნოლოგიების
ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი.
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word.
- აღრიცხვა,ბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა.
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24








# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.